745 ლ 16324

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
შუალედებში გამოდის მხოლოდ სპეციალური (თემატური) ნომრები. • №3 (2036) 13.06.2009 • ფასი 30 თეთრი

## გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის გენერალურ მდივანს

**თქვენო აღმატებულებავ!**

2008 წლის აგვისტომდე გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციებში აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე აფხაზეთი იხსენიება, როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილი, „აფხაზეთი, საქართველო", და ექსპლიციტურად აღიარებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი. ამავე დროს, იხმარება გამოთქმა „კონფლიქტის მხარეები" და დაკონკრეტებულია, რომ ეს მხარეები არიან „აფხაზური მხარე" და „ქართული მხარე". ეს გამოთქმა შეიძლება გაგებულ იქნას ორი სრულებით სხვადასხვა აზრით: ან იმ აზრით, რომლითაც იგი შეიძლება მიყენებულ იქნას ნებისმიერი ინდივიდუალური ან კოლექტიური დაყოფის ნებისმიერი მონაწილისადმი, განურჩევლად ამ დაპირისპირების შინაარსისა და მის მონაწილეთა უფლებრივი ან სხვა რამ სტატუსისა (ჩვენ ეს გამოთქმა გვესმის სწორედ ამ აზრით), ან იმ აზრით, რომ აღიარება ხდება კონფლიქტის მონაწილეების — ერთის მხრივ საქართველოს სახელმწიფოს, რომელიც კანონის შესაბამისად მოქმედებს, მეორეს მხრივ კი ჯგუფის, რომელიც იბრძვის აფხაზეთის გამოყოფისათვის დანარჩენი საქართველოსაგან — პრინციპულად დაახლოებით თანასწორი უფლებისა მათი იურიდიული და პოლიტიკური სტატუსის მიხედვით, რის გამოც „მხარეებს" ენიჭებათ პრინციპულად დაახლოებით თანაბარი უფლება, რომ მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე გამოდიოდნენ, როგორც სუბიექტები, პრინციპულად დაახლოებით თანასწორი ხმის უფლების მქონენი გადაწყვეტილების მიღებაში, მათ შორის — გადაწყვეტილებებისა, რომლებიც ეხება მოცემული ტერიტორიის სამართლებრივი სტატუსის საკითხს. ის გარემოება, რომ ხსენებულ რეზოლუციებში იხმარება ზემოთ ციტირებული გამოთქმა „აფხაზეთი, საქართველო", აგრეთვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპისადმი ერთგულების კონსტატაცია, გამორიცხავს ხსენებული გამოთქმების გაგებას ამ მეორე აზრით.

გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებაში, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს 2009 წლის 12 ივნისს, არც ხსენებული გამოთქმა „აფხაზეთი, საქართველო", არც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის აღიარების კონსტატაცია არ არის, ხოლო გამოთქმა „კონფლიქტის მხარეები" კვლავ ფიგურირებს, ისევე, როგორც იგი ფიგურირებს გაეროს ეგიდით ჟენევაში მიმდინარე მოლაპარაკებების ფორმატის განსაზღვრაში. ამიტომ შესაძლებელია, სათანადო ნებისა და ზეწოლის სათანადო მექანიზმთა არსებობის პირობებში (რუსეთს აქვს ერთიც და მეორეც), რომ ხსენებული ტექსტის გამოთქმის კონფლიქტის მხარეები" ასო და სულისკვეთება ინტერპრეტირებულ იქნას ზემოხსენებულ ორ გაგებათაგან მეორის შესაბამისად, მით უფრო, რომ სიტყვები „ქართული მხარე" და „აფხაზური მხარე" არ აკონკრეტებენ, ვინ იგულისხმება მათში — პირთა ორი ურთიერთდაპირისპირებული მაკროჯგუფი თუ ორი ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეული, იმის უფლების მქონე, რომ მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე წარდგნენ ცალკე სუბიექტების სახით.

თქმულიდან გამომდინარე, ჩვენს უფლებად და მოვალეობად ჩვენი ქვეყნის წინაშე და მისი ხალხის წინაშე მივვაჩნია, რომ გაეროს გენერალური მდივნის წინაშე წარმოვადგინოთ ჩვენი მოსაზრებები განსახილველი პრობლემის გამო შემდეგი თეზისების სახით:

1. ომი, რომელიც მიმდინარეობს აფხაზეთში, საქართველო, და ცხინვალის რეგიონში, რუსეთის იმპერიის მიერ, სრულებით უსაფუძვლოდ, „სამხრეთ ოსეთად წოდებულში" (ოსეთი მდებარეობს კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ მხარეს, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში), არ იყო და არ არის ქართულ-აფხაზური ან ქართულ-ოსური, მით უმეტეს, იგი არ არის „ეთნიკური კონფლიქტი" ქართველებსა და ოსებს და ქართველებსა და აფხაზებს შორის, არამედ იგი არის რუსულ-ქართული ომი, რომელშიც რუსეთის მიერ გამოყენებულია აფხაზეთის აფხაზი მოსახლეობის ნაწილი და



ცხინვალის რეგიონის ოსი მოსახლეობის ნაწილი. რუსეთის მონაწილეობა ამ ომში მდგომარეობდა და მდგომარეობს სეპარატისტული მოძრაობის სტიმულირებასა და ორგანიზებაში, სეპარატისტული ძალების ორგანიზებასა, შეიარაღებასა და განვრთნაში, რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებისა და არტილერიის პირდაპირ მონაწილეობაში ოპერაციებში, საბრძოლო მოქმედებებში რუსეთის სამხედრო მოსამსახურეების მონაწილეობაში „დაქირავებულების" სახით, მათ შორის, გადამდგარი ოფიცრებისაც, რუსეთის ტერიტორიაზე რუსეთის მოქალაქეებისაგან შემდგარი პარამილიტარული ჯგუფების შექმნაში და მათს გადმოსროლაში საქართველოს ტერიტორიაზე, სეპარატისტების უზრუნველყოფაში სადაზვერვო ინფორმაციითა და საომარი მასალებით და მათს საინფორმაციო-საპროპაგანდო და დიპლომატიურ დახმარებაში. რუსეთის მონაწილეობა ამ ომში არ შეცვლილა არც ხასიათის, არც ინტენსივობის მხრივ, რუსეთის მიერ სამშვიდობო მანდატების, მათ შორის გაეროს მიერ (დსთ-ს გზით) მიღებულის, ჩათვლით. მხოლოდ გალის რაიონში ამ ტერიტორიაზე მყოფი მეშვიდობეების დასწრებით მოკლული იქნა 2000-ზე მეტი მაცხოვრებელი, ანუ გალის რაიონში დარჩენილი მოსახლეობის 4%, სხვა სიტყვით — გრძელდება ქართველი მოსახლეობის გენოციდი. აქვს რა სამშვიდობო მანდატი, მიუხედავად იმისა, რომ გაეროს მიერ არ არის რეკომენდებული სამშვიდობო მანდატით მეზობელი ქვეყნების აღჭურვა, რუსეთი არის ქართველთა გენოციდისა და ქართველებისაგან ეთნიკური წმენდის ავტორი, ამავე დროს მას აქვს გაეროს მიერ აღიარებული სტატუსი „ფაცილიტატორისა" ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში". **ამგვარად, რუსეთი იყო და არის მხარე აფხაზეთში, საქართველო მიმდინარე კონფლიქტში.**

2. არც აფხაზი, არც ოსი სეპარატისტები, რომლებიც აწარმოებდნენ და აწარმოებენ ომს საქართველს სახელმწიფოს წინააღმდეგ, არ ექცევიან ცნების კონფლიქტის მხარე" ქვეშ, რამდენადაც მათი მოქმედება განსაზღვრულია მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ნებით, და არა მათი საკუთარი ნებით.

3. 2008 წლის აგვისტოს ომის მსვლელობაში რუსეთი თავის აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ ღიად ამოტივირებდა იმით, რომ „იგი იძულებულია დაიცვას თავისი მოქალაქეები" (ოსური და აფხაზური ეროვნებისა), ანუ ამოტივირებდა მას თავისი კერძო ინტერესით, რითაც, ტაციტურად (გამოუთქმელად), თავს ცნობდა კონფლიქტის მხარედ. ეს იმას ნიშნავს, რომ მას არა აქვს უფლება, აღნიშნულ „კონფლიქტებთან" დაკავშირებით გამოდიოდეს არბიტრის — კაცობრიობის ბედზე პასუხისმგებელი სუპერსახელმწიფოს — სახით. **ამიტომ რუსეთის მონაწილეობა რაგინდარა ფორმატის მოლაპარაკებებში აფხაზეთის, საქართველო, და ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ შესაძლებელია და დასაშვებია მხოლოდ მხარის, სახელდობრ, აგრესორი მხარის სახით, და არა არბიტრისა და ფაცილიტატორის სახით.** გარდა ამისა, რუსეთის მიერ კონფლიქტში თავისი კერძო დაინტერესებულობის აღიარების შედეგად რუსეთი კარგავს უფლებას, მონაწილეობა მიიღოს უშიშროების საბჭოში კენჭისყრაში საქართველოში მიმ-




დინარე კონფლიქტების თაობაზე და ვეტოს უფლებას გადაწყვეტილებების მიმართ ამ საკითხებზე (გაეროს წესდების პუნქტი 27,3).

გამოვხატავთ რა უდიდეს მოწიწებას გაეროს პრინციპებისადმი და იმ ადამიანებისადმი, ვისაც მათი იმპლემენტაციის ტვირთი აწევს, გამოვთქვამთ იმედს, რომ:

— რუსეთს, როგორც დაინტერესებულ ქვეყანას, რომელიც აწარმოებს აგრესიულ ომს საქართველს წინააღმდეგ, უარი ეთქმის მონაწილეობაზე რაგინდარა მოლაპარაკებებში საქართველოსთან დაკავშირებული პრობლემების თაობაზე, მათ შორის — აფხაზეთში, საქართველო, და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პრობლემებზე სხვაგვარად, თუ არ როგორც მხარეს, და არა როგორც არბიტრს.

— რუსეთს, გაეროს წესდების 27,3 მუხლის შესაბამისად, უარი ეთქმის კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებაზე აღნიშნულ საკითხთა განხილვის დროს.

ჩვენს უფლებად და მოვალეობად მიგვაჩნია ვაცნობოთ გაეროს გენერალურ მდივანს, რომ საქართველოს სახელმწიფოს მიერ გაეროს უშიშროების საბჭოსათვის და გაეროს მდივნისათვის იმის არშეტყობინების ფაქტი, რომ აფხაზეთში, საქართველო, და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტი არის რუსეთის აგრესიული ომი საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც შეიცავს რეგიონის დესტაბილიზაციის პერსპექტივას, აგრეთვე ფაქტი საქართველოს სახელმწიფოს მიერ თავისი გაეროს წესდებით გათვალისწინებით (მუხლი 35,1) უფლების გამოუყენებლობისა, რომ აცნობოს გაეროს უშიშროების საბჭოსა და გაეროს გენერალურ მდივანს „ყველა კამათი და ყველა სიტუაცია", რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს არასტაბილობა რეგიონში, აიხსნება არა რუსეთის მიერ შექმნილი საშიშროების უმნიშვნელობით ან მისი ილუსტრაციისთვის საჭირო ფაქტების უკმარისობით, არამედ მხოლოდ იმით, რომ საქართველოს ადმინისტრაცია 1992 წლიდან დღემდე სხვა არა არის რა, თუ არ რუსული ადმინისტრაცია საქართველოში.

*საქართველოს ეროვნული პარტიების ალიანსი და საქართველოს წინააღმდეგობის მოძრაობა*
*5 ივნისი, 2009*

## საქართველოს ეროვნულ პარტიათა ალიანსისაგან და საქართველოს წინააღმდეგობის მოძრაობისაგან

საქართველოს მოსახლეობამ ტელეეკრანებიდან გავიგეთ, რომ მამისონის უღელტეხილის უბანში მდგომმა ქართველმა მესაზღვრეებმა უბრძოლველად მიატოვეს პოზიციები და უკან დაიხიეს 20 კილომეტრით, რითაც მტერს დაუთმეს საქართველოს ტერიტორია, ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის სათიბ-საძოვრები და ობსერვატორია. უცნობმა პირებმა ააფეთქეს ფოლადის ხიდი მდ. ჭანჭახზე, რომლის აუზი მთლიანად საქართველოს ტერიტორიის შიგნით მდებარეობს.

მომხდარს ჩვენ სხვაგვარად ვერ განვიხილავთ, თუ არ როგორც პირდაპირ სახელმწიფო ღალატს. საჭიროდ ვრაცხთ, განვაცხადოთ, რომ

– არ დავთმობთ საქართველოს ტერიტორიის არც ერთ მილიმეტრს მისი იმ ფარგლებიდან, რაც განსაზღვრულია საქართველო-რუსეთის არსებული და დოკუმენტირებული საზღვრით დღემდე. არ ვცნობთ საქართველოს დღევანდელი არალეგიტიმური ხელისუფლებას – რუსეთის მარიონეტების – უფლებამოსილებას, რომ საქართველოს ტერიტორიულ საკითხებზე რუსებთან გარიგებაში შევიდეს.

– საქართველოში არამარიონეტული, ანუ რეალური არჩევნებით მოსული ლეგიტიმური ხელისუფლების მოსვლისთანავე სამართალში მიეცემიან, როგორც სამხედრო დამნაშვენი, ის მესაზღვრენი, რომელთაც აღნიშნული ქმედება ჩაიდინეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა პასუხისმგებელი პირნი, მინისტრის ჩართვლით, რომელთაც ევალებათ მესაზღვრეების მომზადება და რომელთა დაქვემდებარებაში იმყოფებიან საქართველოს სასაზღვრო ჯარები, და საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი მ. სააკაშვილი, როგორც უმაღლესი მთავარსარდალი.

**საქართველოს ეროვნულ პარტიათა ალიანსისა და საქართველოს წინააღმდეგობის სახელით ნ. ნათაძე, მ. გიორგაძე, თ. მიქაუტაძე**
13.VI.2009 წ.

## საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა კონგრესის

# განცხადება

დევნილთა კონგრესი გამოხატავს შეშფოთებას, გაეროს გენერალური მდივნის უშიშროების საბჭოსადმი (1808 (2008 წ); 1839 (2008 წ); 1866(2009 წ)) რეზოლუციების საფუძველზე წარდგენილ მოხსენებაში ჩვენს ქვეყანაში არსებული რეალობისადმი უპრეცედენტოდ არაადეკვატური მიდგომების გამო.

გენერალური მდივნის მოხსენებაში, პირველად არ არის დაფიქსირებული, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ურღვევია, ამოღებულია ტრადიციული ფრაზა საქართველო, აფხაზეთი. 2008 წლის აგვისტოში, რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესიისა და ქვეყნის დიდი ნაწილის ოკუპაციის ფონზე, ასეთი მიდგომები ჩვენგან აღიქმება ოკუპანტი-სახელმწიფოსა და მისი მეხუთე კოლონის მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის მიჩქმალვის მცდელობად.

ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია და გაოცებას იწვევს არათანმიმდევრული და შეუსაბამო მიდგომა აფხაზეთში არსებული დანაშაულებრივი რეჟიმისადმი — რომელმაც გენოციდისა და ეთნიკური წმენდის გზით მიიტაცა ძალაუფლება.

ჩვენ წარმოვადგენთ აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას და მხოლოდ ჩვენ ვართ მატარებელი სუვერენული უფლებისა, დეოკუპაციის შემდეგ, თავისუფალი ნების საფუძველზე შევქმნათ ლეგიტიმური ხელისუფლება, აფხაზეთში დარჩენილ მოსახლეობასთან ერთად. ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს და თუნდაც გაეროს გენერალური მდივნის მიერ ამ წმიდათაწმიდა უფლებების რეალიზებისათვის დაბრკოლებების შექმნის მცდელობებს ჩვენ ვუცხადებთ მტკიცე პროტესტს.

საქართველოს ასიათასობით დევნილი 90-იანი წლებიდან უდიდესი მოთმინებითა და იმედით შეჰყურებს გაეროს, რწმენით რომ სამართლიანობა შეიძლება აღდგენილი იქნეს პროგრესული კაცობრიობის გაერთიანებული ძალისხმევით.

ჩვენ კარგად ვიცით მოლაპარაკებების ფასიც. ამიტომაც იმედითა და მოთმინებით ველოდებოდით, რომ გაეროს ხელმძღვანელობით წარმართული მშვიდობიანი პროცესი კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივას რეალურს გახდიდა. ამ თვალსაზრისითაც, გაერო-ს გენერალური მდივნის მოხსენება უკიდურესი შეშფოთების საგანია, რადგან ეჭვქვეშ აყენებს მიუკერძოებლობასა და იმ ფუძემდებლურ პრინციპებს, რის დასაცავადაც გაერო შეიქმნა. ამიტომ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოხსენებაში ასახული მიდგომები ეწინააღმდეგება გაეროს წესდებას და საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლურ პრინციპებს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ მსგავსი უსამართლო დამოკიდებულება შეიძლება გახდეს ახალი კონფლიქტის ესკალაციის საბაბი.

ჩვენ ხაზგასმით ავღნიშნავთ, რომ გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებაში დაფიქსირებული უპრეცედენტო მიდგომები მნიშვნელოვან წილად განპირობებულია საქართველოს ხელისუფლების არაადეკვატური საშინაო და საგარეო პოლიტიკით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა კონგრესი გამოთქვამს იმედს, რომ გაეროს უშიშროების საბჭო, პრინციპულად განიხილავს გენერალური მდივნის ამ მოხსენებას, გაითვალისწინებს აფხაზეთის ომამდელი მოსახლეობის უმრავლესობის, ამჟამად ასიათასობით დევნილის, უმძიმეს მდგომარეობას და თავის მომავალ რეზოლუციაში დააფიქსირებს თანმიმდევრულ, ობიექტურ დამოკიდებულებას საქართველოში არსებული რეალობის მიმართ - რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესებისა და საერთაშორისო მშვიდობისათვის.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა კონგრესში გაერთიანებული ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენელთა სახელით:

*კონგრესის თავმჯდომარე — **დავით გულუა***
*გენერალური მდივანი — **აბესალომ მიძელაძე***
*8 ივნისი, 2009 წ.*

## აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

# განცხადება

2009 წლის 18 მაისს გაეროს გენერალური მდივნის მიერ უშიშროების საბჭოსადმი წარდგენილ მოხსენებაში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა/საქართველო, რომელიც ოკუპირებულია უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი მუდმივი წევრის — რუსეთის ფედერაციის მიერ, კონფლიქტის მიმდინარეობიდან პირველად, გარკვევით და არაორაზროვნად არ მოიხსენიება საქართველოს შემადგენლობაში, რაც იწვევს გაკვირვებასა და სინანულს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მითიება გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ადრე მიღებულ რეზოლუციებზე, რომლებიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებენ, საქმის არსს არ ცვლის.

ნათელია, რომ აგრესორის უხეში ზეწოლის ქვეშ მყოფი გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი იძულებული გახდა წასულიყო გაუმართლებელ დათმობებზე. გაეროს გენერალური მდივნის ამ გადაწყვეტილებით, ეჭვქვეშ არის დაყენებული საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპი ტერიტორიული ხელშეუხებლობის შესახებ, რომელიც ასახულია გაეროს წესდებაშიც; სერიოზული დარტყმა მიადგა გაეროს პრესტიჟს, რომელიც პასუხისმგებელია მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაზე.

სამწუხაროდ, გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებაში სათანადოდ არ იქნა გათვალისწინებული 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული რუსული აგრესიის შედეგად შექმნილი რეალიები. უგულვებელყოფილია ის ფაქტი, რომ რუსეთის ფედერაციამ, საქართველოს კონფლიქტური რეგიონების აღიარების საბაბით, რეალურად ამ ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა; მუდმივად ზრდის თავის სამხედრო პოტენციალს, უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებს, აიძულებს რა ქართულ მოსახლეობას უარი თქვას საქართველოს მოქალაქეობაზე, კრძალავს სწავლებას მშობლიურ ენაზე, ცდილობს გამიჯნოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონები დანარჩენი საქართველოსაგან ხელოვნურად შექმნილი ე.წ. სახელმწიფო საზღვრით.

ყოველივე ამის შემდეგ გაუგებარი ხდება გენერალური მდივნის მოწოდების მიზანი და არსი იმის შესახებ, რომ მხარეები უნდა დაუბრუნდნენ რუსეთის მიერ ფეხქვეშ გათელილ, ფაქტიურად დენონსირებულ მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის ხელშეკრულებას. თავის დროზე კრემლის მიერ ხელოვნურად პროვოცირებული ქართულ-აფხაზური კონფლიქტი დიდი ხანია გადაიზარდა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტში. შესაბამისად, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის გაეროს წესდების მე-6 და მე-8 თავების გათვალისწინებით, აუცილებელია უშიშროების საბჭოს ახლებური მიდგომები და გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებულ უნდა იქნეს კონფლიქტში მონაწილე მხარის კენჭისყრაში მონაწილეობის გარეშე, როგორც ამას ითვალისწინებს გაეროს წესდების 27-ე თავის მე-3 პუნქტი. ხოლო სანახევრო შეფასებები და ნახევრული ზომები კი, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო საერთაშორისო სამართალთან და გაეროს პრინციპებთან, მხოლოდ და მხოლოდ წაახალისებენ თავგასულ აგრესორს და მის მარიონეტულ სეპარატისტულ რეჟიმებს, გააგრძელებენ ათასობით დევნილისა და იძულებით გადაადგილებული პირის ტანჯვას, რომლებიც რუსეთის ფედერაციის მიერ ჩატარებული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის მსხვერპლნი არიან.

აფხაზეთის/საქართველო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, პრინციპულად არ ეთანხმება რა მოხსენების ცალკეულ დებულებებს, მოუწოდებს უშიშროების საბჭოს ა.წ. 15 ივნისს კონფლიქ ტის ზონაში არსებული ვითარების განხილვისას, მიიღოს რეზოლუცია ახალი რეალიების, წესდების მოთხოვნების, გაეროს ძირითადი მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად.

*აფხაზეთის ავტონომიური*
*რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო*
*თბილისი, 25 მაისი 2009წ.*

# ხდება საქართველოს სახელმწიფოს მორიგი ღალატი

გაეროს გენერალური მდივნის გამოსვლა უშიშროების საბჭოს წინაშე ა.წ. 12.VI ეხება ჩვენთვის სასიცოცხლო თემას – აფხაზეთში არსებულ სიტუაციას. ეს საზოგადოებისათვის ცნობილია საყოველთაოდ. მაგრამ მოხსენების შინაარსი ცნობილია მხოლოდ იმისთვის, ვინც არ დაიზარა მისი მოძებნა ინტერნეტში. იგი შეიცავს ერთ ძალიან არასასიამოვნო მომენტს: მასში, უშიშროების საბჭოს წინა რეზოლუციათა უმრავლესობისაგან განსხვავებით, არ არის შეხსენება იმისა, რომ გაერო ცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, და არაა ნახმარი გამოთქმა „აფხაზეთი, საქართველო“, ანუ არაა მკაფიო ფორმით მინიშნებული, რომ აფხაზეთი, რომელსაც საუბარი ეხება, საქართველოს ნაწილია. დოკუმენტი ამ თემას გვერდს უვლის. რატომ? იმიტომ, რომ გაერო ცდილობს შეინარჩუნოს თავისი მისია აფხაზეთში, რომელსაც გაუქმება ემუქრება იმის გამო, რომ უახლოეს დღეებში ვადა გასდის, მის განახლებას კი, შესაძლოა და მოსალოდნელია, ხელი შეუშალოს რუსეთის მხრიდან ვეტომ. სხვა მხრივ, ანუ გაცხადებული პოზიციის იურიდიული შინაარსის მხრივ, იგი საქართველოს ინტერესებისთვის შემაშფოთებელს არაფერს შეიცავს.

11 ივნისს მთავრობის სხდომაზე, რომლის შესაბამისი ნაწილი ტელევიზიით გადაიცა, მ. სააკაშვილმა ხმამაღალი და სავსებით კარგი განცხადება გააკეთა, იმ შინაარსისა, რომ საქართველოსთვის გაეროს ეს ტაქტიკა ვერ იქნება დამავალდებულებელი, ანუ ვერ დააკისრებს საქართველოს მოვალეობად, რომ ტერიტორიული მთლიანობის ინტერესი რაგინდარა მცირე დოზით დათმოს. მაგრამ მან არ თქვა მთავარი, – სახელდობრ, არ თქვა, რომ საქართველოს, თუკი მისი ხელისუფლება ქვეყნის ერთგულია, არა მხოლოდ შეუვალი უფლება, არამედ გარანტირებული შესაძლებლობაც აქვს, რომ თავისი ინტერესი არ დათმოს, რისთვისაც მას არა სჭირდება რა გარდა გაეროსივე წესდების სათანადო პუნქტების დამოწმებისა და შესაბამისი ოფიციალური განცხადებით გაეროსადმი მიმართვისა. აი, ეს პუნქტები.

მუხლი 27 ეხება უშიშროების საბჭოში ხმის მიცემის პროცედურას. აქ ნათქვამია:

„1. უშიშროების საბჭოს ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა.

2. უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებები პროცედურის თაობაზე მიღებულად ითვლება, თუ მათ მიიღეს საბჭოს ცხრა წევრის ხმა.

3. უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებები ყველა სხვა საკითხებზე მიღებულად ითვლება, როცა მათ მიიღეს საბჭოს ცხრა წევრის ხმა, საბჭოს ყველა მუდმივი წევრის ურთიერთთანმხვედრ ხმათა ჩათვლით, ამასთან, მხარემ, რომელმაც მონაწილეობა მიიღო პაექრობაში, თავი უნდა შეიკავოს ხმის მიცემისაგან თავი VI-ის და მუხლი 52 პუნქტი 3-ის საფუძველზე“ (მუხლი 52 ჩვენთვის საინტერესო თემას არ ეხება, VI თავს კი ქვემოთ შევეხები. მუხლები 34 და 35).

აქ საჭიროა განმარტება. გაეროს უშიშროების საბჭოს ჰყავს ხუთი მუდმივი წევრი, მათ შორის ერთია რუსეთი. თუ რუსეთმა რაიმე გადაწყვეტილებას წინააღმდეგი ხმა მისცა, ამით ირღვევა ციტირებული ნორმის პუნქტში „3“ დასახელებული პირობა (მუდმივი წევრების ხმათა თანხვედრა ანუ კონსენსუსი) და გადაწყვეტილება ვერ მიიღება. ეს არის უშიშროების საბჭოში რუსეთის ვეტოს ერთადერთი მექანიზმი. ამგვარად, თუკი რუსეთი „პაექრობის“ მხარეა, გაეროს წესდება მისგან მოითხოვს თავის შეკავებას ხმის მიცემისაგან, ანუ მას მოცემულ შემთხვევაში ვეტოს უფლებას ართმევს.

კიდევ განმარტება. სიტყვას „პაექრობა“ გაეროს წესდება ფართო აზრით ხმარობს, სახლდობრ, ყოველგვარი დაპირისპირების, და არა მხოლოდ სიტყვიერის, აღსანიშნავად. ასე, მაგალითად, აქ (მუხლი 33), ნათქვამია, რომ გაეროს „ყოველ წევრი, რომელიც არ არის უშიშროების საბჭოს წევრი, ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფო, რომელიც არ არის გაეროს წევრი, თუ ისინი არიან პაექრობის მხარეები, რომელსაც იხილავს უშიშროების საბჭო, მოწვეულნი არიან მონაწილეობის მისაღებად ხმის უფლების გარეშე, მსჯელობაში, რომელიც ეხება ამ პაექრობას“. ციტატიდან ცხადია, რომ „პაექრობა“, გაეროს წესდების ტერმინოლოგიით, მოიცავს იმ ფიზიკურ ხდომილებასაც, რომლის განხილვაც უშიშროების საბჭოში ხდება. დავიმოწმებთ კიდევ ერთ მუხლს.

მუხლი 35.I. „ორგანიზაციის ყოველ წევრს შეუძლია ყველა პაექრობისა და სიტუაციის

*გაგრძელება მე-3 გვერდზე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაკას ახლახან წიარა

# საქართველოს წინააღმდეგობის მოძრაობისაგან

საქართველოს პარლამენტის დელეგაცია, რომელიც დღეს იმყოფება ევროსაბჭოში და იცავს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ 2009 წლის აგვისტოში წარმოებული ომისა და მისი შედეგებისადმი ევროსაბჭოს მიერ თავისი პოზიციის განსაზღვრის მიმდინარე პროცესში, მოქმედებს არაკვალიფიციურად და საქართველოს კანონიერი ინტერესებისადმი არა სავსებით ერთგულად, რამდენადაც იგი შეზღუდულია, ერთის მხრივ, ფაქტთა ცოდნის უკმარისობით, ხოლო მეორეს მხრივ საქართველოს დღესდღეობით არალეგიტიმური (ანუ ტოტალურად გაყალბებული არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში დარჩენილი) პრეზიდენტის მ. სააკაშვილის დანაშაულებრივი ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯით საქართველოში, კავკასიონის ქედის სამხრეთით კიდევ ერთხელ (1922 წლის აპრილში მისი შექმნის და 1990 წლის დეკემბერში მისი გაუქმების შემდეგ) „ოსეთის“ („სამხრეთ ოსეთის“) შექმნისათვის მზაობის გაცხადების სახით. სახელდობრ, ისინი უმალავენ ევროსაბჭოს ან ვერ ბედავენ მის წინაშე იმის განცხადებას, რომ

1. ოსური მოსახლეობა საქართველოში არის მხოლოდ დიასპორა. მისი შემოსახლება საქართველოში დაწყებულია XVII საუკუნეში, ირანთან და თურქეთთან წარმოებულ თავდაცვით ომებში საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის მიერ განცდილი კატასტროფული დემოგრაფიული შემცირების შემდეგ, და მას საქართველოს არც ერთ რეგიონში - არც ერთ ფიზიკურ-გეოგრაფიულ, ადმინისტრაციულ ან პოლიტიკურ ერთეულში — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობამდე საბჭოთა რუსეთის მიერ (1921) არ მიუღწევია არც აბსოლუტური, არც შედარებითი უმრავლესობისათვის. რეალური და არა რუსების მიერ შეთხზული ოსეთი მდებარეობს კავკასიონის ჩრდილოეთით და საქართველოს ოს მოსახლეობას არც ერთი იურიდიული ნორმის, მათ შორის არც ჰუმანიტარული სამართლის (ადამიანის უფლებათა დაცვის მსოფლიო სისტემის) ნორმით არა აქვს უფლება, საქართველოში ტერიტორიული თვითგამორკვევა ითხოვოს.

2. სახელი „ოსეთი“ როგორც არსებითი სახელის სახით, ისე ზედსართავის („осетинский“, „осетинская“) სახით საქართველოს რომელიმე ნაწილის მიმართ შეთხზულია და თანდათანობით ადმინისტრაციულ სიტყვათხმარებაში დამკვიდრებულია მხოლოდ რუსი დამპყრობლების მიერ. მისი შეთხზვა და გავრცელება რუსული ადმინისტრაციის მიერ გამოწვეული იყო მხოლოდ იმით, რომ ოსები ჩრდილო კავკასიის ის ერთადერთი ხალხი იყვნენ, რომელიც კი არ ებრძოდა, არამედ, პირიქით, შეგნებულად ხელს უწყობდა კავკასიის დაპყრობას რუსეთის მიერ XVIII და XIX საუკუნეებში, რის გამოც რუსული ადმინისტრაცია დაინტერესებული იყო, რომ მის მიერ 1801 წელს ანექსირებულ საქართველოში ოსებისათვის მომგებიანი პოზიცია შეექმნა.

3. გარიგება რუსულ ადმინისტრაციასა და ოსური ელიტის ერთ ნაწილს შორის (1744), რომელსაც რუსები და მათი მომხრე ოსები დღეს „რუსეთთან ოსეთის ნებაყოფლობითი შეერთების“ თარიღად რაცხენ, არ გულისხმობს და ვერ იგულისხმებს საქართველოს ტერიტორიის ვერც ერთ ნაწილს ვერც კავკასიონის ქედის სამხრეთ მხარეს, ვერც მის ჩრდილოეთ მხარეს. საქართველოს ტერიტორიაზე „ოსეთის“ შეთხზვა რუსების მიერ მომხდარია 28 წლით უფრო გვიან (მას პირველი ხმარობს რუსების სარდალი კავკასიაში და მის სამოქალაქო საქმეთა გამგებელი გენერალი კარლ კნორინგი თავის მოხსენებაში იმპერატორის სახელზე 1802 წელს). თემას, თუ რამდენად სამართლიანია 1774 წლის ხსენებული გარიგების ჩათვლა ჩრდილოეთი ოსეთის ანუ ნამდვილი ოსეთის შეერთებად რუსეთთან, აქ არ ვეხებით.

4. XIX საუკუნის მანძილზე, როცა რუსული ადმინისტრაცია თანდათანობით ამკვიდრებდა საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილებში სახელს „Осетия“, („осетинский“, „осетинская“), იგი ამას იქმოდა არა იქ, სადაც ოსები უმრავლესობაში იყვნენ (უმრავლესობაში ისინი არსად არ იყვნენ), არამედ ყველგან იქ, სადაც კი ოსები იყვნენ, რაგინდარა უმნიშვნელო უმცირესობის სახით; რომ ოსური მოსახლეობის მკვეთრი ზრდა საქართველოში ხდება ჯერ 1864 წლის მომდევნო ორ დეკადაში (როცა უყმებოდ დარჩენილ ქართველ მემამულეებს მოჰყავთ თავის მიწებზე ოსი ხიზნები კავკასიონის ჩრდილოეთი ფერდობებიდან), და 1922 წლის აპრილში საქართველოში „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ შექმნის შემდეგ, როცა შესაბამისი ტერიტორიის ხელოვნური დემოგრაფიული ოსიზაცია საბჭოთა ხელისუფლების პირდაპირ მიზნად იქცევა; რომ ამ ერთეულის შექმნის მომენტისათვის მის ტერიტორიაზე ოსები ჯერ კიდევ უმცირესობა არიან, ხოლო ამ მიწის მკვიდრი მოსახლეობა ქართველები — აბსოლუტური უმრავლესობა.

5. ქართველების გენოციდი ეროვნული ნიშნით ხსენებულ ტერიტორიაზე დაწყებულია არა სსრკ-ს დაშლის პროცესში ანუ 1980-90-იან წლებში, არამედ 1921 წლიდანვე, ანუ საქართველოს მეორე ანექსიიდანვე რუსეთის მიერ, როცა ამ ტერიტორიაზე ჩრდილოეთიდან თითქოსდა „უკონტროლოდ“ შემოსული ოსური რაზმები გაჩნდნენ და მათ მიერ რამდენიმე ქართული სოფელი გაიჟლიტა (დღეს ეს სოფლები, მათ შორის ს. მონასტერი ცხინვალის თავზე პირწმინდად ოსურია); რომ ჯავის, ცხინვალისა და ყორნისის (ყოფ. ზნაურის) რაიონებში დღეს გენოციდისა და ეთნიკურ წმენდის შედეგად ქართველი მოსახლეობა აღარ არის და რომ ახალგორის რაიონში, სადაც მოსახლეობა თითქმის მთლიანად ქართველია, გენოციდი და ეთნიკური წმენდა ახლა მიმდინარეობს.



*რუსი ოკუპანტები ცხინვალის რეგიონში*

6. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ შექმნა მომხდარია არა საქართველოს ხელისუფლების დადგენილებით, არამედ რუსეთის ბოლშევიკური პარტიის (РСДРП(б) კავკასიის ბიუროს დადგენილებით 1920 წელს და ამავე პარტიის ცეკას დადგენილებით იმავე წელს, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, ხოლო შემდეგ განმეორებულია საქართველოს მარიონეტული ხელისუფლების — ცაკ-ის — მიერ და მას დღემდე არც ერთი საათი არ უარსებია მასში რუსეთის რეგულარული შეიარაღებული ძალების ოფიციალური დგომის გარეშე.

ევროსაბჭოში საქართველოს დღეს მყოფი წარმომადგენლობის ხსენებული არაკვალიფიციური და არაერთგული მოქმედების შედეგად დღეს ამ საბჭოს დოკუმენტაციაში ოფიციალურად ფიგურირებს უკანონო სახელი „სამხრეთ ოსეთი“, რაც, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით, კაცობრიობის წინაშე აყენებს ორი „ოსეთის“ - ერთი ნამდვილისა და მეორე ყალბის - ურთიერთობათა რკვევის მძიმესა და ობიექტური საფუძვლის არმქონე ამოცანას.

*საქართველოს წინააღმდეგობის მოძრაობის მორიგე მართვის ჯგუფის სახელით*

***ნ. ნათაძე***

*29. V. 2009 წ.*

# ხდება საქართველოს სახელმწიფოს მორიგი ღალატი

*მე-2 გვერდიდან*

შესახებ, რომელსაც აქვს მუხლში „34“ მოხსენიებული ხასიათი, შეატყობინოს უშიშროების საბჭოსა და გენერალურ ასამბლეას“

აქ დამოწმებულ მუხლში „34“ კი ვკითხულობთ: „უშიშროების საბჭო უფლებამოსილია გამოიძიოს ყოველი პაექრობა და ყოველი სიტუაცია, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს საერთაშორისო უთანხმოება და მიგვიყვანოს პაექრობამდე, რათა განსაზღვროს, ხომ არ შეიძლება ეს პაექრობა ან სიტუაცია ემუქრებოდეს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვას“.

დასკვნა ნათელია: საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია და, მაშასადამე, იგი მოვალეა, რომ, როგორც გაეროს წევრმა სახელმწიფომ ან, თუნდაც, უბრალოდ, არსებულმა სახელმწიფომ, რომელსაც ემუქრება მისი ინტერესების შელახვა, დაუყოვნებლივ განუცხადოს გაეროს, თუნდ მისი უშიშროების საბჭოს სხდომაზე ხმის გარეშე მისვლის ფორმით (იხ. აქვე ზემოთ), რომ რუსეთი არის მხარე იმ კონფლიქტებში, რომლებიც საქართველოში არსებობს, და რომ, მაშასადამე, იგი მოვალეა თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან აფხაზეთის, საქართველო, მიწაწყალზე და მის გარშემო არსებული მოვლენების თაობაზე. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, საქართველოს ერთგულ ხელისუფლებას თავისუფლად შეუძლია, რუსეთს წაართვას ვეტოს საშუალება ჩვენთვის სასიცოცხლო თემაზე. ამის ქმნა მას აქამდისაც შეეძლო, ოღონდ ამისთვის დასჭირდებოდა იმის დასაბუთება (რაც ძნელი არაა), რომ რუსეთი, რომელიც სრულებით უსამართლოდ არის დაყენებული „ფაცილიტატორად“, ანუ „საქმის გამაადვილებლად“, საქართველოში არსებული და რუსეთის მიერვე ორგანიზებული კონფლიქტების „მოსაგვარებლად“, სინამდვილეში ამ კონფლიქტებისა და მათთან დაკავშირებული ანტიქართული გენოციდის ავტორია. ახლა საქართველოს ამის დასაბუთებისა და დამტკიცების იურიდიული ტვირთი აღარ აწევს: აგვისტოს ომის მოტივაციაში რუსეთმა თვითონ გამოიყენა ის „არგუმენტი“, რომ მას საქართველოში მცხოვრებელი თავისი „მოქალაქეების“ დაცვა ჰმართებს, ანუ აღიარა, რომ იგი მოქმედებს თავისი კერძო რაგინდარა „წმინდა“ ინტერესების დასაცავად, და, მაშასადამე, მიმდინარე ომში მხარეა და არა შეიარაღებული არბიტრი. ამის არქმნა საქართველოს ხელისუფალთა მხრიდან პირდაპირი სახელმწიფო ღალატია. უფრო მეტიც: ისეთი ღალატია, რომელიც, როგორც იტყვიან, „ყვირის“.

ეს გარემოება, — რომ საქართველოს დღეს არაერთგული მარიონეტული ხელისუფლება ჰყავს, — სამწუხაროდ, ფაქტია და მისი არსებობაც ალბათ ერთხანს გაგრძელდება (იმედია, არა დიდხანს). ამიტომ ჩვენ, — ეროვნული პარტიების ალიანსსა და საქართველოს წინააღმდეგობის მოძრაობას — სხვა ყველა პროგრესული პოლიტიკური ორგანიზაციებისადმი ასეთი წინადადება გვაქვს, რომელსაც, თუ ჭკუა, სათანადო ჰორიზონტი და გონიერება აქვთ, ალბათ, მიიღებენ: საქართველო უნდა დაუყოვნებლივ გაემიჯნოს თავის ორგულ ხელისუფლებას, რათა მომავალში პასუხი არ აგოს არც მის მიერ ხელმოწერილ კაპიტულაციებზე, არც მის დანაშაულობებზე და არც მის საკუთარ ჯიბეებში გადატუმბულ ვალებზე. ამისთვის ვთავაზობთ მათ განცხადების ხელმოწერას ჩვენთან ერთად.

**ნ. ნათაძე**

*რედ. ამ გამიჯვნის დოკუმენტის ტექსტი დაბეჭდილი გვაქვს წინამდებარე ნომრის მე-5 გვერდზე*

# საქართველოს ეროვნულ პარტიათა ალიანსის პოზიცია დღევანდელ რთულ ვითარებასთან დაკავშირებით

საჭიროდ ვრაცხთ, ქვეყნისა და სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, დღეს, 2009 წლის 27 აპრილს საზოგადოებას გავუთვალისწინოთ შემდეგი.

ქ-ნ ჰაიდე ტალიავინის თავმჯდომარეობით მომუშავე საერთაშორისო კომისიას, რომელიც იძიებს ა.წ. აგვისტოს ომს ცხინვალის რეგიონში, უნდა განეცხადოს (და ჩვენ ვამზადებთ შესაბამის განცხადებას), რომ

1. ხსენებული ომი არ იყო და არ არის ქართულ-ოსური, არამედ იგი არის რუსეთ-საქართველოს ომი საქართველოს ტერიტორიაზე. ოსური სეპარატიზმი აქ არსებობს, ორგანიზდება, იარაღდება და ფინანსდება მხოლოდ რუსეთის მიერ. არანაირ ოსურ სეპარატიზმს აქ არ უარსებია დღემდე არც ერთი საათი რუსეთის რეგულარული შეიარაღებული ძალის ცხინვალის რეგიონში დგომის გარეშე.

2. ხსენებული ომი არ დაწყებულა არც ა.წ. 7 აგვისტოს, არც 8 აგვისტოს. იგი დაიწყო 1802 წელს, რუსეთის მიერ აღმ. საქართველოს პირველი ანექსიიდან 10 თვის შემდეგ, როცა რუსეთის კავკასიის ჯარების სარდალმა და სამოქალაქო საქმეთა გამგებელმა გენერალმა კნორინგმა პირველმა იხმარა გამოთქმა „სამხრეთ ოსეთი". მან ეს ტერმინი იხმარა საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიების მიმართ, სადაც ოსური მხოლოდ დიასპორა არსებობდა (ისიც - სრულიად უმნიშვნელო უმცირესობის სახით) და იხმარა მხოლოდ იმიტომ, რომ ოსები იყვნენ ჩრდილო კავკასიის ის ხალხი, რომელიც რუსებს ეხმარებოდა მათ მიერ ჩრდილო კავკასიის დაპყრობის საქმეში XVIII საუკუნის მანძილზე, და რუსულმა ადმინისტრაციამ მოინდომა, ამ თავისი ერთგული ხალხის სახით, საქართველოში თავისი კიდევ ერთი საყრდენი შექმნა. საქართველოს ცენტრალური ჩრდილოეთი ნაწილის დემოგრაფიული გაოსება (იმიგრაციის გზით) და ოსურ მოსახლეობაში ყოვლად უსამართლო სეპარატიზმის სტიმულირება მას აქეთ საქართველოში რუსეთის პოლიტიკის ერთერთი არსებითი მიმართულება გახდა და დღესაც არის.

3. 2009 წლის აგვისტოს ომს წინ უსწრებდა ცხინვალის რეგიონში, შევარდნაძის მიერ რუსეთთან დადებული 1992 წლის 24 ივნისის მოღალატური შეთანხმების შესაბამისად, რუსი „მეშვიდობეების" დგომა, მათ მიერ ოსი სეპარატისტების წვრთნა და შეიარაღება, ქართველი მოსახლეობის ორგანიზებული გენოციდი და დაახლოებით 50%-იანი ეთნოწმენდა, ბოლო კვირებში — დარჩენილი ქართული სოფლების მასირებული საარტილერიო დაბომბვა, პარალელურად — კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით, როკის გვირაბის ჩრდილო მხარეს რუსეთის 58-ე არმიის კონცენტრაცია და მანევრები, რომლებშიც მოწინააღმდეგედ საქართველო იგულისხმებოდა და სახელდებოდა. უფრო ადრე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან რამდენიმე წლის შემდეგ კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბი გადმოტანილ იქნა სამხრეთისაკენ, ქ. ვლადიკავკასში, რაც იმას ნიშნავდა ცალსახად, რომ ევენტუალური სამხედრო მოქმედების თეატრად იგულისხმებოდა ამიერკავკასია. საქართველოს ხელისუფლების შეუვალი უფლება იყო საქართველოს ტერიტორიაზე არანაირი იურიდიული, ისტორიული ან მორალური საფუძვლის არმქონე სეპარატიზმის აღკვეთა, საჭიროების შემთხვევაში ძალის გამოყენებით, და მისი მოვალეობა იყო, ისევ და ისევ ძალის გამოყენებით, საჭიროების შემთხვევაში იქ არსებულ სოფელთა (თუნდ ქართულთა და თუნდ ოსურთა) საარტილერიო დაბომბვის აღკვეთა. პირველის აღკვეთა უნდა მომხდარიყო, ცივილიზებული კაცობრიობის მიერ მიღებული ნორმების მიხედვით, მხოლოდ პოლიციური ძალით, ხოლო მტრის საარტილერიო დარტყმის აღსაკვეთად საქართველოს ხელისუფლების მოვალეობა (და არა მხოლოდ უფლება) იყო, გამოეყენებინა ყველა სახის შეიარაღებული ძალა, რაც კი დაშვებულია ომის წარმოების დღეს ძალაში მყოფი საყოველთაოდ აღიარებული ნორმებით, მით უმეტეს, რომ 7 აგვისტოს რუსეთის 58-ე არმიის ნაწილთა შემოსვლა საქართველოში როკის გვირაბით უკვე დაწყებული იყო და, ამგვარად, რუსეთის ღია სამხედრო დარტყმა საქართველოზე უკვე მიმდინარეობდა.

4. ჩვენ ჯერ არ ვიცით, როგორი იქნება ქ-ნ ტალიავინის კომისიის დასკვნა (თუმცა, თუ ამ კომისიის დაკომპლექტების წესის მიხედვით ვიმსჯელებთ, არ მოველით, რომ იგი არ იქნება ტენდენციური საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ), მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალთა მხრიდან ადგილი ჰქონდა ომის წარმოების დღეს მოქმედ ნორმათა დარღვევას (კონკრეტულად, თუ აღმოჩნდება, რომ მოხდა საქართველოს მხრიდან კასეტური ჭურვების ხმარება რუსეთის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ იმ პირობებში, როცა ხდებოდა კასეტური ჭურვებით ქართული სოფლების დაბომბვა, მათ შორის - საომარ მოქმედებათა ზონის გარეთაც, მაგ. ერგნეთსა და მელვრეკისში, აგრეთვე გორის რაიონის სხვა სოფლებში), მაშინ მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ



რუსეთის შემოტევა („The Economist")

გასათვალისწინებელი იქნება შემდეგი ორი გარემოება: პირველი. მრავალრიცხოვანი ფაქტები მოწმობს, რომ სააკაშვილის ადმინისტრაცია არის არა საქართველოს მოსახლეობის მიერ დემოკრატიული წესით არჩეული ხელისუფლება, არამედ რუსული ადმინისტრაცია საქართველოში, რუსეთის პირდაპირი მართვის ქვეშ მდგომი, რომელიც უკვე მრავალი წელია, რაც მიზანმიმართულად ანგრევს საქართველოს სახელმწიფოს სტრატეგიულად, პოლიტიკურად, ეკონომიკურად და მორალურად. სააკაშვილის ხელისუფლებას არ შეუძლია დემოკრატიული დასავლეთის პოლიტიკის წინააღმდეგ სვლა, რომელიც დღესდღეობით თანმიმდევრულად ტარდება საქართველოსა და მთლიანად სამხრეთ კავკასიაში სტაბილობის ხელშეწყობის, ადმინისტრაციული, ეკონომიკური, სატრანსპორტო, მთლიანად სამოქალაქო ცხოვრების სისტემათა ნორმალური ფუნქციობის ხელშეწყობის მიმართულებით. ეს ამ ადმინისტრაციას არ შეუძლია არც მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე, არც ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობის ნების წინაშე. მაგრამ მას შეუძლია დროდადრო, შენიღბულად, ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც რუსეთის ინტერესებშია და როგორც დემოკრატიული მსოფლიოს ინტერესების, ისე საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების საწინააღმდეგოდაა მიმართული. (ასეთ ნაბიჯად მიგვაჩნია ჩვენ, მაგალითად, მოსახლეობის წინააღმდეგ მხუთავი გაზის გამოყენება 2007 წლის 7 ნოემბერს, რაც იმას ისახავდა მიზნად, რომ ნატოს უახლოეს სამიტზე, ორი თვის შემდეგ, საბუთი იქნებოდა საქართველოსათვის მაპ-ის მოცემის წინააღმდეგ, რაც მხოლოდ რუსეთის ინტერესს შეესაბამებოდა და, საფიქრებელია, მხოლოდ რუსეთის ბრძანებით მოხდა). ასეთ ნაბიჯებს სააკაშვილის მმართველობის ისტორია, ისევე როგორც მანამდე შევარდნაძის მმართველობისა, მრავლად იცნობს. ეკონომიკური და მორალური ნგრევის ფაქტებიც რომ არ ვახსენოთ, ნიმუშად კმარა შემდეგიც.

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ არც შევარდნაძის პრორუსულმა ადმინისტრაციამ, არც სააკაშვილისამ არ გააუქმა რუსეთის სამშვიდობო მანდატი, ანუ, გარდუვალი ომის მოლოდინში, რუსებს დაუტოვა უფლება, რომ ცეცხლი გაუხსნან ქართველებს, ხოლო ქართველებს არ მისცა უფლება, ცეცხლი გაუხსნან რუსებს; არ განაცხადა ოფიციალურად, რომ რუსეთი აწარმოებს ომს საქართველოს წინააღმდეგ; სააკაშვილმა განაცხადა მზაობა საქართველოში კიდევ ერთხელ შექმნას არსებული კანონის წინააღმდეგ „ოსეთი", და ამ უკანასკნელს მიაკუთვნა ახალგორის რაიონიც, სადაც არანაირი კონფლიქტი არ იყო და სადაც რუსი მეშვიდობეები არ იდგნენ. ეს ნაბიჯები, საზოგადოების აზრით, სახელმწიფო ღალატის აქტებია და ცალსახად მეტყველებს სააკაშვილის ხელისუფლების ორგულობაზე საქართველოს მიმართ (რუსეთის) სასარგებლოდ. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვრაცხთ და საზოგადოების დიდი ნაწილიც რაცხს, რომ სააკაშვილმა, თუკი მოახდინა ის ნორმათდამრღვევი ქმედებები, რომლებიც მას მიეწერება, ეს ქნა მხოლოდ რუსეთის პირდაპირი ბრძანებით, რათა რუსებს ხელთ ჰქონოდათ ორი ყალბი საბაბი ომის დაწყებისა: ერთი ის, რომ ქართველებმა რუსებს თვითონ „ესროლეს", მეორე ის, რომ ქართველებმა ოსების „გენოციდი" მოინდომეს. ვფიქრობ, ზემოდასახელებული გარემოებები საკმარისია მოვლენათა ცალსახა ინტერპრეტაციისათვის, — რომ სააკაშვილმა, თუკი „პირველმა" გაისროლა, ეს გასროლა მოახდინა მაშინ, როცა რუსებმა უბრძანეს, გაისროლა ის ჭურვი, რომელიც რუსებმა უბრძანეს, და იმ მიმართულებით, რომლითაც რუსებმა უბრძანეს.

ვურჩევთ ყველა იმ ოპოზიციურსა და მოჩვენებით ოპოზიციურ პარტიებს, რომლებიც მოისურვებენ აგვისტოს ომის განხილვას და თავისი დასკვნების საჯაროდ გამოტანას, გაითვალისწინონ ზემოთჩამოთვლილი გარემოებების ლოგიკა და თავის დასკვნებში ფრთხილად იყონ.

მეორე. ჩვენ არც ის ვიცით, როგორი იქნება ქ-ნ ტალიავინის კომისიის დასკვნა რუსეთის მეშვიდობეების როლსა და ბედზე აგვისტოს ომში. ჩვენთვის ცნობილია, რომ მეშვიდობეები თავისი დისლოკაციის ადგილებიდან პასიურად ადევნებდნენ თვალს მოვლენების განვითარებას მანამდე, სანამ ქართული შეიარაღებული ძალების უკანდახევა არ დაიწყო, ხოლო შემდეგ გაუხსნეს ამ უკანასკნელებს ცეცხლი ზურგში. რუსეთის ხელისუფალნი, პირიქით, აცხადებენ, რომ ქართველებმა მეშვიდობეებს ესროლეს, და თავისი საბრძოლო მოქმედების ერთერთ საფუძვლად ეს გარემოება მოჰყავთ. სამწუხაროდ, ვერ გამოვრიცხავთ იმის შესაძლებლობასაც, რომ საქართველოს მხარე ქ-ნ ტალიავინის კომისიის მიერ დასკვნის წარმოდგენის შემდეგ საკმარისი მონდომებით არ იმუშავებს, რათა ამხილოს რუსეთის მხარის ეს მიზანმიმართული სიცრუეც, რომელიც არსებით ელემენტს შეადგენს მის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წამოწყებული აგრესიის გამართლებაში.

*საქართველოს ეროვნულ პარტიათა ალიანსი*
*22. IV. 2009 წ.*

# საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის სამოქმედო გეგმა უახლოესი თვეებისათვის (მონახაზი)

1. არსებული ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაშაულთა□ აღრიცხვა, მის მიმართ არსებული საბრალდებო დასკვნის შევსება, მისი მხრიდან მოსალოდნელ ანტისახელმწიფოებრივ ნაბიჯთა პროგნოზირება და დაფიქსირება მათი შეძლებისდაგვარად აღკვეთის და უვნებელყოფის მიზნით.

პრაქტიკულად:

ა) აქციები კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით

ბ) ხელმოწერათა შეგროვება (პარტიებისა და მოსახლეობისა) ხელისუფლების პოლიტიკისაგან საქართველოს გასამიჯნავად და მის მავნე შედეგთა გასაუქმებლად (მომავალში).

2. პოლემიკური და პრაქტიკული ბრძოლა საქართველოზე უცხო შემოტევათა მოგერიებისათვის (საპროპაგანდო ომში საერთოდ და მიმდინარე საკითხებში კერძოდ). დღეს ასეთი საკითხებია: ტალიავინის კომისიისაგან ობიექტური დასკვნის მიღწევა, ქართველ დევნილთა დაშვება ჟენევის მოლაპარაკებებზე, მსოფლიოსათვის განმარტება რეალური უფლებრივი ვითარებისა ცხინვალში და აფხაზეთში, აგრეთვე საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის რაობისა, რომლის აშენებაც გვინდა.

3. საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობის ორგანიზაციული დაწყება დღესვე, საქართველოში ანტისახელმწიფოებრივი მარიონეტული ხელისუფლების არსებობის პირობებშივე. ამისათვის:

ა) ანალიზისა და პროგნოზის ჯგუფების შექმნა (დარგობრივად და მთლიანობაში). საჭირო ინფორმაციის შეგროვების ორგანიზება მსოფლიოში მიმდინარე და საქართველოსათვის მნიშვნელოვანი პროცესების შესახებ (მონიტორინგი). შესაბამისი კადრის მომზადება

ბ) მიმდინარე მომენტისათვის და სამომავლოდ ოპტიმალური კანონმდებლობის შექმნა (პროექტების სახით) და საზოგადოებისათვის წარდგენა. მიმდინარე ანტიქართული კანონმდებლობის (რომელიც მოსალოდნელია) მხილება და მისი პრაქტიკაში მიღების არდაშვება.

გ) საზოგადოებაში (მოსახლეობაში) არსებულ საშიშროებათა და საჭირო ნაბიჯთა სწორი ხედვის გავრცელება და ამისათვის ორგანიზაციული ქსელის შექმნა

დ) საჭირო პოლიტიკური აქტივობისათვის ხალხის ორგანიზების საფუძველთა შექმნა

ე) ხელისუფლების დანაშაულებრივ ანტიდემოკრატიულ და კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში მონაწილე ძალოვანთა და არაძალოვანთა მონაწილეობის ინდივიდუალური აღრიცხვა, მხილება და ამ საფუძველზე მომავალი სამართლებრივი დევნისათვის საფუძვლის მზადება

3. ძალის შექმნა.

4. ბრძოლა საქართველოში არამარიონეტული ხელისუფლების მოყვანისათვის. ამ ბრძოლის აუცილებელი შემადგენელი ელემენტები (გარდა ისეთებისა, რაც შეიძლება კიდევ მოიტანოს მოვლენათა კონკრეტულმა განვითარებამ) შემდეგია: (ურთიერთპარალელურად)

– რეალისტური საარჩევნო კანონმდებლობის მიღებინება (რაც ქუჩის აქციის გარეშე შეუძლებელია)

– ვადამდელი საპარლამენტო (და, შესაძლოა, აგრეთვე საპრეზიდენტო) არჩევნების დანიშვნინება (რაც აგრეთვე შეუძლებელია ქუჩის ფაქტორის გარეშე)

– არჩევნების რეალურად ჩატარება (რაც აგრეთვე მასის ფაქტორის მონაწილეობას მოითხოვს)

– მყარი პროგრამის გარშემო (რომელიც მოიცავს საქართველოს გადარჩენისათვის აუცილებელი ნაბიჯების მინიმუმს) სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობით აღჭურვილი პიროვნებებისა და ჯგუფების ორგანიზება ერთ საარჩევნო ბლოკად.

*27.05.2009 წ.*

# საქართველოს ეროვნულ პარტიათა ალიანსის პოზიცია 2009 წლის 9 აპრილს დაგეგმილ პოლიტიკურ აქციასთან დაკავშირებით

1. მ. სააკაშვილის ხელისუფლება ჩვენ მიგვაჩნია რუსულ ადმინისტრაციად საქართველოში. იგი მართულია რუსეთის მიერ საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვან სასიცოცხლო ინტერესთა საწინააღმდეგოდ. ეს ადმინისტრაცია არის არალეგიტიმური, რადგან იგი დღეს ძალაუფლებას ფლობს მხოლოდ ტოტალურად გაყალბებული არჩევნების შედეგად. ამავე დროს მას ახასიათებს ანტიხალხური სისხლიანი და კორუმპირებული ტირანიის ნიშანთა ფართო სპექტრი. მის მიერ საქართველოს მართვის ყოველი დღე ქვეყნისა და სახელმწიფოსათვის ახალი კატასტროფების მომტანია. ამიტომ ამ პოლიტიკური ჯგუფის - მ. სააკაშვილისა და მისი გუნდის – უვნებელყოფა, როგორც სახელმწიფოს მიზანმიმართული ნგრევის განმახორციელებლებისა უცხო დავალებით, სახელდობრ, მათი მოცილება საქართველოს ხელისუფლებიდან, ჩვენის აზრით, გადაუდებელი ამოცანაა. მიგვაჩნია, რომ ქართველი ხალხის სრული და ერთობლივი ძალისხმევით ეს ამოცანა მშვიდობიანად უნდა გადაწყდეს.

2. გადაუდებელ ნაბიჯად საქართველოში დღეს არსებული ანტიქართული და არალეგიტიმური ხელისუფლების ახალი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების უვნებელყოფისათვის ჩვენ მიგვაჩნია პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ზოგადად საზოგადოებრიობის მიერ იმის გაცხადება, რომ ჩვენ, საქართველოს ხალხი და მისი პოლიტიკური ორგანიზაციები, ვცნობთ რა საზოგადოებრივი წესრიგის აუცილებლობას და არსებული მმართველი სისტემისადმი მორჩილების საჭიროებას დე ფაქტო, ამავე დროს არ ვცნობთ არც დღევანდელ პრეზიდენტს, არც პარლამენტს, არც მთავრობას დე იურე, მაშასადამე, არ ვცნობთ მათს უფლებამოსილებას ისეთი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დასადებად, რომლებითაც ზარალდება (იკვეცება) საქართველოს ტერიტორია ან იურისდიქციის ხარისხი ამ ტერიტორიის რომელსამე წერტილში, აგრეთვე ნასყიდობებისა და სხვა ისეთი იურიდიული აქტების განსახორციელებლად, რომლითაც საქართველოს მთლიანად ან ნაწილობრივ ეკარგება სათავდაცვოდ, ეკონომიკურად ან სხვაგვარად სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ობიექტები (რაც ჩვენ განცხადებული გვაქვს გაზ. „რეზონანსში“ გამოქვეყნებული განცხადებით). საქართველო თავისი პოლიტიკური ძალებისა და მთლიანად საზოგადოების სახელით დაუყოვნებლივ უნდა გაემიჯნოს არსებულ ხელისუფლებას, რათა ამით აღკვეთოს ქვეყნის მომავალი პასუხიმგებლობა თავისი დღევანდელი უპასუხისმგებლო და არალეგიტიმური ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე, კორუფციაზე აგებულ კაბალურ ხელშეკრულებებზე და ვალებზე. ამ ნაბიჯის გადადგმა საზოგადოებრიობისა და მისი პოლიტიკური ძალების მიერ აუცილებელია ყველა შემთხვევაში.

3. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უნდა განისაზღვროს და საქართველოს საზოგადოებრიობის სახელით მ. სააკაშვილსა და მის გუნდს წარედგინოს ხელისუფლებიდან მისი წასვლის ყველაზე უმტკივნეულო და ქვეყნის სტაბილურობასთან შეთავსებადი გზა. სახელდობრ:

— ან საქართველოს ხელისუფლებამ დე ფაქტო პრეზიდენტის, პარლამენტის და მთავრობის სახით დაუყოვნებლივ უნდა მიჰმართოს გაეროს თხოვნით, რათა გამოიყენოს მის ხელთ არსებული უფლება და ამ უფლების განხორციელების პრაქტიკული გამოცდილება, რათა საქართველოში დაუყოვნებლივ ჩაატაროს ხელისუფლების უზენაესი ორგანოების არჩევნები,

— ან დაუყოვნებლივ მიიღოს დემოკრატიული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ შედგენილი საარჩევნო კანონმდებლობა (ასეთი პროექტები ხელთ გვაქვს), რომელიც იძლევა იმის გარანტიას ან შესაძლებლობას მაინც, რომ ამომრჩეველთა მიერ მიცემული ხმები აისახოს არჩევნების ოფიციალურ შედეგებში (რადგან დღევანდელი კანონმდებლობა იძლევა ხელისუფლების მიერ არჩევნების ტოტალური გაყალბების სრულ თავისუფლებას) და

— დაუყოვნებლივ დაინიშნოს პირველ ყოვლისა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები.

საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან მ. სააკაშვილის წასვლის ზემოხსენებული პროცედურა ჩვენ ოპტიმალურად მიგვაჩნია. თუ მ. სააკაშვილი ამ პროცედურის გვერდის ავლით გადადგება, მაშინ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ზემოაღწერილი ნაბიჯები – გაეროსადმი მიმართვა არჩევნების ჩატარების თაობაზე ან ახალი საარჩევნო კანონმდებლობის მიღება, ამავე დროს არჩევნების დაუყოვნებლივ დანიშვნა - პარლამენტის მიერ უნდა გადაიდგას.

4. ვიცნობთ რა რუსეთის სახელმწიფოს ტრადიციულ პრაქტიკას და მისი დღევანდელი ხელისუფლების აგრესიულ მიმართულებას, მოველით მისი სპეცსამსახურებისა და მის მიერ დაფინანსებული შესაძლო მოღალატური ქართული პარტიებისა და ჯგუფების მიერ 9 აპრილს შეიარაღებული შეტაკების ორგანიზების და სისხლისღვრის მცდელობას. მოვუწოდებთ საზოგადოებას როგორც მომიტინგეების სახით, ისე ფართო საზოგადოების სახით აბსოლუტური სიმყარისაკენ საქართველოს ამ უბოროტესი და დღესდღეობით ყველაზე აქტიური მტრის წინაშე. უნდა გვახსოვდეს, რომ დღეს და უახლოეს განჭვრეტად მომავალში ჩვენ პირდაპირი ან არაპირდაპირი რუსული ცეცხლის ქვეშ ვართ, რადგან რუსეთი იბრძვის საქართველოს, როგორც ქვეყნისა და ერის, განადგურებისათვის, რათა საქართველო იყოს გაუვალი ტერიტორია, რომელიც ვერ დააკავშირებს ერთმანეთთან ცენტრალურ ევროპასა და ცენტრალურ აზიას. საქართველოში ორგანიზებული კიდევ ერთი სამოქალაქო ომი იქნებოდა დიდი ნაბიჯი საქართველოს ასეთ გაუვალ ქაოსის ზონად ქცევის მიმართულებით.

ამავე დროს, ვიცით რა მ. სააკაშვილისა და მისი პოლიტიკური გუნდის უპასუხისმგებლო დიქტატორული ბუნება და რუსეთისადმი მისი მორჩილების ხარისხი, მოველით მათი მხრიდან იერიშის მოტანას მშვიდობიან დემონსტრაციაზე და რუსეთის ზემოხსენებული ზრახვის განხორციელებაში მათი მონაწილეობის სხვა შესაძლო ფორმებს. ამიტომ მანიფესტაციის მონაწილეებსა და ორგანიზატორებს მოვუწოდებთ მაქსიმალური სიფხიზლისაკენ, ხოლო შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნენ ხსენებულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში, შევახსენებთ, რომ დანაშაულებრივი ბრძანების შესრულება დანაშაულად ითვლება და ყოველ პიროვნებას მათი პირადი შემადგენლობიდან გარდუვალად მოეთხოვება პასუხი თავის მოქმედებაზე.

5. საქართველოში პოლიტიკურ პროცესთა დღევანდელ განვითარებაში, რომლებიც სხვა არა არის რა თუ არ სააკაშვილისა და მისი ფარულად პრორუსული ადმინისტრაციის დანაშაულებრივ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებათა შედეგი და საზოგადოების ბუნებრივი რეაგირება ამ ქმედებებზე, ჩვენ ვხედავთ, დადებითთან ერთად (ანუ მ. სააკაშვილის ნებაყოფლობითი გადადგომის და საქართველოს სწრაფი დემოკრატიზაციის შესაძლებლობასთან ერთად) ორი მძიმე შედეგის შესაძლებლობასაც. პირველი ისაა, რომ მოხდება მოქალაქეთა შორის სისხლისღვრა და საქართველოს განვითარება შეფერხდება მრავალი წლით, რის ფონზეც უკიდურესად დამძიმდება განჭვრეტად მომავალში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრესპექტივა. მეორე ისაა, რომ, თუმცა მსოფლიოს მოწინავე დემოკრატიული ქვეყნების ხელშეწყობით აცილებული იქნება სისხლისღვრა, დღევანდელი კრიზისული მდგომარეობა გამოყენებული იქნება იმისთვის, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მოქმედი ერთი პოლიტიკური გუნდი საქართველოს ხელისუფლებაში შეიცვალოს მეორე ამდენადვე ანტისახელმწიფოებრივად მოქმედი გუნდით, როგორც ეს მოხდა 2003 წელს ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ ფორმით (რაც ვერ მოხდებოდა, 2003 წელს რომ სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძის ჯგუფს „დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი დემოკრატი პოლიტიკოსების“ ყალბი შარავანდი არ ჰქონოდათ). ჩვენ ორივე აღნიშნული პრესპექტივა – რუსეთის შეუნიღბავი მცდელობაც, რომ სამოქალაქო ურთიერთდაპირისპირების სისხლიან ფონზე საქართველოს სათავეში ამჯერად ღიად პრორუსული ჯგუფი მოიყვანოს, და მისივე შენიღბული მცდელობაც, რომ საქართველოს სათავეში გარეგნულად პროდასავლური, მაგრამ რეალურად რუსული ინტერესების გამტარებელი ჯგუფი მოიყვანოს – დაუშვებლად მიგვაჩნია. (ამ მეორე პერსპექტივას დღეს ასახიერებენ პირველ ყოვლისა (მაგრამ არა მხოლოდ) ბურჯანაძის და ნოღაიდელის პარტიები, რომელთა პოლიტიკური ბიოგრაფიები ძირითადად შევარდნაძისა და სააკაშვილის ანტიქართულ პოლიტიკაში მონაწილეობისაგან შედგება, და რესპუბლიკური პარტია, რომელსაც, შევარდნაძესთან და რუსეთთან ღია კავშირის გარეშე, ყველა მნიშვნელოვან პარამეტრში არსებითად იგივე მიმართულება აქვს)

ჩვენი პოლიტიკური პოზიცია (რომლის უკანასკნელი პუბლიკაცია მოთავსებულია გაზ. „რეზონანსში) შემდეგია:

— საქართველო, როგორც დედამიწის ერთერთი ნაწილი, ეკუთვნის ქართველ ერს, როგორც კაცობრიობის ერთერთ ნაწილს.

— საქართველო არის დემოკრატიული, კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობაზე აგებული სახელმწიფო. აფხაზეთის ავტონომიური სტატუსის იდეალურად სამართლიან განსაზღვრაში (რომლის პროექტიც ხელთ გვაქვს) შედის როგორც თბილისისა და სოხუმის უფლებამოსილებათა გამიჯვნა, ისე სოხუმისა და აფხაზეთის რეგიონების უფლებამოსილებათა განსაზღვრა.

— ერისა და სახელმწიფო მიზანთა შორის ერთერთი არის ობიექტური პირობების შექმნა საქართველოს მარადიულყოფისათვის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსი, გაეროს მიერ აღიარებულ საზღვრებში მყოფი სახელმწიფოსი, სახელის „საქართველო“ მატარებელი სახელმწიფოსი და ქართული, ანუ თავის მოქალაქესთან ქართულ ენაზე მოლაპარაკე სახელმწიფოსი.

ჩვენს დამოკიდებულებას საქართველოში მოქმედი სხვა პოლიტიკური სუბიექტებისადმი ჩვენ განვსაზღვრავთ იმის მიხედვით, თუ როგორ ეკიდებიან ისინი ამ პრინციპებს.

განზრახული გვაქვს 9 აპრილს მიტინგზე მისვლა, რათა მის ლიდერთა და მონაწილეთა მიმართ შექმნილი ყველა ხიფათი გავიზიაროთ.

*საქართველოს ეროვნულ პარტიათა ალიანსის სახელით:*

*აფციაური ლ., ბარბაქაძე ზ., ბახტაძე დ., ბერიანიძე ტ., გიორგაძე მ., გოთუა მ., გუჯაბიძე დ., დუნდუა რ., ზარდალიშვილი ო., იმნაძე ა., კაკულია ა., კახაძე კ., კოლუაშვილი პ., კუპრეიშვილი დ., მგალობლიშვილი ზ., ნათაძე ნ., სიჭინავა ა., სორდია გ., ქორიძე თ., შავთვალაძე თ., ხომასურიძე დ., ჯორჯიკია ვ.*

*28. 03. 2009 წ.*

## საქართველოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების

# განცხადება

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება

— ექვემდებარება და, ფაქტობრივად, მხილებულია იმაში, რომ იგი მართულია უცხო ძალების, სახელდობრ, რუსეთის მიერ, რის გამოც მისი პოლიტიკა უპირისპირდება საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებს,

— არალეგიტიმურია, სახელდობრ, ძალაუფლებას ფლობს მხოლოდ ტოტალურად გაყალბებული საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად,

ჩვენ, ვაღიარებთ რა, სიტყვითა და საქმით, სამოქალაქო მშვიდობისა და საზოგადოებრივი წესრიგის აუცილებლობას, ამავე დროს არ ვცნობთ მას დე იურე, ანუ არ ვცნობთ მის უფლებამოსილებას, რომ განსაზღვრავდეს საქართველოს დღევანდელსა და მომავალ ბედს, განკარგავდეს მის ეროვნულ სიმდიდრეს, მის სათავდაცვოდ, ეკონომიკურად და ეკოლოგიურად სტრატეგიულ ობიექტებს, წყვეტდეს ომისა და მშვიდობის საკითხებს, დებდეს ისეთ შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს (მით უმეტეს, კაპიტულაციური მომენტების შემცველს), რომელთაც პრინციპულად შეუქცევადი ან ძნელად შესაქცევი შედეგები მოჰყვებათ.

გვინდა იცოდნენ საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის მქონე სახელმწიფოებმა, აგრეთვე საქართველოსთან და მასში არსებულ იურდიულსა და ფიზიკურ პირებთან საქმიანი ურთიერთობის მქონე იურდიულმა და ფიზიკურმა პირებმა, რომ საქართველოს დღევანდელი არალეგიტიმური და ორგული ხელისუფლების მიერ განხორციელებული იურდიული აქტები ტერიტორიის თაობაზე, მის რომელსამე წერტილში ცენტრალური ხელისუფლების უფლებამისილებების თაობაზე და საკუთრების (პირველ ყოვლისა – უძრავი ქონების) თაობაზე ექვემდებარება გაბათილებას მომავალი ლეგიტიმური ხელისუფლების მხრიდან იმ შემთხვევებში, თუ ეს აქტები ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, რისი ფაქტიც ყველა ცალკეულ შემთხვევებში ექვემდებარება დადგენას სასამართლოს მიერ.

*საქართველოს ეროვნულ პარტიათა ალიანსი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერი ოკუპანტს არ ურიგდება, არც შეურიგდება

## ყორნისის, ჯავის, ცხინვალის და ახალგორის რაიონებიდან დევნილი მოსახლეობის საზოგადოებრივი ორგანიზაციების: „ლიახვის ხეობა“, „თამარისი“ და „შიდა ქართლი“-ს

# მ ი მ ა რ თ ვ ა

## გაეროსადმი, ეუთოსადმი, მსოფლიოს ხალხებისა და მთავრობებისადმი

ჩვენ ვართ გენოციდისა და ტოტალური ეთნიკური წმენდის მსხვერპლნი. 2008 წლის აგვისტოს რუსულ-ქართულ ომში, რომელიც ცხინვალის რეგიონში მიმდინარეობდა, დაზარალებულნი სხვა ყველაზე მეტად ჩვენ ვართ:

მრავალს ჩვენგანს წართმეული აქვს სიცოცხლე, უფრო მეტს — ჯანმრთელობა, ყველას — საკუთრება, საცხოვრებელი სახლები და წინაპართა საფლავები.

შეიარაღებული თავდასხმებით ჩვენზე და ჩვენს ოჯახებზე, ჩვენი ადამიანური უფლებების ყოველმხრივი შელახვით და ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიის დაკავებით უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების მიერ, საერთაშორისო სამართლის ყოველგვარი ნორმის საწინააღმდეგოდ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის უცხო ქვეყნად ცნობით იმავე აგრესიული სახელმწიფოს მიერ ხელყოფილია ჩვენი პირადი, მოქალაქეობრივი და ეროვნული ღირსება. ჩვენს ყველა თაობას, მოზარდთა ჩათვლით, მოყენებული აქვს უმძიმესი მორალური ტრამვა: უკვე 87 წელიწადია, — მას შემდეგ რაც საქართველოს ერთი ნაწილი „ოსეთად“ გამოცხადდა, — ჩვენ მოწმედ გაგვხადეს ჩვენი ქვეყნის დამცირებისა და შეურაცხყოფისა მისი ტერიტორიის უომარი, მაგრამ ძალადობითი წართმევის მცდელობით. 1922 წლის აპრილიდან, ჩვენს მიწაზე რუსების მიერ შეთხზული ახალი ქვეყნის — „სამხრეთ ოსეთის“ — დაარსებიდან ჩვენი ბავშვები იზრდებიან იმ შეგნებით, რომ საკუთარ მიწაზე სხვა ეროვნების ადამიანებთან შედარებით მეორეხარისხოვანი უფლებების მატარებელნი არიან — რომ, მაგალითად, ცხინვალის რეგიონის ყველაზე მაღალ თანამდებობაზე ვერასდროს ვერ დაინიშნებიან მხოლოდ იმის გამო, რომ ეროვნებით ქართველები არიან. ბოლო 17 წელიწადი — იმ დღიდან, რაც ჩვენს სოფლებში ჩვენს მიერ დაუპატიჟებელი რუსი „მემშვიდობეები“ შემოვიდნენ და მათ „ჩრდილო“ ოსეთიდან ასევე ჩვენს მიერ დაუპატიჟებელი ოსი „მემშვიდობეები“ შემოჰყვნენ, რამაც რუსების მიერვე შეიარაღებულსა და გაწვრთნილ ადგილობრივ ოსურ რაზმებს, „ე.წ. ბოევიკებს“ დაუსჯელობისა და განუკითხაობის გარანტია მისცა, — ჩვენი ცხოვრების პირობები ფიზიკურადაც გაუსაძლისი გახდა. ოსური „ბოევიკების“ თარეშის შედეგად ჩვენ ტყეში ვერ გავდიოდით შეშისათვის, ვერ ჩავდიოდით ჩვენს ცენტრში ცხინვალში ყოველდღიური საჭიროებისათვის, ჩვენი სოფლები მუდმივი ცეცხლის ქვეშ იყო ოსური სოფლებისა და რუსი მემშვიდობეების განლაგების მხრიდან. ჩვენი ბავშვები შეეჩვივნენ ჩვეულებრივად თამაშსა და საქმის კეთებას იმ დროს, როცა სოფელში ტყვიამფრქვევის ჯერები ისმის. ისეთი სასტიკი მკვლელობები, როგორიცაა ცოცხლად დაწვა, მოტორიანი ხერხით „დრუჟბა“ ადამიანის გადახერხვა, ადამიანის გატაცება, სადისტური დასახიჩრება და გვამის დამალვა, აგრეთვე არაერთი სხვა სახისა, ჩვენი მოსახლეობის წინააღმდეგ „მემშვიდობეთა“ შემოსვლის შემდეგ ისევე გაგრძელდა, როგორც ხდებოდა მანამდე. ამ აუტანელ პირობებს ჩვენმა მოსახლეობამ გაუძლო. ბოლოს, აგვისტოს ომის დროს ჩვენი სოფლები კასეტური ჭურვების გამოყენებით დაბომბა რუსულმა არტილერიამ, დაბომბა რუსულმა ავიაციამ და ქარიშხლისებრი ცეცხლი გაუხსნა ჩვეულებრივი ჭურვებით რუსულმავე არტილერიამ. ამ ცეცხლის საფარქვეშ მოსალოდნელი იყო არავის და არაფრის წინაშე პასუხისმგებლობის არმქონე ოსური ბანდების შემოსვლა და მოსახლეობის მასობრივი ხოცვა. ამის შედეგად ჩვენი ოჯახების სრული ფიზიკური განადგურების რიდით იძულებულნი გავხდით სოფლები მიგვეტოვებინა და გამოვქცეულიყავით. რუსული არტილერიის ცეცხლი თან მოგვყვებოდა , რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი დახოცვა რუსებს შეგნებულად უნდოდათ. დღეს რუსებისა და ოსების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ახალგორის რაიონის გარდა არც ერთი ქართული სოფელი აღარ არის. ეთნიკური წმენდა ქართველი მოსახლეობის მიმართ დღეს გრძელდება ახალგორის რაიონში, სადაც ქართველი მოსახლეობა უმრავლესობაა და სადაც არანაირი კონფლიქტი ქართველებსა და ოსებს შორის აქამდე არ მომხდარა.

მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოს ომში დაზარალებულნი სხვა ყველაზე უმეტესად ჩვენ ვართ, ჟენევის ჯერ მოლაპარაკებებზე გაეროს, ეუთოს, საქართველოსა და რუსეთის მონაწილეობით ცხინვალის კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე, შემდეგ კი მათსავე „კონსულტაციებზე“ ამავე თემის შესახებ, ისევე როგორც არც ერთ სხვა საერთაშორისო მოლაპარაკებაში ამავე თემაზე, ჩვენ წარმოდგენილნი არ ვართ. ჩვენ ეს მიგვაჩნია უსამართლობად და არარეალისტურ მიდგომად სიტუაციის დარეგულირების ამოცანისადმი: ჩვენი მდგომარეობა ამ ბოლო 17 წლის მანძილზე და მანამდე ისე კარგად არავინ იცის, როგორც ჩვენ; ასევე, ჩვენზე უკეთ არავინ იცის, რა უსამართლოა, დაუნდობელია და რა გარდაუვალი მძიმე შედეგების მომტანია — თუკი აღდგენილ იქნა — ოსური ეთნიკური ტერიტორიული ავტონომია ჩვენს მიწაწყალზე. ასევე, ჩვენზე უკეთ არავინ იცის, რა და რა პირობები უნდა იყოს დაცული, რათა ჩვენ, მას შემდეგ, რაც მიწის პირიდან თითქმის ალგვილ ჩვენს სოფლებში დავბრუნდებით, იქ ცხოვრება შევძლოთ.:

ის, რომ ჩვენი ბედის შესახებ მიმდინარე საერთაშორისო მოლაპარაკებებში არ ვმონაწილეობთ ჩვენ, არამედ მონაწილეობს რუსეთი, რომელიც 1989 წლიდან, ფაქტობრივად, არის ჩვენ წინააღმდეგ მეომარი მხარე, და არაოფიციალურად მონაწილეობენ ოსები, თუნდ სანაკოევის სახით, — ჩვენს მიწაზე სულ რამდენიმე თაობის წინ შემოსახლებული ადამიანები, რომლებსაც ჩვენი მიწა თავისად აქვთ გამოცხადებული და მასზე საკუთარი სახელმწიფოს შექმნა ჰსურთ — ჩვენ მიგვაჩნია ბარბაროსულ დანაშაულად არა მხოლოდ სამართლის, არამედ ადამიანობის ყველა ნორმის წინააღმდეგაც. ჩვენ არ ვენდობით მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფოს, არც ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომ ჩვენი ბედი განიხილოს, შესაბამისი დარეგულირების მიზნით, ჩვენს გარეშე. ამიტომ კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ ჟენევის მოლაპარაკებებში (ახლა, სამწუხაროდ, მხოლოდ კონსულტაციებში) მუდმივად მონაწილეობდეს ჩვენი, როგორც ცხინვალის კონფლიქტში ყველაზე უფრო მეტად დაზარალებული და სიცოცხლეხელყოფილი მხარის, წარმომადგენლობა.

არ ვენდობით დღევანდელი ფორმატით მოლაპარაკებათა არც ერთ მონაწილეს და არავის, ჩვენი თავის გარდა, კერძოდ, შემდეგში

1. არ მოველით, რომ ადექვატურად იქნება წარმოდგენილი შეურაცხყოფის ის მდგომარეობა, რომელშიც ჩვენ და ჩვენი შვილები — ამ მიწაწყლის ერთადერთი ავტოხთონური მოსახლეობა — ვიმყოფებოდით 1922 წლის აპრილიდან. თაობები იბადებოდნენ, ცხოვრობდნენ, როგორც უძლური მოწამენი იმისა, თუ როგორ ართმევდნენ მათ მამაპაპის მიწაწყალს სხვები, მას შემდეგ, რაც მას მოგონილი სახელი „ოსეთი“ დაარქვეს, როგორ აბატონებდნენ მათზე და მათს მიწაზე ერთი თაობის, ორი თაობის ან, მაქსიმუმ, ხუთი თაობის წინათ მოსულ (ძირითადად კი ორი თაობის მოსულ) ახალ მოსახლეობას. როგორც უკვე ვთქვით, ჩვენმა ბავშვებმა იცოდნენ, რომ ჩენს რეგიონში მაღალ თანამდებობაზე ვერასოდეს ვერ მოხვდებიან მხოლოდ იმის გამო, რომ აქაური ქართველები არიან და არა „სატიტულოდ“ ქცეული ხალხის შვილები, ოსები. ამიტომ ჩვენ ვიცით (ხოლო მოლაპარაკებათა არც ერთ სხვა მონაწილეს აქამდე არ გაუმჟღავნებია, თუმცა ეს მისი მოვალეობა იყო), რომ სავსებით გამართლებული იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ გაუქმების შესახებ და რომ ეს სამართლებრივი აქტი არავის — საქართველოს არცერთ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს არ გაუუქმებია, რის გამოც სახელი „სამხრეთ ოსეთი“ კანონსაწინააღმდეგოა და მისი ხმარება არის საქართველოს კანონის წინააღმდეგ სვლა. ასევე, ჩვენი ბედის შესახებ მოლაპარაკებათა არც ერთმა მონაწილემ დღემდე არ ახსენა ის ფაქტი, რომ ახალგორის რაიონი, სადაც მოსახლეობა თითქმის მთლიანად ქართველია, არასოდეს გამხდარა კონფლიქტის ზონა და მასში „მემშვიდობეც“ არასოდეს შესულა. დღეს ამ რაიონში რუსი ოკუპანტები დგანან და ოსური ბანდები აგრძელებენ გენოციდისა და ეთნიკური წმენდის 17 წლის წინ დაწყებულ საქმეს.

2. მოლაპარაკებათა არც ერთი მხარისგან არ მოველით (მათი არაინფორმირებულობის გამო) იმის გამომზეურებას, თუ რა ინსტრუქციითა და რა განწყობით მოქმედებდნენ და მოქმედებენ დღეს რუსები ჩვენს ზონაში. მაგალითად, ჯერ არავისგან თქმულა, რომ რუსი მემშვიდობეები წლების მანძილზე თავისი ჯავშანტექნიკის ავლა-ჩამოვლისას მთავარ მაგისტრალურ გზაზე სისტემატურად ცხრილავდნენ ჯავშანტრანსპორტიორებზე („ბეტეერებზე“) დამონტაჟებული მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევების ცეცხლით (რომელთა ტყვია თავისუფლად გადის ბეტონის და, მით უმეტეს, წიდაბეტონის ბლოკებისაგან აგებულ ორ კედელში) გზის გაყოლებით მდებარე ქართველთა სახლებს, რაც, რა თქმა უნდა, მათთვის მიცემული ბრძანების შედეგი კი არ იყო, არამედ მათი განწყობილებისა. რუსებზე არანაკლები სიძულვილით ხასიათდებოდნენ ე.წ. ჩრდილო ოსეთიდან შემოყვანილი ოსური „მემშვიდობეები“

3. არც ერთ მხარეს არ ვენდობით (მათ შორის არც სახელმწიფო თანამდებობის პირ ქართველებს მათი არაინფორმირებულობის გამო) იმ გარემოებების ჯეროვნად გამოტანაში საერთაშორისო ფორუმზე, თუ რა სიძულვილით იყვნენ და არიან ოსი სეპარატისტები გამსჭვალულნი ქართველი მოსახლეობის მიმართ იმის გამო, რომ ჩვენ ავტოხთონური მოსახლეობა ვართ, ანუ ის მოსახლეობა, რომელმაც ეს ტერიტორია ხელუხლებელი ბუნების მდგომარეობიდან გადაიყვანა განვითარებული ფეოდალური ცივილიზაციის მდგომარეობაში და ააშენა უკლებლივ ყველა ციხესიმაგრე და ტაძარი, რომლებითაც ეს მიწაწყალი მოფენილია ისე მჭიდროდ, როგორც ალბათ არსად ანალოგიურ რელიეფზე; თუ ჩვენ არ ვახსენეთ, სხვა არავინ გაიხსენებს, რომ ჩვენ ვართ მოსახლეობა, რომელმაც ეს მიწა დაიცვა უძლიერესი თავდამსხმელებისაგან მონღოლების, ძველი და ახალი სპარსელების, თემურ ლენგის, არაბებისა და თურქების ჩათვლით. მოლაპარაკებათა არც ერთი მონაწილე, დარწმუნებულნი ვართ, არ ეტყვის მოლაპარაკებათა ევროპელ, ამერიკელ, აზიელ და აფრიკელ მონაწილეებს, რომ რუსი ბოლშევიკების მიერ ორგანიზებული ოსური სისხლიანი გამოსვლები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ 1918 წელს და შემდეგ, რომელთაც ოფიციალური საბჭოთა ისტორიოგრაფია წარმოაჩენდა „ოსთა ბრძოლად თვითგამორკვევისათვის“ (ტერიტორიული თვითგამორკვევისათვის სხვის, სახელდობრ, ქართველების ისტორიულ ეთნიკურ ტერიტორიაზე), იყო სისხლიანი თავდასხმა პირველ ყოვლისა გენოციდის, ხოლო შემდგომ - ძარცვის მიზნით. (იხ. ლ. თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი თბილისი, 1991 გვ. 13-47, 11-128). ასევე, ამავე მიზეზის გამო, მოლაპარაკების მონაწილეთა შორის არავინაა იმის გამცხადებელი, რომ ამ გარედან ორგანიზებული ამბოხების ჩაქრობა საქართველოს ეროვნული გვარდიის მიერ ვ. ჯუღელის მეთაურობით, რომელსაც რუსული საბჭოთა ისტორიოგრაფია „დანაშაულად“ აჩენს, იყო სავსებით კანონიერი პასუხი ამბოხებაზე სახელმწიფოს წინააღმდეგ თურქეთთან ომის პირობებში და რუსეთთან შეერთების მოთხოვნაზე მეამბოხეთა მხრიდან — პასუხი, რომელიც ნებისმიერი ცენტრალური ხელისუფლების პირდაპირ მოვალეობაში შედიოდა, — ამიტომ მოლაპარაკებათა არც ერთი მონაწილე ჩვენს გარდა არ მოითხოვს, შემონახული მასალების მიხედვით, ამ ჭეშმარიტების ცალსახა კონსტატაციას.

4. არც ერთ მონაწილისაგან არ ველით იმის გაცხადებას, თუ რამდენი და სახელდობრ რომელი ქართული სოფლები განადგურდა და პირწმინდად ოსურ სოფლებად იქცა ჯერ „სამხრეთ ოსეთის“ შექმნის შედეგად (1920-იან და 1990-იან წლებში), შემდეგ 1990-1992 წლების რუსებისვე მიერ ორგანიზებული ომის შედეგად რუსებისვე მონაწილეობით და, დასასრულ, 2008 წელს აგვისტოს ომის შედეგად, და რა ზომამდეა მისული სოფლების განადგურება დღეს ახალგორის რაიონში. ამ ფაქტების გამოვლენა შეგვიძლია მხოლოდ ჩვენ, ადგილობრივ მოსახლეობას. ისტორიულად ტრამალებში მომთაბარე ალანური ტომების მხედრული სულის განდიდებაზე ორიენტაციის პარალელურად, რაც სავსებით ბუნებრივი და კანონიერია, საგანგებოდ ოსი ახალგაზრდობის ანტიქართული განწყობის შესაქმნელად, რომელიც მანამდე არ არსებობდა, რუსეთის მიერ მართულმა და წაქეზებულმა სეპარატისტებმა შეთხზეს ცრუ იდეოლოგია, თითქოს ოსები ამ მიწაზე „მუდამ“ ცხოვრობდნენ, ხოლო ქართველები შემდგომში შემოსახლდნენ. უფროსი ასაკის ოსმა ყველამ იცის, რომ ოსები ამ მიწაზე შემდგომში შემოსული მოსახლეობაა, ახალგაზრდებმა ეს არ იციან და ქართველების განდევნის ან, კიდევ უკეთესია, გაულეტის „პატრიოტული“ სულისკვეთებით არიან გაულენთილნი.

5. ჩვენ არ მოველით, რომ მოლაპარაკებათა რომელსამე მონაწილეს ჰქონდეს საქართველოს XVII-XVIII საუკუნეთა ისტორიის საკმარისი ცოდნა და ამავე დისკუსიაში ამ ცოდნის გამოყენების საკმარისი სურვილი, რათა მოლაპარაკებათა მონაწილეებს წარუდგინოს გასათვალისწინებლად შემდეგი შეუვალი ჭეშმარიტებები

- რომ ისტორიულ საქართველოში ოსები არ ცხოვრობდნენ
- რომ XVIII-XIX საუკუნეებში საქართველოში ოსები ცხოვრობდნენ უმნიშვნელო რაოდენობით, ისიც, ძირითადად, კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე მათს იმ ნაწილში, რომელიც საქართველოს ეკუთვნოდა.
- რომ გამოთქმა „ოსეთი“ საქართველოს ტერიტორიის ნაწ-

ილის მიმართ პირველმა გამოიყენა რუსმა მთავარსარდალმა კნორინგმა არაგვის, ქსნისა და ლიახვის ხეობის ზემოწელთა იმ ნაწილების მიმართ, სადაც ოსები იყვნენ, თუმცა უმცირეს პროცენტს შეადგენდნენ, და რომ ამ გამოთქმის ხმარების მოტივი მისთვის ის იყო, რომ ოსები იყვნენ ჩრდილო კავკასიის ერთადერთი ხალხი, რომელიც რუსეთს ხელს უწყობდა კავკასიის დაპყრობაში; რომ, შესაბამისად, გამოთქმა „სამხრეთ ოსეთი" შემდგომი ხანის რუსულ ტერმინოლოგიაში და, აქედან გამომდინარე, ზეპირ სიტყვახმარებაშიც მხოლოდ რუსთა ამ პროოსური და ანტიქართული ლონისძიებების შედეგია და არა ისტორიული სინამდვილე

— რომ ოსური მოსახლეობა აღნიშნული ტერიტორიის უმრავლესობად იქცა მხოლოდ 1922 წლიდან საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწყებული ხელოვნური ოსური კოლონიზაციის შედეგად, მანამდე კი მუდამ, თვით კავკასიონის ჩრდილოეთიდან ოსი ხიზნების მასობრივად შემოყვანის ხანაშიც კი, ანუ 1864 წლის შემდგომ ხანებში ოსები სტაბილურ უმცირესობად რჩებოდნენ.

6. როგორც არ მოველით მოლაპარაკებათა რომელიმე მონაწილის მხრიდან ცხინვალის რეგიონის დემოგრაფიული ისტორიის ცოდნას და ამ მონაცემების მოხმობას დისკუსიაში, ასევე არ მოველით მისგან დღევანდელი ხელოვნური დემოგრაფიული პროცესების, სახელდობრ, ნამდვილი ოსეთიდან, ანუ კავკასიონის ჩრდილოეთი მხრიდან, ოსი მოსახლეობის ხელოვნური შემოყვანისა და ადგილობრივად გაფორმების პოლიტიკის ხსენებას.

7. არ მოველით, რომ მოლაპარაკების მონაწილეთაგან ვინმემ გამოიჩინოს ინიციატივა და მოითხოვოს, რომ გათვალისწინებული იქნას კონფლიქტის იურიდიული ისტორია, სახელდობრ, ის, რომ

— 1990 წლის სექტემბერში „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" საბჭომ ეს ერთეული „რესპუბლიკად" გამოაცხადა.

— საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 11 დეკემბრის კანონით გააუქმა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი", რაც მისი პირდაპირი მოვალეობა იყო, რადგან, ეს რომ არ ექნა, ეს იქნებოდა თანხმობა ამ უსაფუძვლო ადმინისტრაციული ერთეულის არსებობაზე.

— რომ სსრკ პრეზიდენტმა გორბაჩოვმა მოუწოდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა და „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" საბჭოს, გაეუქმებინათ თავ-თავისი ეს აქტები, რაც ოსურმა მხარემ შეუსრულა, ქართულმა კი, ბუნებრივია, არ შეუსრულა.

— რომ 1991 წლის 3 მარტს გორბაჩოვმა გამოსცა ბრძანებულება საქართველოს უზენაესი საბჭოს 11 დეკემბრის კანონის ბათილად ცნობის შესახებ, მაგრამ მისი ეს ბრძანებულკება ბათილია, ვინაიდან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილებით, რომელმაც საქართველო ცნო რუსეთის მიერ დაპყრობილ და ფაქტობრივად ანექსირებულ ქვეყნად, და მისი იმავე წლის 29 ივნისის დამატებებით სსრკ-ს ხელისუფლების უზენაეს ორგანოებს საქართველოს შინაგან საქმეებში ამგვარი ჩარევის უფლება უკვე წართმეული ჰქონდათ.

— რომ, ამგვარად, საქართველოს უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის ხსენებული კანონი არის უკანასკნელი (და საბოლოო) საკანონმდებლო სიტყვა ცხინვალის რეგიონის იურიდიული სტატუსის განსაზღვრაზე. არ მოველით აგრეთვე მოლაპარაკებათა მონაწილეების მხრიდან იმ არსებითი ფაქტის გახსენებას, რომ „სამხრეთ ოსეთს" არც ერთი საათი არ უარსებია დღემდე მასში რუსეთის რეგულარული შეიარაღებული ძალების მყოფობის გარეშე

— რომ ადამიანის უფლებათა, მათ შორის ეროვნული უმცირესობის უფლებათა არც ერთი დეკლარაციის და ამ თემებზე არსებული არც ერთი საერთაშორისო კონვენციის მიხედვით არ არსებობს ნორმა, რომ დიასპორა, რომელსაც თავისი დასახლების და დასახელების ეთნიკური ტერიტორია სხვაგან აქვს, მისი დღევანდელი სახლობის ადგილზე ეროვნულ უმცირესობად ჩაითვალოს, აქედან გამომდინარე, - რომ მან ტერიტორიული ავტონომია, მით უმეტეს - გამოყოფა მოითხოვოს.

— რომ ხელისუფლება, რომელმაც სამშვიდობო მანდატი მიანიჭა რუსეთის შეიარაღებულ ძალებს ცხინვალის რეგიონში, იყო კანონსაწინააღმდეგო სამხედრო გადატრიალების გზით მოსული ხუნტის სამხედრო საბჭოს (კიტოვანი, იოსელიანი, სიგუა) მიერ დანიშნული და, მაშასადამე, არალეგიტიმური იყო ამ ხელისუფლების — „სახელმწიფო საბჭოს" თავმჯდომარე შევარდნაძეც, რის გამოც მის ხელმოწერას ამ დოკუმენტებზე იურიდიული ძალა ვერ ექნება.

8. არ მოველით, რომ რომელიმე მონაწილე ჟენევის მოლაპარაკებისა (ახლა კი, სამწუხაროდ, მხოლოდ კონსულტაციებისა) ჩვენს გარდა მთელი სისრულით გაუსვამს ხაზს რუსეთის მმართველსა და მაორგანიზებელ როლს ოსური ანტიქართული სეპარატიზმის მოქმედებაში, ამ რიცხვში — იმ დახასიათებასაც, რომელიც ამ კონფლიქტს მისცა სამმხრივმა პარლამენტთაშორისმა კომისიამ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოსა და სსრკ-ს უზენაესი საბჭოს შემადგენლობით:

`Межпарламентская комиссия Верховных Советов СССР, РСФСР и Республики Грузия с участием представителей населения региона конфликта, исходя из положений Конституций СССР, РСФСР и Республики Грузия, признающих государственный суверенитет и территориальную целостность Республики Грузия, и норм международного права, признающих принцип невмешательства во внутренние дела суверенной республики, ознакомившись с положением дел на месте считает, что настоящий конфликт препятствует нормальному процессу восстановления государственной независимости Грузии согласно волеизъявлению ее граждан на референдуме 31 марта 1991 года, связан с попыткой определенных сил нарушить территориальную целостность Республики и имеет политическую основу~.

9. არ მოველით, რომ ჟენევის მოლაპარაკებათა რომელიმე მონაწილე გაიხსენებს კონფლიქტისა და მისდამი რუსეთის დამოკიდებულების იმ დეტალს, რომ რუსული პროპაგანდა საქართველოდან ლტოლვილი ოსების რაოდენობად ასახელებდა 40, 60, 80 ათასს და 120 ათასსაც კი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებასთან არსებული ქართულ-ოსური ურთიერთობების დარეგულირების კომისიამ სკრუპულოზური აღრიცხვით განსაზღვრა ეს რაოდენობა, როგორც 19 ათასი, და ისიც ცნობილია, რომ ამ ლტოლვილთა უდიდესი რაოდენობა კონფლიქტის ცხელი ფაზის ჩავლის შემდეგ თავის სახლებში დაბრუნდა.

10. დაბოლოს, არც იმას მოველით, რომ ჩვენი ინიციატივის გარეშე მოლაპარაკებათა მონაწილენი ყურადღებას მიაპყრობენ ბოროტგანზრახულ ანტიქართულ პროპაგანდას, რომელიც ცხინვალის რეგიონის ოსურ მოსახლეობაში ტარდება, და რომლის შედეგიც ისაა, რომ, თუმცა უფროსი ასაკის ყველა ოსმა იცის, რომ მიწა, რომელზეც ცხოვრობს, საქართველოა, ახალგაზრდებში უმრავლესობას ჰგონია, რომ ეს ტერიტორია ოსთა ისტორიული სახლობის ადგილია.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოვითხოვთ, ჟენევის კონსულტაციებში გაეროს, ეუთოს, საქართველოს და რუსეთის მონაწილეობით, რომლებიც ეხება „სიტუაციის დარეგულირებასა და სტაბილიზაციას" საქართველოში, ჩვენი საცხოვრებელი ადგილის ჩათვლით, დაშვებული იქნას ჩვენი წარმომადგენლობის დასწრება გამჭვირვალედ დაფიქსირებული სტატუსით.

**ყორნისის, ჯავის, ცხინვალის და ახალგორის რაიონებიდან დევნილი ქართველი მოსახლეობის სახელით საზოგადოებრივი ორგანიზაციები:**

*დიდი და პატარა ლიახვის მცხოვრებთა კავშირი „ლიახვის ხეობა"*
*თავმჯდომარე*
***ვიქტორ დათაშვილი***

*გორის რაონის სოფელი თამარაშენის მცხოვრებთა კავშირი „თამარაშენი"*
*თავმჯდომარე*
***გალინა ბაბუციძე***

*შიდა ქართლის მცხოვრებთა კავშირი „შიდა ქართლი"*
*თავმჯდომარე*
***ალექსანდრე ვარძელაშვილი***

*„საქართველოს სოფლების აღორძინების ფონდი"*
*თავმჯდომარე*
***ელენე კახნიაშვილი***

# შიდა ქართლის დროებით მტრის მიერ ოკუპირებულ რაიონთა ქართველების კავშირის - საზოგადოებრივი ორგანიზაცია „შიდა ქართლის" —

# მ ი მ ა რ თ ვ ა

## ქვეყნისადმი და საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი, რომელნიც დაინტერესებულნი არიან შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში არსებული კონფლიქტის მოგვარების პრობლემით

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის უშიშროების სამსახურების მიერ ორგანიზებულ იქნა ე.წ. „ქართულ-ოსური კონფლიქტი" (1988), ირღვევა შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილის, ანუ მდინარეების ქსნის, ლეხურას, დიდი და პატარა ლიახვის, ფრონეს, ფცისა და ჯეჯორის ზემოწელთა ქართველი მოსახლეობის ძირითადი ადამიანური უფლება - სიცოცხლისა და უსაფრთხოების უფლება. ჯერ რუსეთის რეგულარული შეიარაღებული ძალების, სახელდობრ, ქ. ცხინვალში დისლოცირებული შვეულმფრენთა პოლკისა და საინჟინრო პოლკის, ხოლო 1992 წლიდან - რუსი „მეშვიდობეების" დაცვის ქვეშ, რუსებისვე მიერ შეიარაღებული და გაწვრთნილი ოსური რაზმების მიერ მოხდა ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის მასობრივი მკვლელობები (განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობათა ჩათვლით: ბ. დათაშვილის გადახერხვა მექანიკური ხერხით, ბუზალაძის ქალის ცოცხლად დაწვა თავის სახლში, რვა ახალგაზრდის ცოცხლად დაწვა ს.ოს-ფრისთან და მრავალი სხვა), ანუ გენოციდი, და ქართველთა ეთნიკური წმენდა, რის შედეგადაც განადგურებულ იქნა ყველა ქართული სოფელი ზნაურის რაიონისა და ქართველი მოსახლეობა ქ. ცხინვალში. ის, რომ კონფლიქტი არ იყო ეთნიკური ხასიათისა, არამედ იყო პოლიტიკური, და რომ მისი ორგანიზება გამოწვეული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შეფერხების სურვილით, დადასტურებულია 1991 წელს, სამმხრივი საპარლამენტთაშორისო კომისიის მიერ (საქართველო, რუსეთის ფედერაცია სსრკ), რომლის დასკვნაში წერია: „მიმდინარე კონფლიქტი აფერხებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მის მოქალაქეთა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში გაცხადებული ნების შესაბამისად აღდგენის ნორმალურ პროცესს, იგი დაკავშირებულია გარკვეულ ძალთა მცდელობასთან, რომ დაარღვიონ რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა, და მას აქვს პოლიტიკური საფუძველი". (კომისიის პროტოკოლის დამატება №1, 31 მაისი, 1991). რუსეთის აქტიური და გადამწყვეტი ნების გარდა ამ კონფლიქტში აქტიური ფაქტორი იყო და არის ოსური მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის მისწრაფებაც ავტოხთონური ქართველი მოსახლეობის მოცილებისაკენ და ქართველი ერის ეთნიკური ტერიტორიის ხარჯზე ოსური ტერიტორიის გაზრდისაკენ.

კიდევ უფრო დიდი მასშტაბით ჩატარდა ქართველების მასობრივი მკვლელობა ეთნიკური ნიშნით, ანუ გენოციდი, და ეთნიკური წმენდა ა.წ. აგვისტოში. მასში მონაწილეობა მიიღო ჯერ რუსეთის 58-ე არმიის არტილერიამ და რუსეთის ბომბდამშენმა ავიაციამ, შემდეგ მისმა სხვა ნაწილებმა, ოსურმა შეიარაღებულმა რაზმებმა „ომონის" ჩათვლით და რუსეთის „მეშვიდობე" რაზმებმაც კი. დღეს არც ერთი ქართული დასახლებული პუნქტი აღარ არსებობს ზნაურის, ჯავისა და ცხინვალის რაიონებში. აგვისტოშივე რუსეთის 58-ე არმიის ნაწილებმა დაიკავეს ახალგორის რაიონი, სადაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ქართველია და სადაც არავითარ კონფლიქტს ადგილი არ ჰქონია. დღეს გენოციდი და ეთნიკური წმენდა ქართველებისა ტარდება, იმავე წესით, ამ რაიონშიც. აღნიშნული ფაქტები მოწმობს, რომ ქართველი მოსახლეობის გენოციდი და ეთნიკური წმენდა განუყრელადაა დაკავშირებული ადგილზე ოსური სეპარატისტული ადმინისტრაციის არსებობასთან, რომლის ზურგს უკან რუსეთის შეიარაღებული ძალები დგანან.

ამასთან ერთად 1992 წლიდან დარღვეულია ხსენებული ტერიტორიის ავტოხთონური ქართველი მოსახლეობის ეროვნული უფლებაც: მიწაწყალზე, რომელიც საქართველოს ნაწილია, უცხო ოკუპანტების მიერ შექმნილია (1922) — ყოველგვარი დასაბუთების გარეშე და მოსახლეობის უკითხავად — „სამხრეთ ოსეთი", თუმცა ოსური მოსახლეობა აქ არის დიასპორა, შემოსული ძირითადად 1864 წლის (ანუ საქართველოში ბატონყმობის გაუქმების წლის) მომდევნო ორ ათწლეულში და 1922 წელს „სამხრეთ ოსეთის" შექმნის შემდეგ. ეს მოსახლეობა „სამხრეთ ოსეთის" შექმნის მომენტში ამ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ უმცირესობას წარმოადგენდა.

საქართველოს პირველმავე დემოკრატიულად არჩეულმა უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ — გააუქმა უკანონო „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" (1991, II დეკემბერს), რაც მისი პირდაპირი მოვალეობა იყო. მიუხედავად ამისა, 2005 წელს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე და ქართველი მოსახლეობის უკითხავად საქართველოს ხელისუფლებამ გამოაცხადა მზაობა, რომ კიდევ ერთხელ შექმნას „სამხრეთ ოსეთი" საქართველოს ტერიტორიაზე. შემდეგ დაინიშნა პრეზიდენტის რწმუნებული ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე და მის სამართავ ტერიტორიაში შეყვანილ იქნა ახალგორის რაიონიც. ჩვენ, ტერიტორიის მკვიდრი მაცხოვრებელნი უხსოვარი დროიდან, კიდევ ერთხელ გადაგვაქციეს უცხო სახელის მატარებელი ტერიტორიის მაცხოვრებლად, ხოლო ა.წ. აგვისტოში რუსების და რუსულ ტანკებს ამოფარებული ოსების მიერ ჩვენი სახლებიდან გამოძევებულ ლტოლვილებად.

აღწერილ მდგომარეობას ჩვენ არ ვურიგდებით და არც შევურიგდებით.დღეს ჩვენი მოთხოვნაა:

მოგვეცით საშუალება მონაწილეობა მივიღოთ ყველა საერთაშორისო მოლაპარაკებაზე, რომელიც შეეხება ჩვენს მიწაწყალზე მშვიდობის დამყარებას, დევნილთა დაბრუნების, ტერიტორიის აღორძინების, მისი ადმინისტრაციული პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის საკითხებს.

**საზოგადოებრივი ორგანიზაცია „შიდა ქართლის"**
**გამგეობა**
**30.III.2009**

# საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელი პოლიტიკური ორგანიზაციების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და პიროვნებების

# პ ო ზ ი ც ი ა

## საქართველოს ძირითადი პრობლემების გადაჭრის გზის თაობაზე

**ასეთი პრობლემა ორია: საქართველოს დამოუკიდებლობა და საქართველოს მიწაწყლის დაცვა.**

**საქართველოს ნებისმიერი ხელისუფლების (თუნდ კანონიერის, და თუნდ უზურპატორის) პირდაპირი მოვალეობაა, და საქართველოს ნებისმიერი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის, ნებისმიერი მოქალაქის პირდაპირი მოვალეობაა სხვა ყველა პრობლემაზე უწინარეს, ამ ორი ისტორიულმასშტაბიანი პრობლემის გადაჭრა დღევანდელ თაობათა სიცოცხლის მანძილზე. დღეს, როცა მიმდინარეობს რუსეთის აგრესიული ომი საქართველოს წინააღმდეგ, ამ ორი პრობლემის გადასაჭრელად არსებობს მხოლოდ ერთი გზა. მისი მთავარი შემადგენელი ნაბიჯები შემდეგია.**

### აფხაზეთისათვის

1. უნდა იყოს ოფიციალურად განცხადებული ყველას მიერ (ანუ ხელისუფლების მიერაც, პოლიტიკური პარტიების მიერაც და საზოგადოების მიერაც), რომ **აფხაზეთის მთელი ტერიტორია არის ქართველი ერის ეთნიკური ტერიტორია და საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის განუყოფელი ნაწილი.** კომუნისტური ხელისუფლების დროს ამ თემაზე წერა აკრძალული იყო, მაგრამ დღეს მეცნიერებისათვის ცალსახად ცნობილია, რომ აფხაზეთის ის მოსახლეობა, რომელიც თავისთავს „აფსუას" უწოდებს, ხოლო სხვანი, ქართული ეთნონიმის „აფხაზი" მიყოლით, „აფხაზებს" უწოდებენ, შემოსულია და დასახლებულია საქართველოს „აფხაზეთად" წოდებულ ნაწილში XVII საუკუნიდან და მას „აფხაზი" ეწოდება მხოლოდ ამ გარემოების გამო. მოსახლეობა, რომელმაც ეს მიწაწყალი გადაიყვანა ხელუხლებელი ბუნების მდგომარეობიდან განვითარებული ფეოდალური ცივილიზაციის მდგომარეობაში (რაც უხვად დოკუმენტირებულია არქეოლოგიური, არქიტექტურული, წერილობითი და სხვა მასალებით), არის ქართველური მოსახლეობა. მეცნიერებაში არსებობს მოსაზრება (ჰიპოთეზის სახით), რომ იმ მრავალრიცხოვან ეთნოსებს შორის, რომელთა სახელები მოღწეულია ძველი წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეებიდან და ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან, ერთერთი — „აფსილები" — თანამედროვე აფსუების, იგივე „აფხაზების" მონათესავეა. მაგრამ არ არსებობს არანაირი არც ფაქტობრივი მონაცემები, არც ჰიპოთეზა, რომ იმ დროისათვის, როცა დღევანდელი აფხაზები, ანუ აფსუა ხალხი, კავკასიონის ჩრდილო კალთებიდან გადმოსახლდა მის სამხრეთ კალთებზე, ანუ აფხაზეთში (XVII ს.), მას აქ დახვდა მოსახლეობა, რომლის რომელიმე ნაწილი მეტყველებდა სხვა ენაზე, გარდა ქართველურისა, და ჰქონდა ეთნიკური ან ეროვნული თვითცნობიერება, გარდა ქართულისა. ქართველთა ეროვნული (ეთნიკური) თვითცნობიერება შუა საუკუნეებიდან დღემდე უწყვეტია, ამდენად, უწყვეტია აფხაზეთის მთელი ქართველი მოსახლეობის (დღესდღეობით ეთნიკური წმენდის შედეგად გამოდევნილის) უფლებაც, რომ აფხაზეთი თავის ეთნიკურ ისტორიულ ტერიტორიად ჩათვალოს. არ არის მართებული არც აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის არაოფიციალური პოზიცია „ეს მიწაწყალი ჩვენ დავიპყარით, მაშასადამე, იგი ჩვენია", რადგან აფსუა ტომის შემოსვლა და დასახლება საქართველოში (აფხაზეთში), რასაც ხშირად (მაგრამ, არა ყოველთვის) ახლდა ძალადობა და რასაც სეპარატიზმის ზემოხსენებული იდეოლოგია გამარჯვებად რაცხს (გამარჯვებად იმ დროს, როცა ციხეებში თურქეთისა და სპარსეთის გარნიზონები იდგნენ), არასოდეს მიყვანილა იმ ნიშნულამდე, რომ აფხაზეთი იურიდიულად მოსწყვეტოდა დანარჩენ საქართველოს: აფხაზეთის სამთავროს ისტორიის მთელ მანძილზე, რაც იგი აფსუურ მოსახლეობას მოიცავს, იყო ან ოდიშის სამთავროს, ანუ სამეგრელოს, ან იმერეთის მეფის, ან მთლიანად საქართველოს მეფის იურისდიქციაში და საქართველოს შემადგენლობაში. მომენტი (თარიღი), როცა აფხაზეთი გახდა საქართველოს ნაწილი, ისტორიაში არ არსებობს. ამგვარად, **დღემდე ჩავლილ ისტორიაში არ არსებობს იურიდიული, არც პოლიტიკური, არც დემოგრაფიული საფუძველი აფხაზეთის უფლებისათვის, რომ გამოეყოს საქართველოს ან უცხო ქვეყანას მიწაწყალზე** სამხედრო ბაზების განთავსების უფლება მისცეს.

**2. აფხაზ („აფსუა") ხალხს, ადიღეური მოდგმისას, მას შემდეგ, რაც იგი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, აფხაზეთში გადმოსახლდა, განუვითარდა სხვა ადიღე ხალხებისაგან განსხვავებული ეროვნული თვითცნობიერება, რის გამოც მას სრული უფლება აქვს, იშრომოს და იბრძოლოს თავისი ეროვნული იდენტობის მარადიულობისათვის და იქ, სადაც იგი სახლობს (მეტ-ნაკლებად კომპაქტურად სახლობს), თავის საკუთარ მენტალურ და ფსიქიკურ მოთხოვნილებათა მიხედვით აგებული საზოგადოების შექმნისათვის.** მაგრამ მას არა აქვს უფლება,ეს მოახდინოს ავტოხთონური ქართველი მოსახლეობის განდევნის ან მისი სამოსახლო სივრცის შევიწროების ხარჯზე. საქართველოს სახელმწიფოს უფლება და მოვალეობაა როგორც აფხაზეთში მთლიანად თავისი ცენტრალური იურისდიქციის აღდგენა, ისე დევნილი ქართველი მოსახლეობის სრული და უპირობო დაბრუნება თავისი სახლობის ადგილზე თავის სახლებში. ის, რომ აფხაზეთში ქართველი მოსახლეობა იყო 46%, ხოლო აფხაზური („აფსუა") — 18% და რომ ქართველთა დაბრუნების შემთხვევაში ეს პროპორცია აღდგება, დევნილთა დაბრუნებისათვის დაბრკოლება ვერ იქნება.

**3. აფხაზეთის, როგორც მთელის, ნება არ არის იგივე, რაც მისი მხოლოდ აფხაზი („აფსუა") მოსახლეობის ნება, არამედ იგი ტოლქმედია სამი ნებისა**

**— ქართველი ავტოხთონური მოსახლეობის ნებისა,** რომ აფხაზეთი განიხილოს, როგორც თავისი ყოველმხრივი, მათ შორის ეროვნული, თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზაციის ასპარეზი

**— აფხაზი („აფსუა") მოსახლეობის ნებისა,** რომ განიხილოს აფხაზეთი, როგორც თავისი ყოველმხრივი, მათ შორის ეროვნული, თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზაციის ასპარეზი

**— ყველა მოსახლის ნების,** რომ იცხოვროს კეთილდღეიანად, მშვიდობიანად და თანამედროვე დემოკრატიის პირობებში

**ეს სამი ნება განსხვავებულია, მაგრამ ჰარმონიზირებადია.** სათანადო ბუნებრივი და ეთნიკური პირობები მთელი განჭვრეტადი მომავლისათვის აფხაზეთში არსებობს.

**აფხაზეთის ვითარების კონსტიტუციური დარეგულირება** შედგება, ერთის მხრივ, თბილისისა და სოხუმის უფლებამოსილებათა გამიჯვნისაგან, მეორეს მხრივ, სოხუმისა და აფხაზეთის სხვადასხვა რეგიონების იფლებამოსილებათა გამიჯვნისაგან. ამ გამიჯვნის პირველი წყარო შეიძლება იყოს მხოლოდ ქართველი და აფხაზი („აფსუა") ხალხის ნდობით აღჭურვილ წარმომადგენელთა მოლაპარაკება, ამ მოლაპარაკებათა პროცესში (დროდადრო) მსოფლიოს კომპეტენტურ ექსპერტთა კეთილმოსურნე რჩევა (მაგრამ არა დიქტატი) და მეცნიერული მეთოდებით ჩატარებული (სტრატეგიული, იურიდიული, ეკონომიკური, სოციოფსიქოლოგიური...) ანალიზი და პროგნოზი.

**4. კონსტიტუციური დარეგულირებისათვის სავალდებულო პრინციპებია:**

**— საკანონმდებლო პირობების შექმნა აფხაზი („აფსუა") ხალხის ყოველმხრივი, მათ შორის ეროვნული, განვითარებისა და მის მიერ თავისთავის მარადიულყოფისათვის (დემოგრაფიული თავდაცვის ჩათვლით), აგრეთვე საკუთარი სპეციფიკური მოთხოვნილებებისა და მონაცემების მიხედვით საზოგადოების მშენებლობისათვის თავისი (მეტნაკლებად კომპაქტური) ცხოვრების სივრცეში.**

**— საკანონმდებლო პირობების შექმნა საქართველოს სახელმწიფოს საგარეო (მათ შორის — სათავდაცვო) ინტერესების დაცვისათვის და აფხაზეთის (ისევე, როგორც მთლიანად საქართველოს) დაცვისათვის დემოგრაფიული შემოტევისაგან საზღვრის გარედან.**

**5. დაუყოვნებლივ სასამართლო საქმის აღძვრა აფხაზეთის ტერიტორიაზე მომხდარი მასობრივი მკვლელობისა (გენოციდისა) და ეთნიკური წმენდის ფაქტის გამო, აგრეთვე ყველა სამხედრო დანაშაულებათა გამო ნებისმიერი მხრიდან.**

### ცხინვალის რეგიონისათვის

6. უნდა ოფიციალურად გაცხადდეს და მსოფლიო საზოგადოებრიობას განემარტოს, რომ **საქართველოს ოსი მოსახლეობა მთლიანად (160 ათასი სული) არის დიასპორა, რომელმაც შემოსახლება დაიწყო XVII საუკუნეში (სპორადულად) და რომელმაც რიცხობრივი უმეტესობა საქართველოს რამდენსამე რაიონში მოიპოვა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ხელისუფლების მიერ ხელოვნური ოსური იმიგრაციის ორგანიზების შედეგად; რომ ამ მოსახლეობიდან მხოლოდ 60 ათასი (30 ათას ადგილობრივ ქართველთან ერთად) ცხოვრობს ცხინვალის რეგიონში, ხოლო დანარჩენი 100 ათასი საქართველოს მთელ დანარჩენ ტერიტორიაზე გაბნეული სახით; რომ, შესაბამისად, საქართველოს ოსური მოსახლეობისათვის ზრუნვა, მის სპეციფიკურად ეროვნულ ინტერესთა დაცვის ჩათვლით, მიზანშეწონილია და ქმედითია მხოლოდ ფუნქციური ავტონომიის (კულტურულის ჩათვლით) მექანიზმთა განვითარების ფორმით (ოსური თვითორგანიზების სხვადასხვა ფორმებით მთლიანად საქართველოს ჩარჩოში, მათი სათანადო უფლება-მოვალეობებითურთ) პრინციპით „ინტეგრაცია ასიმილაციის გარეშე"; რომ სახელი „ოსეთი" საქართველოს ტერიტორიის ამა თუ იმ ნაწილისათვის** (იმ ნაწილებისათვის, სადაც ოსები იყვნენ რაგინდარა მცირე რაოდენობით, და არა ისეთისათვის, სადაც ოსები უმრავლესობაში იყვნენ. ასეთი ადგილი საქართველოში არ არსებობდა) **შეთხზეს რუსმა დამპყრობლებმა** და არავითარ „ოსეთად" წოდებულ ადმინისტრაციულ ან სხვა რამ სახის გეოგრაფიულ ერთეულს საქართველოში დღემდე არც ერთი საათი არ უარსებია მასში რუსეთის შეიარაღებული ძალების დგომის გარეშე; რომ რუსული კოლონიური ადმინისტრაციის მიერ საქართველოში ოსების მფარველობა განპირობებული იყო იმით, რომ რუსეთის მიერ ჩრდილო კავკასიის დაპყრობის ხანაში (XVIII-XIX სს) მას ადგილობრივ ხალხთა შორის მხოლოდ ოსები ეხმარებოდნენ, ხოლო საქართველოს მეორე ანექსიის, ანუ მისი გასაბჭოების (1921). შემდეგ ოსების რაოდენობის ხელოვნური ზრდისა და საქართველოს წინააღმდეგ მათში სეპარატისტული მოძრაობის სტიმულირების პოლიტიკა სსრკ-ს მიერ ტარდებოდა საქართველოს პოტენციური დასუსტების მიზნით; რომ **არავითარი არც ისტორიული, არც სამართლებრივი, არც მორალური საფუძველი საქართველოს რომელიმე ნაწილისათვის სახელის „ოსეთი" დარქმევას არა აქვს და** რომ საქართველოს უზურპატორი პრეზიდენტის მ. სააკაშვილის მზადყოფნა, საქართველოში კიდევ ერთხელ შექმნას „სამხრეთ ოსეთი", ისევე როგორც მის მიერ ამ კანონიერად არსებულ გეოგრაფიულ ერთეულში თავის რწმუნებულად კრიმინალისა და სახელმწიფო მოღალატის სანაკოევის დანიშვნა, არის სახელმწიფო ღალატის აქტი; რომ **საქართველოს მიწაწყალზე სახელის „სამხრეთ ოსეთი" შექმნა და დაკანონება არის საქართველოს მიწაწყლის ერთი ნაწილის აღიარება მეზობელი ქვეყნის (ნამდვილი ოსეთის) სამხრეთ ნაწილად და მით კაცობრიობის წინაშე ორი „ოსეთის" — ერთი ნამდვილისა (კავკასიონის ჩრდილოეთით) და მეორე ყალბის — „გაერთიანების" ამოცანის დაყენება;** რომ ქართველი ერი და საქართველოს სახელმწიფო არასოდეს არ შეურიგდება თავისი მიწაწყლის ამ ნაწილის, ისევე როგორც აფხაზეთის მოკვეთას; რომ, დასასრულ, იმ პრეცენდენტის შექმნა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის რომელსამე ნაწილში არსებული დემოგრაფიული დინამიკა (ანუ ის, თუ რომელი ეთნიკური ჯგუფი რამდენად გამრავლდა) განსაზღვრავს მის იურიდიულსა და პოლიტიკურ სტატუსს, გარდუვალად შექმნის ყველა ეთნიკური ჯგუფის პანიკურ შიშს ყველა სხვა ეთნიკური ჯგუფის დემოგრაფიული კეთილდღეობის წინაშე და ფსიქოლოგიურ სტიმულს ეთნიკური წმენდისა და გენოციდისათვის, როგორც ამ წმენდის იარაღისათვის, მთელ მსოფლიოში.

**7. უნდა დაუყოვნებლივ ჩატარდეს გამოძიება და აღიძრას საქმე ცხინვალის რეგიონში 1989 წლიდან დღემდე ჩატარებული ანტიქართული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის ფაქტის გამო.**

### აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონისათვის მთლიანობაში

8. უნდა გაცხადდეს, ამავე წესით, რომ **რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (მისი ტერმინოლოგიით - „სამხრეთ ოსეთის") დამოუკიდებლობის ცნობის აქტი (2008) ეწინააღმდეგება არა მხოლოდ სახელმწიფოთა საზღვრების შეუვალახავობის პრინციპებს, რაც თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ ერთი საყრდენია, არამედ აგრეთვე ე.წ. ჰუმანიტარული სამართლის, ანუ ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე სისტემის, ასოსა და სულისკვეთებასაც.** სახელდობრ,

— ეროვნულ (ეთნიკურ) უმცირესობად, რომელსაც ჰუმანიტარული სამართალი იცავს, როგორც შესაბამის უფლებათა მატარებელ მთლიან ერთეულს (და არა მხოლოდ როგორც ინდივიდთა სიმრავლეს), მიიჩნევა ადგილობრივი უმრავლესობა, რომელიც ამა თუ იმ მიზეზით მოხვედრილია მისგან განსხვავებული ეთნიკური სახელის მატარებელ სახელმწიფოში და უმცირესობას წარმოადგენს ამ სახელმწიფოს ე.წ. სატიტულო უმრავლესობასთან შედარებით. ამგვარი ეთნოსისათვის ხსენებული სისტემა მოითხოვს ეროვნული (ეთნიკური) თვითგანსაზღვრის (ე.წ. „თვითგამორკვევის") სახელდობრ, ეროვნული თვითრეალიზაციის (პოლიტიკურის ჩათვლით) იურიდიული და სხვა სახის პირობების იმ მაქსიმუმს, რაც შესაძლებელია მოცემული სახელმწიფოს საზღვრების შეუცვლელად. ეს მაქსიმუმი, როგორც წესი, ხორციელდება პოლიტიკური ტერიტორიული ავტონომიის ფორმით. სხვა შემთხვევაში, ანუ მაშინ, როცა მოცემული ეროვნული (ეთნიკური) უმცირესობა ადგილობრივი ეთნოსი არ არის, ანუ იგივე ეთნოსი სხვა ტერიტორიაზეც ცხოვრობს, რომელიც მისი სამშობლოა, და მისი სახლობის ის ტერიტორია მის სახელს ატარებს, მოცემული უმცირესობის ეროვნული დაცვა ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით გამოიხატება მხოლოდ მასში შემავალ ინდივიდთა დაცვაში დისკრიმინაციისაგან ეროვნული ნიშნით. საქართველოში მოსახლე ოსები არ არიან ადგილობრივი ეროვნული (ეთნიკური) უმცირესობა. ისინი არიან მეზობელი ტერიტორიიდან, სახელდობრ, ოსეთიდან შემოსახლებული ადამიანები (დიასპორა). მათი ეთნოსის ერთობლივი ეროვნულ-ტერიტორიული თვითრეალ-

იზაციის ასპარეზად კაცობრიობა გულისხმობს ოსეთს (ნამდვილ ოსეთს, ალანიას კავკასიონის ჩრდილოეთით) და არა შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილს, ხოლო შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილში (და საერთოდ საქართველოში) მოსახლე ოსებისათვის მათ სპეციფიკურ ეთნიკურ უფლებად გულისხმობს მათი ეროვნული თავისთავადობის დაცვას კულტურულის ჩათვლით. თითო ეთნოსს (ხალხს, ერს) ეროვნული ტერიტორიული თვითრეალიზაციისათვის დედამიწაზე დღეს თითო ქვეყანა (თითო ტერიტორია) ეკუთვნის და არა მრავალი. ეს წესი ვრცელდება ოსებზეც. საქართველოში მათ ცხოვრებისა და ინდივიდუალური თვითრეალიზაციის შეუზღუდავი უფლება ეკუთვნით, მაგრამ ეროვნული ტერიტორიული თვითრეალიზაციის, ანუ ტერიტორიისათვის თავისი სახელის დარქმევის (მით უმეტეს, ამ ტერიტორიის საქართველოსაგან მოწყვეტის) უფლება არ ეკუთვნით, არც, ცხადია, უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზების შექმნის უფლება. ამგვარად, როცა რუსეთმა ცნო „სამხრეთ ოსეთი" დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მისი „თხოვნის" შესაბამისად, მან დააკმაყოფილა თხოვნა, რომელიც ემყარებოდა მთხოვნელის არა კანონიერ უფლებას, არამედ უზურპირებულ უფლებას.

— რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობა აფხაზეთისაგან მიღებული შესაბამისი „თხოვნის" პასუხად ემყარება იმ მდუმარედ ნაგულისხმევ წინამძღვარს, რომ აფხაზ მოსახლეობას, რომელიც მართლაც არის ეთნიკური (ეროვნული) უმცირესობა აფხაზეთის დაახლოებით ერთ მესამედში, აქვს თვითგანსაზღვრის (ე.წ „თვითგამორკვევის"), ანუ მაქსიმალურად შესაძლებელი ეროვნული ტერიტორიული თვითრეალიზაციის უფლება არა მხოლოდ იქ, სადაც იგი რეალურად ცხოვრობს ან როდესმე უცხოვრია (და მიმდგომ თავისუფალ ტერიტორიაზე), არამედ აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, იმ ტერიტორიის ჩათვლით, სადაც ცხოვრობს ამ ტერიტორიის ავტოხთონური მოსახლეობა — ქართველები. ეს წანამძღვარი ყალბია. საქართველოს სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპზეც რომ არაფერი ვთქვათ, აფხაზეთის აფხაზი მოსახლეობა (მთელი მოსახლეობის 18%), რომელიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს ავტოხთონურ ქართველ მოსახლეობასთან ერთად (46%), არაა უფლებამოსილი, აფხაზეთის, როგორც მთელის, ბედი ერთპიროვნულად გადაწყვიტოს. შესაბამისად, მისი წარმოამდგენლობის - ბალაფშის ეთნოკრატიული გუნდის — „თხოვნა" რუსეთისადმი,რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიაროს, აფხაზეთის სახელით ლაპარაკის უფლების უზურპაციაა. რა მხოლოდ ტრადიციული სამართლის, არამედ ჰუმანიტარული სამართლის ნორმასთან მიმართების თვალსაზრისითაც. რუსეთის ფედერაციის აქტი აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობისა მოთხოვნის, აფხაზეთის, როგორც მთელის, „თხოვნის" პასუხად. მის მიერ უფლების უზურპაციაზე დამყარებული აქტია.

**— აფხაზეთის ნება და ცხინვალის რეგიონის („სამხრეთ ოსეთის") ნება საქართველოსაგან ამ ტერიტორიათა გამოყოფისა, რომლითაც შესაბამისმა თვითმარქვია ხელისუფლება მიჰმართა რუსეთის ფედერაციას თხოვნით მათი ცნობის შესახებ, არის მსოფლიოში ცალსახად მიღებული პროცედურის გარეშე, სახელდობრ, საერთო-სახალხო რეფერენდუმის გარეშე ფორმირებული ნება. (რეფერენდუმი, რომლის დროსაც მოსახლეობის ნახევარზე მეტი იძულებით ემიგრირებულია, რეფერენდუმი არ არის). ხელისუფალნი და მათი გუნდები, რომლებმაც რუსეთს ხსენებული თხოვნით მიჰმართეს,ამ მიმართვამდე უკვე კრიმინალური ჯგუფები იყვნენ, სახელდობრ, ქართველი მოსახლეობის წმენდისა და გენოციდის ჩამდენი (ცხინვალის რეგიონში მანამდე განადგურებულია 17 ქართული სოფელი, ცხინვალის ქალაქში მოქცეული გუჯაბაურისა და მამისაანთუბნის ჩათვლით), აფხაზეთში დახოცილია ეროვნული ნიშნით 30-მდე ათასი, ოფიციალურად - 6 ათასი ქართველი).**

ამგვარად,

**— ორივე თხოვნა წარდგენილია ყალბი პროცედურით, რის გამოც ისინი არ ასახავენ მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის ნებას.** მათი დაკმაყოფილება რუსეთის ფედერაციის მიერ არის სიყალბის შეგნებული გამოყენება საკუთარი პოლიტიკური და გეოპოლიტიკური (საქართველოს მიმართ აგრესიული) მიზნების მისაღწევად.

**— ორივე თხოვნა ხელმოწერილია ადამიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში უკვე მხილებული ჯგუფის (არძინბა-ბაღაფშისა და კოკოითის ჯგუფის) მიერ, ამ ჯგუფთა მიერ ჩადენილი, ზემოხსენებული დანაშაულის შედეგთა დაკანონების მოტივით, რის გამოც ამ თხოვნათა დაკმაყოფილება რუსეთის მიერ არის შეგნებული თანამონაწილეობა ზემოხსენებულ დანაშაულში ადამიანობის წინააღმდეგ** იმავე საკუთარი პოლიტიკური და გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

9. **საქართველოს ნებისმიერი ხელისუფლება ვალდებულია მიჰმართოს საერთაშორისო სასამართლოს** არა მხოლოდ რუსეთის შეიარაღებული ძალების და მათი მომყოლი ოსური და რუსეთის მოქალაქეებისაგან შემდგარი ბანდების მიერ დაღვრილი სისხლის და მიყენებული ზარალის, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიის ფიზიკური ხელყოფის გამო, არამედ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის ცნობის იურიდიული აქტის გამოც, რაც მან განახორციელა საერთაშორისო სამართლის და ჰუმანიტარული სამართლის (ადამიანის უფლებათა დაცვის მსოფლიო სისტემის) ნორმათა საწინააღმდეგოდ და მიზანმიმართულად ყალბი პროცედურით.

10. დაუყოვნებლივ უნდა გაცხადდეს არა მხოლოდ მკაფიოდ, არამედ დემონსტრატიულად, რომ **საქართველოს პოლიტიკა რუსეთის მიმართ ყველა პარამეტრში აბსოლუტურად შეურიგებელი იქნება მანამდე, სანამ რუსეთი არ გაიყვანს თავის უკანასკნელ ჯარისკაცს საქართველოს ტერიტორიიდან და არ გააუქმებს თავის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილების დამოუკიდებლობის ცნობის აქტს.** ყველა შესაძლებელი საერთაშორისო ტრიბუნა, გაეროს ჩათვლით, უნდა გამოყენებულ იქნას აქტიური შეტევითი პოლიტიკისათვის რუსეთის მიმართ, სახელდობრ, მისი აგრესიული როლის მხილებისათვის, პირველ ყოვლისა, — ჩრდილო კავკასიის ხალხების მიმართ, მათი ტერიტორიების პყრობის სახით, რისთვისაც რუსეთს არ მოეპოვება არანაირი იურიდიული საბაბი ამ ხალხთა მიერ რაიმე ფორმით გაცხადებული თანხმობის სახით, რომ რუსული სახელმწიფოს შემადგენლობაში იყონ. ამ დიპლომატიური და პროპაგანდული ბრძოლის საწარმოებლად გაეროში საქართველოს ელჩის თანამდებობისათვის უნდა მოხდეს განსაკუთრებულად უნარიანი და მორალურად მყარი პიროვნების (პიროვნებების) შერჩევა.

11. იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების იურიდიული ხელყოფით, რაც მან უკვე ქნა და რაზეც ხელს ნებით აღარ აიღებს, აგრეთვე იმისა, რომ მესამე მსოფლიო ომი უკვე დაწყებულია (იგი გაგრძელდება დიდი ხნის მანძილზე, „ცივი" და „ცხელი" სტადიების ურთიერთმონაცვლეობით. დღეს მის ერთ-ერთ „ცივ" სტადიაში ვართ. მასში რუსეთის გამარჯვება შეუძლებელია), საქართველოს ჰმართებს მომზადება მაქსიმალურად ქმედითი წინააღმდეგობის გაწევისათვის რუსეთის მხრიდან ახალი (თუნდ თავისთვისვე წამგებიანი) სამხედრო ავანტურების დაწყების შემთხვევისათვის საქართველოს მიწაწყლაზე. ის, რომ რუსეთის შეიარაღებული ნაწილები და ოსებისა და კაზაკებისაგან შემდგარი მარადიორული ბანდები დაუბრკოლებლად შედიოდნენ ქართულ სოფლებში, ხოცავდნენ, ძარცვავდნენ და აუპატიურებდნენ მცხოვრებლებს, რაც სამარცხვინო ფურცლად შევიდა საქართველოს უახლეს ისტორიაში, აღარ უნდა განმეორდეს. საქართველოს ნებისმიერი ხელისუფლების პირდაპირი მოვალეობაა, შექმნას საქართველოს თავდაცვა საკუთარი მიწაწყლისათვის და მიმდინარე ტაქტიკური საჭიროებისათვის იმის პარალელურად, რისი შესაძლებლობაც მას ექნება, სტრატეგიულ მოკავშირეთა და მეგობართა დახმარების შედეგად, გლობალურ ამოცანებთან დაკავშირებით, ანუ განავითაროს, პარალელურად, საკუთარი შესაძლებლობებიც, სახელდობრ, ააწყოს თავდაცვა შემდეგი პრინციპებით:

პროფესიული და გაწვევაზე დამყარებული შეიარაღებული ძალების შეხამებული თანაარსებობა; მოსახლეობის საყოველთაო გაწვრთნა; სკოლაში და უმაღლეს სასწავლებლებში სამხედრო საქმის სწავლება — მებრძოლის ინდივიდუალური მომზადების დამთავრება სკოლის წლებში (შესაბამისად — სავალდებულო სამსახურის ვადის მკვეთრი შემცირება); სათავდაცვო [illegible]წველობის ორგანიზება; რეზერვისტთა სისტემის ორგანიზება; სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზება.

ჯერ კიდევ ერთი წლის წინ საქართველოს საშუალება ჰქონდა რუსეთის აგრესიისაგან სრული და გარანტირებული დაცვისა, ერთის მხრივ, მისგან იურიდიული დაცვის შექმნით, სახელდობრ, საქართველოს ტერიტორიაზე მისი სამხედრო მყოფობის ყოველგვარი უფლების, (მანდატის) გაუქმებით, რითაც მას საშუალება ერთმეოდა ოფიციალური ანუ დროშაგაშლილი შემოტევისა საქართველოზე, მეორეს მხრივ თავდაცვის რეალური ორგანიზებით, რომელიც იკმარებდა რუსეთის არაოფიციალური შემოტევების („ბოევიკებით" და ა.შ) მოსაგერიებლად. სააკაშვილის მიერ რუსული სამშვიდობო მანდატის არგაუქმებამ საქართველოს ეს თავდაცვა დაარღვია. ამის შედეგად დღეს ჩვენი თავდაცვის ამოცანა შეუდარებლად დამძიმებულია, მაგრამ დაუძლეველი მაინც არ არის.

### პოლიტიკური მომთხოვნელობა

**ჩამოთვლილი პრობლემები დგას არა მხოლოდ ხელისუფლების (რაგინდარა უზურპატორულისა და კორუმპირებულის) წინაშე და მათი გადაჭრა მოეთხოვება არა მხოლოდ ხელისუფლებას, არამედ, საკუთარი აზრის დონეზე, ყველა თვითცნობიერ მოქალაქეებსაც, მით უმეტეს, — ყველა პოლიტიკურ ჯგუფს, მათ შორის - პარტიას, ყველა საზოგადოებრივსა და პოლიტიკური ინიციატივას, რომელიც საჯაროობის განაცხადით გამოდის.** ყველა მათგანი ვალდებულია ჰქონდეს ამ პრობლემათა და მათი გადაჭრის გზათა კონკრეტული ხედვა. ჩვენ ამას მოვითხოვთ ასპარეზზე მყოფი ყველა პარტიისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ არ ვცნობთ მათს უფლებას პოლიტიკურ და ზოგ სხვა ზოგადსაზოგადოებრივ საჯარო პროცესებში მონაწილეობისა.

*საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და პირების ჯგუფი*

# რა ენაზე ველაპარაკოთ პუტინს?

დღეს ყველას ესმის, რომ ენის მოჩლექით არ უნდა ველაპარაკოთ. რატომ? იმიტომ, რომ საქართველოსადმი ზოოლოგიური სიძულვილისაკენ და მისი განადგურების მისწრაფებისაკენ არც პუტინს, არც მის ქვეყანას მხოლოდ ფსიქოლოგიური ე.წ. „კომპლექსები" არ უბიძგებენ, არამედ სავსებით კონკრეტული „ობიექტური" გარემოგებებიც. რუსეთის ყველაზე დიდი საზრუნავია დღეს, რომ აზიის კონტინენტის ცენტრალური ნაწილი – ყოფილი საბჭოთა შუა აზია, ირანი, ავღანეთი, პაკისტანის ჩრდილოეთი ნაწილი, რომელშიც ვერც ერთი ხელისუფლება ვერ შედის რეალურად და რომელსაც გეოპოლიტიკაში აქაურ „ტომთა არეალად" იხსენიებენ – დაიცვას დასავლური ცივილიზაციის, მისი ტექნიკის, მეცნიერების, სოციალური მართვის გამოცდილების, კეთილდღეობის, დემოკრატიის შეღწევისაგან. რუსეთმა იცის, რომ ამ ცივილიზაციასთან შედარებით არაკონკურენტუნარიანია, ამიტომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ცდილობს და ეცდება, იქ ამ კონკურენციის გარეშე გავლენის შენარჩუნება შეძლოს. ამისთვის მას სჭირდება, პირველ ყოვლისა, საქართველოს გაქრობა დედამიწის ზურგიდან, როგორც აზიის ერთადერთი ტიპოლოგიურად დასავლური ქვეყნისა და, ღვთის ნებით, რეალურად ერთადერთი დასავლური ფორპოსტისა ამ კონტინენტზე. ამას იგი ვერ მიაღწევს, მაგრამ ცდილობს. ვერ მიაღწევს იმიტომ, რომ მისი პოტენციალი უკვე შეუდარებლად ჩამორჩა დასავლეთისას (ხოლო მეცნიერული და ტექნოლოგიური დონე ასევე ჩამორჩა დასავლეთს იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსეთსა და ჩინეთს ერთ ბანაკად განიხილავთ, რაც, თავისთავად, აგრეთვე ნაკლებ მოსალოდნელი პერსპექტიკაა). იგი მუდამ ულმობელი მტერი იქნება ჩვენი და ჩვენც მუდამ ასევე უშეღავათოდ უნდა დავიცვათ მისგან თავი. ამ თავდაცვის ერთი საშუალება, – გარდა მოკავშირეების ყოლისა, – ჩვენთვის არის რუსეთზე იდეოლოგიური და მორალური შეტევა, რაშიც ვალდებულნი ვართ გავიმარჯვოთ, რადგან საქართველოს მოქმედება საერთაშორისო ურთიერთობებში დღესაც, ისევე როგორც მისი მთელი ისტორიის მანძილზე, მორალურად და იურიდიულად უხინჯოა, რუსეთისა კი უმძიმესი დანაშაულობებით დატვირთული. იმედია, რომ, როგორც კი საქართველოში არამარიონეტული, ანუ ქართული ხელისუფლება შეიქმნება, ქართველ ერში საკმარისი რაოდენობით გამოინახებიან ისინი, ვინც ჩვენი ქვეყნის დიპლომატიურ სამსახურში, პირველ ყოვლისა – დიდ საერთაშორისო ფორუმებზე, როგორიცაა გაერო, ეუთო, და სხვანი, – ჩვენს დაუძინებელ მტერს ამ ბრძოლას გაუმართავენ და მოუგებენ.

წინამდებარე ღია წერილი დაბეჭდილია „სვობოდნაია გრუზიაში" 2004 წლის აგვისტოში

**ОТКРЫТОЕ ПИСЬМО ПРЕЗИДЕНТУ РФ В. В. ПУТИНУ ОТ ГРУППЫ ДЕПУТАТОВ ВЕРХОВНОГО СОВЕТА РЕСПУБЛИКИ ГРУЗИЯ СОЗЫВА 1990 Г.**

**Господин Президент Российской Федерации**

18 августа 2004 года Вы сделали заявление для телевидения, в котором Вы коснулись, меджу прочим, внутренних проблем Грузии и грубо исказили факты ее недавней истории. В частности, Вы сказали, что нынешние кровавые события в зоне г. Цхинвали являются "рецидивом" аналогичных событий начала 90-ых годов прошлого века, которые имели место в результате "дурацкого" решения руководства Грузии о прекращении автономного статуса "Южной Осетии" и Абхазии. Имеется в виду Закон Республики Грузия об упразднении Юго-Осетинской Автономной Области, принятый Верховным Советом Республики Грузия 11 декабря 1990 года.

Это заявление Президента РФ дезинформирует аудиторию, поскольку автономный статус Абхазии в составе Грузии никогда и никем прекращен не был. Более того, в Абхазии были проведены выбори ВС Абхазии. Что касается остальной части Вашего заявления, она также не соответствует действительности, поскольку выступления лиц и групп осетинской национальности, направленные на отделение "Юго-осетинской Автономной Области" от Грузии. либо на резкое расширение ее конституционных прав, начались **за три года** до упомянутого акта ВС

*გაგრძელება მე-12 გვერდზე*

# მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „კარდუ“ დებულება

## კარი პირველი. არბიტრაჟი

**მუხლი 1. ამ დებულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება**

1. მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „კარდუ“–შპს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი კარდუ.

2. დავა – სამოქალაქო დავა, რომლის განხილვაც ეთხოვა არბიტრაჟს.

3. მხარე–საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მონაწილეობს არბიტრაჟისათვის გადაცემული დავის განხილვაში, როგორც პრეტენდენტი (მოსარჩელე) ან როგორც მოპასუხე.

4. პრეტენდენტი–არბიტრაჟში საარბიტრაჟო პრეტენზიის წარმდგენი პირი და დავის მონაწილე მხარე.

5. მოპასუხე–არბიტრაჟში აღძრული საარბიტრაჟო დავის მონაწილე მხარე, რომლის მიმართაც წარდგენილია პრეტენდენტის მოთხოვნა.

6. არბიტრაჟი - ერთი ან რამდენიმე არბიტრის შემადგენლობა, რომელიც უფლებამოსილია ამ დებულებითა და საქართველოს კანონით „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ განიხილოს და გადაწყვიტოს მხარეთა შორის დავა.

7. არბიტრი–არბიტრაჟის წევრი.

8. კანონი–საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“.

9. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე–შპს მუდმივმოქმედ არბიტრაჟ კარდუს ხელმძღვანელი.

10. არბიტრაჟის თავმჯდომარე–დავის კოლეგიურად განმხილველ არბიტრთა თავმჯდომარე ან დავის ერთპიროვნულად განმხილველი არბიტრი.

11. საარბიტრაჟო შეთანხმება – მხარეთა წერილობითი შეთანხმება ამა თუ იმ დავის საარბიტრაჟო განხილვის გზით მოწესრიგების შესახებ.

12. მტკიცებულება–ნებისმიერი მონაცემი, რომლის მეშვეობითაც არბიტრაჟი ადგენს მხარეთა მოთხოვნებისა და განცხადებების სამართლიანობასა და დასაბუთებულობას.

13. საარბიტრაჟო განხილვა–არბიტრაჟის მიერ მხარეთა შორის დავის განხილვა.

14. არბიტარაჟის გადაწყვეტილება – საარბიტარაჟო განხილვის პროცესში არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და არბიტრაჟის საბოლოო ანუ შემაჯამებელი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

15. დებულება–შპს მუდმივმოქმედ არბიტრაჟ „კარდუს“ დებულება.

**მუხლი 2. ზოგადი დებულებები**

1. არბიტრაჟი არის სამოქალაქო დავების კერძო საარბიტრაჟო განხილვის დამოუკიდებელი, მუდმივმოქმედი ინსტიტუტი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს პირებს შორის წამოჭრილ სამოქალაქო დავას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და ამ დებულების მიხედვით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამე არ არის დადგენილი.

2. არბიტრაჟი ხელმძღვანელობს დებულების იმ რედაქციით, რომელიც მოქმედებს საარბიტრაჟო–საპროცესო მოქმედების ჩატარების დროს.

3. დავის სწრაფად და ობიექტურად გადაწყვეტის მიზნით არბიტრაჟის თავმჯდომარე (არბიტრაჟი) უფლებამოსილია განახორციელოს კანონითა და დებულებით აუკრძალავი ან პირდაპირ გაუთვალისწინებელი საპროცესო მოქმედება.

4. მხარეთა შეთანხმება, რომელიც ადგენს ამ დებულებით დადგენილი საქმის განხილვისა და სხვა საკითხების გადაწყვეტის განსხვავებულ წესს, არბიტრაჟისათვის სავალდებულოა, თუ ამგვარი შეთანხმების უფლება მხარეებს მინიჭებული აქვთ კანონით.

5. არბიტარაჟის კომპეტენციის საკითხს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით წყვეტს ამ დავის განმხილველი არბიტრაჟი. ამასთან, საარბიტარაჟო შეთანხმება, როგორც ხელშეკრულების ნაწილი, განიმარტება ისეთ შეთანხმებად, რომელიც დამოკიდებული არ არის ხელშეკრულების სხვა პირობებზე. ხელშეკრულების ბათილად ცნობა თავისთავად არ გამოიწვევს საარბიტარაჟო შეთანხმების ბათილობას.

6. საარბიტრაჟო საქმე აღიძვრება საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენის გზით.

7. მხარეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ დროს საქმე დაამთავრონ მორიგებით. პრეტენდენტს შეუძლია უარი თქვას საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, ხოლო მოპასუხეს–ცნოს საარბიტრაჟო პრეტენზია.

8. საარბიტრაჟო საქმის წარმოება მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლება-შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები, თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რა მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

9. საქმის გარემოებათა გასარკვევად არბიტრაჟს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

10. არბიტრი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და დებულების საფუძველზე. რაიმე ზემოქმედება არბიტრზე ან ჩარევა მის საქმიანობაში დაუშვებელია.

11. საარბიტრაჟო განხილვა მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

12. არბიტრაჟს გადაწყვეტილება გამოაქვს შპს მუდმივმოქმედ არბიტრაჟ „კარდუს“ სახელით.

13. არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები სავალდებულოა მხარეთათვის შესასრულებლად.

14. თუ მხარეები არ დაადგენენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ვადას, გადაწყვეტილება გამოიტანება საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში.

15. საარბიტრაჟო განხილვა უნდა დაიწყოს საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენიდან 10 დღის ვადაში. თუ საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენისას არბიტრაჟის შემდაგენლობა არ არის არჩეული, საარბიტრაჟო განხილვა უნდა დაიწყოს არბიტრაჟის ყველა წევრის დანიშვნიდან 10 დღის ვადაში, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

16. საარბიტრაჟო განხილვა ტარდება არბიტრაჟის ოფისის ადგილსამყოფელის მიხედვით, ასევე, ნებისმიერ სხვა ადგილას საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც შერჩეულია არბიტრაჟის მიერ მიზანშეწონილობის პრინციპისა და მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის შეთანხმებული.

**მუხლი 3. არბიტრაჟის შემადგენლობა, აცილება**

1. არბიტრაჟი შედგება ერთი ან სამი არბიტრისაგან (გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა), რომელთა არჩევისა და დანიშვნის პირობები და წესი განისაზღვრება ამ მუხლით.

2. არბიტრები აირჩევიან და ინიშნებიან მხოლოდ მუდმივმოქმედ არბიტრაჟ „კარდუს“ არბიტრთა სიიდან, რომელსაც ადგენს შპს პარტნიორთა კრება (გარდა ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა). არბიტრის (არბიტრების) დანიშვნის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს.

3. თუ საარბიტრაჟო შეთანხმებით არბიტრთა რაოდენობა ერთით ან სამით არის განსაზღვრული, არბიტრაჟის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება საარბიტრაჟო შეთანხმების მიხედვით. ყველა სხვა შემთვევაში არბიტრაჟის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება მუდმივმოქმედი არბიტრაჟის გადაწყვეტილებით მხარეთა სურვილისა და დავის სირთულის გათვალისწინებით.

4. არბიტრაჟის წევრების დანიშვნა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის განსაკუთრებული უფლებამოსილებაა.

5. ერთწევრიანი არბიტრაჟის შემთხვევაში არბიტრად ინიშნება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით არჩეული არბიტრი მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ მათთვის წარდგენილი არბიტრთა სიიდან. მხარეთა შეუთანხმებლობისას არბიტრს იმავე სიიდან ნიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.

6. სამწევრიანი არბიტრაჟის შემთხვევაში არბიტრებად ინიშნებიან მხარეთა მიერ მათთვის წარდგენილი არბიტრთა სიიდან არჩეული თითო არბიტრი და არბიტრთა მიერ იმავე სიიდან, ურთიერთშეთანხმებით, საარბიტრაჟო შემადგენლობის თავმჯდომარედ არჩეული მესამე არბიტრი. არბიტრთა შეუთანხმებლობისას მესამე არბიტრს–საარბიტრაჟო შემადგენლობის თავმჯდომარეს ნიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე. თუ მხარემ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ დადგენილ ვადაში არ აირჩია არბიტრი, მის ნაცვლად არბიტრს ნიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.

7. დავის სირთულიდან გამომდინარე, თუ მუდმივმოქმედი არბიტრაჟი საჭიროდ ჩათვლის და მხარეებიც თანხმობას განაცხადებენ, არბიტრაჟი შეიძლება შეიქმნას ხუთი არბიტრისაგან, რა დროსაც თითოეული მხარე ირჩევს ორ – ორ არბიტრს, ხოლო ისინი–არანაკლებ სამი ხმით საარბიტრაჟო შემადგენლობის თავმჯდომარედ მეხუთე წევრს. თუ ვერ იქნა არჩეული მეხუთე არბიტრი, მას (საარბიტრაჟო შემადგენლობის თავმჯდომარეს) ნიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.

8. თუ დავაში მონაწილეობს ორზე მეტი მხარე, მაგრამ ყველა მხარემ წერილობით არ გამოხატა თანხმობა, რომ არბიტრაჟის შექმნის მიზნით დავის ყველა მონაწილე იყოფა ორ მხარედ – პრეტენდენტად (მოსარჩელედ) და მოპასუხედ და არ გადანაწილდნენ ასეთ მხარეებად, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე ისე ნიშნავს არბიტრაჟს, რომ მხედველობაში არ იღებს მხარეთა წარდგენილ კანდიდატურებს. ასეთ შემთხვევაში მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმება გაიგება როგორც მხარეთა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ არბიტრაჟს ნიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.

9. თუ არსებობს მხარეთა წინასწარი შეთანხმება მათ მიერ ან მათ მიერვე განსაზღვრული მესამე პირის მიერ არბიტრის (არბიტრების) დანიშვნის თაობაზე, ამ დებულებით ასეთი შეთანხმება გაიგება როგორც მხარეთა მორიგება წარადგინონ (და არა დანიშნონ) არბიტრის (არბიტრების) კანდიდატურა. მხოლოდ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს შეუძლია დანიშნოს წარდგენილი კანდიდატურა არბიტრად, თუ ის აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-10 პუნქტში მითითებულ მოთხოვნებს. არბიტრაჟს შეუძლია უარი თქვას მხარეთა ან მესამე პირის მიერ წარდგენილი არბიტრების დანიშვნაზე, თუ მიიჩნევს, რომ მათ არ გააჩნიათ საკმარისი მონაცემები სათანადოდ განახორციელონ არბიტრის უფლებამოსილებანი.

10. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ ამ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, არბიტრების დანიშვნამდე ყოველმა არბიტრმა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს თავისი ნამსახურობის ნუსხა, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ადრინდელი და ამჟამინდელი პროფესიული საქმიანობა და სამუშაო ადგილი. არბიტრმა ამ დებულებით განსაზღვრული საარბიტრაჟო ხარჯისა და მოსაკრებლების წესების შესაბამისად ხელი უნდა მოაწეროს ჰონორარის თაობაზე ხელშეკრულებას; აგრეთვე, დეკლარაციას იმის შესახებ, რომ არ არსებობს მისთვის ცნობილი ისეთი გარემოება, რომელმაც შეიძლება საფუძვლიანი ეჭვი აღძრას არბიტრის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაზე.

11. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე არბიტრებს ნიშნავს მას შემდეგ, რაც დადგენილ ვადაში მიიღებს მოპასუხის შესაგებელს, ანდა თუ შესაგებლის წარმოდგენისათვის განსაზღვრული დრო გავა. მუდმივმოქმედ არბიტრაჟის თავმჯდომარეს შეუძლია არბიტრაჟის ფორმირება დაიწყოს იმისდა მიუხედავად, იყო თუ არა პრეტენზია არასრული ან შესაგებელი წარმოდგენილი.

12. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს უფლება აქვს უფლებამოსილება შეუწყვიტოს მხარის მიერ დანიშნულ არბიტრს და მის ნაცვლად დანიშნოს სხვა არბიტრი, თუ:

ა) არბიტრმა წერილობით განაცხადა, რომ არ სურს თავისი ფუნქციების შესრულება და ამ განცხადების პირი გადაეცა ყველა მხარესა და არბიტრაჟის დანარჩენ წევრებს (თუ არიან ასეთები);

ბ) არბიტრმა წერილობით განაცხადა თვითგანრიდების შესახებ და ამ განცხადების პირი გადაეცა ყველა მხარესა და არბიტრაჟის დანარჩენ წევრებს (თუ არიან ასეთები), ან არბიტრი სერიოზულად დაავადდა ან თავისი ფუნქციების შესრულებისთვის უუნარო აღმოჩნდა;

გ) არბიტრი განზრახ ან სისტემატიურად არღვევს საარბიტრაჟო შეთანხმების პირობებს და ამ დებულებას;

დ) არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა ან დატოვა არბიტრაჟის სხდომა;

ე) საპატიო მიზეზით ორჯერ არ გამოცხადდა სხდომაზე.

ვ) არბიტრი გარდაიცვალა.

13. მხარეს უფლება არა აქვს შეცვალოს თავისი დანიშნული არბიტრი, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არა არის დადგენილი, ან ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული დებულებით.

14. ახალი არბიტრი აირჩევა და ინიშნება დებულებით დადგენილი წესითა და პირობებით.

15. თუ არბიტრთა რაოდენობა ერთზე მეტია, ერთ-ერთი ინიშნება არბიტრაჟის თავმჯდომარედ. არბიტრაჟის თავმჯდომარედ არ შეიძლება იყოს მხარის მიერ დანიშნული არბიტრი.

16. არბიტრის (არბიტრების) დანიშვნის შესახებ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე იღებს განკარგულებას.

17. მხარეს შეუძლია მოითხოვოს არბიტრის (არბიტრების) აცილება, თუ ეს უკანასკნელი არის:

ა) პოლიტიკური თანამდებობის პირი ან სახელმწიფო მოსამსახურე;

ბ) მსჯავრდებული პირი, რომელსაც შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა განზრახი დანაშაულისათვის;

გ) ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სხდომის მდივნად;

დ) მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია (მეუღლე, დანიშნული, პირდაპირი ხაზის ნათესავები, და-ძმა, დისშვილები და ძმისშვილები, მშობლების და-ძმები, დანათესავებულები (მოყვრები), პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახური ურთიერთობით არიან დაკავშირებულები);

ე) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს;

ვ) თუ არსებობს ისეთი გარემოებები, რომლებიც დასაბუთებულ ეჭვს იწვევენ მის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში.

18. მხარეს აქვს უფლება მოითხოვოს თავისი დანიშნული არბიტრის აცილება მხოლოდ იმ გარემოებათა გამო, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა არბიტრის დანიშვნის შემდეგ.

19. არბიტრაჟის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც ერთმანეთის ახლო ნათესავები არიან. თუ გამოვლინდა ასეთი გარმოება, ისინი უნდა ჩამოაცილონ (ჩამოსცილდნენ) დავის განხილვას.

20. მხარე ვალდებულია ერთი კვირის ვადაში წერილობით განაცხადოს არბიტრის აცილება მისთვის არბიტრაჟის დაკომპლექტების შეტყობინების, ან იმ დღიდან, როდესაც შეიტყო, ანდა უნდა სცოდნოდა აცილების საფუძვლების შესახებ.

21. აცილების საკითხს არბიტრაჟი წყვეტს ადგილზე მოთათბირებით ან სათათბირო ოთახში.

22. ერთპიროვნულად საქმის განმხილველი არბიტრის, არბიტრაჟის მთელი შემადგენლობის ან მისი უმრავლესობის აცილების შემთხვევაში საქმე გადაეცემა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს, რომელიც საქმეს განსახილველად გადასცემს არბიტრაჟის სხვა შემადგენლობას.

23. თავის მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის გადადგომის საკითხს წყვეტს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.

24. ექსპერტის, თარჯიმნის, სპეციალისტის, სხდომის მდივნის აცილება დასაშვებია დებულებით გათვალისწინებული საერთო საფუძვლებით. ამ შემთხვევაში აცილების საკითხს წყვეტს არბიტრაჟი.

25. განცხადება აცილების შესახებ დასაშვებია ზეპირადაც, ამ მუხლის მე-20 პუნქტში მოცემული პირობების დაცვით.

26. ამ მუხლის მე-20 პუნქტში აღნიშნული ვადის დარღვევით განცხადებული აცილების მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში არბიტრაჟი უფლებამოსილია აცილებული არბიტრის გასამრჯელო ან მისი ნაწილი დააკისროს აცილების განმცხადებელ მხარეს.

**მუხლი 4. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯები და დავის საგნის ღირებულება**

1. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯებს შეადგენს არბიტრაჟის ხარჯები და არბიტრაჟის გარეშე ხარჯები. არბიტრაჟის ხარჯებია: საარბიტრაჟო მოსაკრებელი, დავის განხილვასთან და არბიტრაჟის გადაწყვეტილების სანოტარო წესით დამოწმებასთან დაკავშირებული ხარჯები. არბიტრაჟის გარეშე ხარჯებია: ადვოკატისათვის და მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, აგრეთვე, მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

2. საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯს გაიღებს დაინტერესებული მხარე. არბიტრაჟი არ არის ვალდებული დავის განხილვასა ან თავისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით გასწიოს რაიმე ხარჯი.

3. საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდევინება წარმოებს:

ა) საარბიტრაჟო პრეტენზიაზე და საარბიტრაჟო სარჩელზე;

ბ) შეგებებულ საარბიტრაჟო პრეტენზიაზე;

გ) დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის საარბიტრაჟო პრეტენზიაზე;

დ) განცხადებასა და სარბიტრაჟო საჩივარზე საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ.

4. ქონებრივ დავებზე საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა დამოკიდებულია დავის საგნის ღირებულებაზე და შეადგენს სადავო საგნის ღირებულების 3 პროცენტს, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ განცხადებაზე საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობაა დავის საგნის ღირებულების 0,5 პროცენტი, მაგრამ არანაკლებ 100 (ასი) ლარისა.

6. საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა–გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პრეტენზიისათვის არ უნდა იყოს 500 (ხუთას) ლარზე ნაკლები.

7. დავის საგნის ფასს მიუთითებს პრეტენდენტი, მაგრამ თუკი მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება დავის საგნის ნამდვილ ღირებულებას, საარბიტრაჟო პრეტენზიის ფასს განსაზღვრავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.

8. თუ ერთ პრეტენზიაში სხვადასხვა ვალდებულებიდან (ხელშეკრულებიდან) გამომდინარე რამდენიმე სხვადასხვა მოთხოვნაა ჩამოყალიბებული, დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება თითოეული მოთხოვნისათვის ცალ-ცალკე და, შესაბამისად, ცალ-ცალკე დგინდება საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა. დავის საგნის შეფასებისას მხედველობაში მიიღება საარბიტრაჟო პრეტენზიის შეტანის დროისათვის არსებული ფასები.

9. თუ საარბიტრაჟო პრეტენზიის აღძვრისას შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, გადასახდელის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე; შემდეგ კი ხდება დამატებითი გადახდევინება ან ზედმეტად გადახდილის უკან დაბრუნება, საქმის გადაწყვეტისას დადგენილი საარბიტრაჟო ფასის შესაბამისად.

10. თუ არაქონებრივ-სამართლებრივ დავებზე საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება ყველა გარემოებისა და კონკრეტული მონაცემის გათვალისწინებით, მხედველობაში მიიღება საქმის მოცულობა, აგრეთვე მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, მათი შემოსავალი.

11. თუ არაქონებრივ-სამართლებრივ დავასთან ერთად განიხილება მისგან წარმოშობილი ქონებრივ-სამართლებრივი დავა, მაშინ საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება უფრო მაღალი ღირებულების მოთხოვნის მიხედვით.

12. დავის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯებია:

ა) საარბიტრაჟო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საარბიტრაჟო განხილვის ადგილზე დავის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები;

ბ) სპეციალისტების, ექსპერტების და თარჯიმნად მოწვეული პირებისათვის მისაცემი თანხები, აგრეთვე, ადგილობრივ დათვალიერებაზე გაწეული ხარჯები;

გ) არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები.

13. ამ მუხლის მე-12 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ხარჯებს მხარეები გაიღებენ თანაბრად, თუ საარბიტრაჟო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი; „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ხარჯებს წინასწარ გაიღებს მხარე, რომელმაც იშუამდგომლა ამის თაობაზე, ხოლო „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ხარჯებს–პრეტენდენტი. თუ ამ დებულებულებით გათვალისწინებული რომელიმე საპროცესო მოქმედება სრულდება არბიტრაჟის ინიციატივით, ამისთვის საჭირო თანხა ორივე მხარეს თანაბრად დაეკისრება.

14. მუდმივმოქმედ არბიტრაჟის თავმჯდომარეს ცალკეულ შემთხვევებში შეუძლია ნაწილობრივ გაათავისუფლოს მხარე საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდისაგან, განუწილვადოს ან გადაუვადოს მას ამ ხარჯების გადახდა.

15. ერთი მხარის ნაწილობრივ გათავისუფლება საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდისაგან მეორე მხარის საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებებზე გავლენას არ ახდენს.

16. საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა განახევრდება, თუ პრეტენდენტმა უარი თქვა თავის საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, ხოლო მხარეთა მორიგებისას ასეთი გადასახდელის ოდენობა შემცირდება 30 პროცენტით. ეს დანაწესი არ ვრცელდება საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფისათვის გადახდილ საარბიტრაჟო მოსაკრებელზე.

17. თუ საარბიტრაჟო პრეტენზიაზე უარის თქმა, საარბიტრაჟო პრეტენზიის ცნობა, ან მხარეთა მორიგება სადავო საგნის მხოლოდ ნაწილს შეეხება, მაშინ დანარჩენ ნაწილზე საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების გადახდევინება წარმოებს საერთო წესების დაცვით.

18. არბიტრს (არბიტრაჟს), რომელიც აწარმოებს ადგილზე დათვალიერებას, აუნაზღაურდება მგზავრობასთან, ბინის დაქირავებასთან დაკავშირებული ხარჯები და მიეცემა დღიური თანხა. აღნიშნული ხარჯების ოდენობას გონივრულ ფარგლებში ადგენს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.

19. არბიტრაჟის ხარჯები (საარბიტრაჟო მოსაკრებელი და დავის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები), დებულებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, წინასწარ შეაქვს მხარეს, რომელმაც შესაბამისი საარბიტრაჟო მოქმედების შესრულება მოითხოვა.

20. თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, იმ მხარის მიერ გაღებული საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების გადახდას, რომლის სასარგებლოდაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება, არბიტრაჟი აკისრებს მეორე მხარეს, მხოლოდ მოგებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე. თუ საარბიტრაჟო პრეტენზია დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მაშინ პრეტენდენტს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება პრეტენზიის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც არბიტრაჟის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა, ხოლო მოპასუხეს–საარბიტრაჟო პრეტენზიის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც პრეტენდენტს უარი ეთქვა.

21. თუ არბიტრაჟი შეცვლის სხვა კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის საარბიტრაჟო ხარჯების განაწილებასაც, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

22. თუ პრეტენდენტმა უარი თქვა საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, მის მიერ გაწეულ ხარჯებს მოპასუხე არ აანაზღაურებს. თუკი მან მხარი არ დაუჭირა თავის მოთხოვნას იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა ის საარბიტრაჟო პრეტენზიის აღძვრის შემდეგ, პრეტენდენტის მოთხოვნით, მოპასუხეს დაეკისრება პრეტენდენტის მიერ გაწეული საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების ანაზღაურება.

23. თუ მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებით ან მორიგების დროს თვითონ გაითვალისწინეს საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების განაწილების წესი, არბიტრაჟი ამ საკითხს წყვეტს მათი შეთანხმების შესაბამისად.

**მუხლი 5. საარბიტარაჟო - საპროცესო ვადები**

1. საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედება სრულდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და დებულებით დადგენილ ვადაში. თუ ვადა კანონით ან დებულებით არაა დადგენილი, მას განსაზღვრავს არბიტრაჟი, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს საარბიტარაჟო განხილვის დაწყებისა და გადაწყვეტილების გამოტანისათვის მხარეების მიერ ან კანონით დაწესებული ვადა და იმ საპროცესო მოქმედების შესრულების შესაძლებლობა, რისთვისაც ეს ვადა დაინიშნა.

2. საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეოთხე კარის დებულებების შესაბამისად.

3. საარბიტრაჟო-საპროცესო ვადის აღდგენა დასაშვებია წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელშიც მითითებული უნდა იქნეს მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების ვადაში შეუსრულებლობა და ასეთის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

4. საარბიტრაჟო-საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ განცხადების განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს მხარე, რომელმაც დროულად ვერ შეასრულა საპროცესო მოქმედება, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი შეუსრულებლობა მოწინააღმდეგის მიზეზით მოხდა.

**მუხლი 6. საპროცესო შეტყობინება და დაბარება**

1. არბიტრაჟსა და მხარეთა შორის, ასევე მოწმეებთან, ექსპერტებთან, სპეციალისტებთან და თარჯიმნებთან კომუნიკაცია ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VIII თავის (გარდა ამავე კოდექსის 73-ე მუხლის მე-7 და მე-71 ნაწილებისა) და ამ დებულების მოთხოვნათა შესაბამისად.

2. თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არა არის დადგენილი, მხარეს ეგზავნება არბიტრაჟში მეორე მხარისაგან შემოსული ყოველი განცხადების, დოკუმენტის, თხოვნის, ინფორმაციის ასლი 2 დღის ვადაში.

3. თუკი არსებობს გაგზავნის დადასტურება, შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება იმ დღეს, როცა ის ჩაბარდა ადრესატს ან მას უნდა მიეღო გამოყენებული საკომუნიკაციო საშუალების სახეობიდან გამომდინარე.

4. მიუხედავად ზემოთქმულისა, ნებისმიერ მხარეს შეუძლია მეორე მხარეს გაუგზავნოს შეტყობინება იმ წესით, რომელიც განსაზღვრულია მათი წერილობითი შეთანხმებით, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – მხარეთა შორის ჩამოყალიბებული პრაქტიკით.

## კარი მეორე. მხარეები

**მუხლი 7. მხარეთა საარბიტრაჟო - საპროცესო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. წარმომადგენლობა და თანამონაწილეობა**

1. მხარეებად არბიტრაჟში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები, აგრეთვე ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები.

2. საარბიტრაჟო დავაში მონაწილე მხარეები სარგებლობენ იმ უფლება-მოვალეობებით, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და დებულებით.

3. თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი, მხარის ქმედუუნარობა არ იწვევს საარბიტრაჟო შეთანხმების მოშლას. ერთ-ერთი მხარის ქმედუუნარობისას დავა განიხილება მხოლოდ მაშინ, თუ ქმედუუნარო პირს ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი.

4. თუ საქმის განხილვისას გაირკვევა, რომ ქმედუუნარო მხარეს არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, არბიტრაჟი ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება ასეთი მხარისათვის კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნამდე.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

5. მხარეებს შეუძლიათ არბიტრაჟში დავა აწარმოონ უშუალოდ, ასევე უფლებამოსილი წარმომადგენლის ან ადვოკატის მეშვეობით, რომელთა წარმომადგენლობა დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით. ფიზიკური პირის წარმომადგენლობა დასტურდება სანოტარო წესით. ხოლო ორგანიზაციის წარმომადგენლობა – ამ ორგანიზაციის მიერ გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთით.

6. მარწმუნებელს უფლება აქვს საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე გააუქმოს მის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება, რის შესახებაც იგი წერილობით აცნობებს არბიტრაჟს და წარმომადგენელს. ეს გარემოება არ წარმოადგენს საქმის წარმოების შეჩერებისა თუ საქმის განხილვის გადადების საფუძველს. უფლებამოსილებაშეწყვეტილი წარმომადგენლის მიერ კანონისა და დებულების შესაბამისად შესრულებული ყველა იურიდიული მოქმედება ინარჩუნებს ძალას.

7. თუ საქმის განხილვისას დადგინდა, რომ საარბიტრაჟო პრეტენზია აღძრულია არა იმ პირის მიერ, რომელსაც მოთხოვნის უფლება აქვს, არბიტრაჟს შეუძლია პრეტენდენტის თანხმობით, საქმის შეუწყვეტლად, შეცვალოს თავდაპირველი პრეტენდენტი სათანადო პრეტენდენტით, თუ სათანადო პრეტენდეტსა და მოპასუხეს შორის არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება.

8. თუ სათანადო პრეტენდენტი არ არის თანახმა შეცვალოს არასათანადო პრეტენდენტი, ან არასათანადო პრეტენდენტი არ არის თანახმა შეიცვალოს სათანადო პრეტენდენტით, საარბიტრაჟო წარმოება შეწყდება იმ მოტივით, რომ არასათანადო მხარემ უარი თქვა მის მიერ აღძრულ პრეტენზიაზე.

9. თუ შეცვლილ სათანადო პრეტენდენტსა და მოპასუხეს შორის არ არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება და მოპასუხე თანახმა არაა მოცემული დავა განიხილოს არბიტრაჟმა, საარბიტრაჟო წარმოება შეწყდება უსაფუძვლობის მოტივით.

10. თუ გაირკვევა, რომ საარბიტრაჟო პრეტენზია აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, მას შეუძლია შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით, თუ პრეტენდენტსა და სათანადო მოპასუხეს შორის არსებობს შესაბამისი სარბიტრაჟო შეთანხმება.

11. თუ პრეტენდენტი თანახმა არაა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, უარი ეთქმება საარბიტრაჟო პრეტენზიის დაკმაყოფილებას.

12. თუ პრეტენდენტსა და სათანადო მოპასუხეს შორის არ არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება და სათანადო მოპასუხე არაა თანახმა მოცემული დავა განიხილოს არბიტრაჟმა, საარბიტრაჟო წარმოება შეწყდება უსაფუძვლობის მოტივით.

13. ამ მუხლით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობათა გარდა, საარბიტრაჟო წარმოების მხარეები და თანამონაწილეობის საფუძვლებით– თანამონაწილეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-80–83-ე, 86-87-ე მუხლებით რეგლამენტირებული უფლება-მოვალეობებით.

## კარი მესამე. მტკიცებულებები

### მუხლი 8. მტკიცებულებათა შეგროვება და შეფასება

1. თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

2. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

3. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

4. მტკიცებულებებს წარმოადგენენ მხარეები. არბიტრაჟს (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს) შეუძლია შესთავაზოს მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა.

5. თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და წარმოდგენა, არბიტრაჟს (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს) მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით შეუძლია მიმართოს სასამართლოს მტკიცებულებათა გამოთხოვის მიზნით.

6. ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებისას არბიტრაჟს შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტი ტექნიკური დახმარების ან კონსულტაციის მიღების მიზნით.

7. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვთ.

8. არბიტრაჟი არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ.

9. წერილობითი მტკიცებულება, როგორც წესი, წარდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით. თუ წარდგენილია საბუთის ასლი, არბიტრაჟს, მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მოითხოვოს დედნის წარდგენა. პირი შეიძლება განთავისუფლეს დედნის წარდგენისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებს, რომ ასეთი საბუთის წარდგენა გარკვეული მიზეზით, რომელსაც არბიტრაჟი საფუძვლიანად მიიჩნევს, შეუძლებელია. საბუთის ასლისათვის მტკიცებულებათა მნიშვნელობის მინიჭება დამოკიდებულია არბიტრაჟის შეხედულებაზე.

10. მტკიცებულებათა მიუღებლობის, გამოთხოვაზე უარის თქმის ან საქმიდან მათი ამოღების შესახებ არბიტრაჟს გამოაქვს მოტივირებული დადგენილება.

11. არბიტრაჟისათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. არბიტრაჟი აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც ემყარება საარბიტრაჟო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს არბიტრაჟის შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

13. ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოებების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩაითვალოს და საფუძვლად დაედოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.

14. მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია:

ა) ფაქტები, რომლებსაც არბიტრაჟი საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს;

ბ) ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს ან არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით, თუ საარბიტრაჟო განხილვაში იგივე მხარეები მონაწილეობენ.

გ) ფაქტები იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა მოქმედებას ადგილი და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით, როცა საქმეს იხილავს არბიტრაჟი იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი.

15. არბიტრაჟი (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე) მხარის განცხადებით ან საკუთარი ინიციატივით მიმართავს სასამართლოს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გამოტანის მოთხოვნით. მხარის განცხადებით შესაძლებელია მტკიცებულებათა დამატებითი ან განმეორებითი უზრუნველყოფა.

16. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ დადგენილების მიღებით საარბიტრაჟო-საპროცესო ვადა ჩერდება შესაბამისი მტკიცებულებების მიღებამდე.

17. მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეულ ხარჯებს გადაიხდის პირი, რომელმაც იშუამდგომლა ასეთი უზრუნველყოფის შესახებ. მოწინააღმდეგე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს მტკიცებულებათა უზრუნველყოფაში მონაწილეობისათვის მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება. საბოლოოდ ამ ხარჯების განაწილება მოხდება საქმის არსებითად გადაწყვეტისას.

### მუხლი 9. ექსპერტიზის დანიშვნა

1. საკითხზე, რომლის განმარტებაც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარის მოთხოვნით დანიშნოს ექსპეტიზა. ექპერტიზა სავალდებულოა, თუ მხარეები ამას მოითხოვენ.

2. ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ არბიტრაჟს გამოაქვს დადგენილება, რომელშიც უნდა აღინიშნოს, თუ რა საკითხებზეა საჭირო ექსპერტის დასკვნა, ვინ დაინიშნა ექსპერტად (ექსპერტებად) და რა მასალები წარედგინა გამოსაკვლევად.

3. მხარეებს უფლება აქვთ შესთავაზონ არბიტრაჟს ექსპერტების კანდიდატურები და წარმოადგინონ კითხვები, რომლებიც უნდა განმარტოს ექსპერტმა. საბოლოოდ საკითხს იმის შესახებ, თუ ვის მიენდოს ექსპერტიზის ჩატარება და საკითხთა წრეს, რომლებზედაც საჭიროა ექსპერტის დასკვნა, განსაზღვრავს არბიტრაჟი.

4. ექსპერტიზისათვის საჭირო მასალებს არბიტრაჟს წარუდგენენ მხარეები. ექსპერტიზის ჩასატარებლად საჭირო მასალების წრეს განსაზღვრავს არბიტრაჟი.

5. მხარეებს უფლება აქვთ ექსპერტიზის დასკვნასთან დაკავშირებით გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და დაუსვან შეკითხვები ექსპერტს დასკვნის განმარტებისა და შევსების მიზნით.

6. ექსპერტიზის დასკვნა არბიტრაჟისათვის სავალდებულო არ არის, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

7. თუ ექსპერტიზის დასკვნა არ არის სრული ან გაურკვეველია, აგრეთვე, თუ რამდენიმე ექსპერტის დასკვნა ეწინააღმდეგება ერთმანეთს, შესაძლებელია დაინიშნოს დამატებითი ან განმეორებითი ექსპერტიზა. არბიტრაჟი ვალდებულია მხარეების მოთხოვნით დანიშნოს დამატებითი ან განმეორებითი ექსპერტიზა.

## კარი მეოთხე. საარბიტრაჟო წარმოება

### მუხლი 10. საარბიტრაჟო პრეტენზია

1. საარბიტრაჟო განხილვის დაწყების საფუძველია მხარის წერილობითი საარბიტრაჟო პრეტენზია, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დასახელებას;

ბ) მხარეთა სრულ დასახელებას, მათ მისამართებს და ტელეფონს;

გ) დავის საგნის აღწერას და პრეტენზიის ფასს;

დ) მითითებას საარბიტრაჟო შეთანხმებაზე;

ე) საარბიტრაჟო პრეტენზიისათვის დართული საბუთების ნუსხას;

ვ) პრეტენდენტის მოთხოვნას;

ზ) არბიტრობის სასურველი კანდიდატის (კანდიდატების) ვინაობას, მისამართს, ტელეფონს და სხვა მონაცემებს, თუ არბიტრს (არბიტრებს) ნიშნავს პრეტენდენტი;

თ) საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთის.

ი) პრეტენდენტის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერას.

2. საარბიტრაჟო პრეტენზია და თანდართული საბუთები არბიტრაჟს უნდა წარედგინოს იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა.

3. თუ პრეტენზია არ პასუხობს ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, პრეტენდენტს მიეცემა ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად. ამ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში პრეტენზია მიღებულად არ ჩაითვლება და დაუბრუნდება პრეტენდენტს.

4. მუდმივმოქმედი არბიტაჟის თავმჯდომარე ვალდებულია საარბიტრაჟო პრეტენზიის ჩაბარებიდან 2 დღის ვადაში თავისი განკარგულებით უარი თქვას მის მიღებაზე ან ამ ვადაში მიიღოს პრეტენზია წარმოებაში და 2 დღეში თანდართულ დოკუმენტებთან ერთად გადაუგზავნოს მოპასუხეს.

5. მუდმივმოქმედი არბიტაჟის თავმჯდომარე უნიშნავს მოპასუხეს ვადას წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად.

6. მუდმივმოქმედი არბიტრაჟი არ მიიღებს საარბიტრაჟო პრეტენზიას (საჩივარს) თუ:

ა) არ არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმება;

ბ) არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;

გ) მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს სხვა არბიტრაჟის გადაწყვეტილება, რომლის გასაჩივრების თაობაზე მხარეები არ შეთანხმებულან, ან დარღვეულია გასაჩივრებისათვის კანონით ან მხარეთა მიერ დადგენილი გასაჩივრების ვადა;

დ) საქმე ამ არბიტრაჟის განსჯადი არ არის;

ე) პრეტენზია შეიტანა ქმედუუნარო პირმა ან დაინტერესებული პირის სახელით იმ პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე;

ა) პრეტენზიის მიუღებლობის შესახებ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარის განკარგულება ჩაბარდება პრეტენდენტს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ შეტანილი საბუთები და შეტანილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის 90 %.

### მუხლი 11. შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზია

1. მოპასუხეს უფლება აქვს მისთვის საარბიტრაჟო პრეტენზიის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე აღძრას პრეტენდენტის მიმართ შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზია პირვანდელ პრეტენზიასთან ერთად განსახილველად. ამ ვადის გაშვების შემდეგ მოპასუხეს შეუძლია აღძრას შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზია საარბიტრაჟო პაექრობის დამთავრებამდე, თუ არბიტრაჟი საპატიოდ მიიჩნევს ვადის გაშვებას.

2. შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენა ხდება საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენისათვის ამ დებულებით დადგენილი წესების დაცვით.

3. თუ შეგებებული პრეტენზია აღძრული და მიღებულია საქმის წინასწარი მომზადების დამთავრების შემდეგ, პრეტენდენტის თხოვნით ან არბიტრაჟის ინიციატივით შეიძლება ამ საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება. საქმის გადადებით გამოწვეული ხარჯები დაეკისრება შეგებებული პრეტენზიის დაგვიანებით აღმძვრელს.

### მუხლი 12. პრეტენზიის უზრუნველყოფა

1. პრეტენდენტს შეუძლია მიმართოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს (არბიტრაჟს) განცხადებით პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ იმ გარემოებებზე მითითებით, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას და უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების მიღება მიაჩნია მას საჭიროდ.

2. გადაუდებელ შემთხვევაში განცხადება პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს არბიტრაჟში პრეტენზიის აღძვრამდე, რაზედაც მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს გამოაქვს გადაწყვეტილება პრეტენზიის აღძვრამდე უზრუნველყოფის შესახებ და განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას პრეტენზიის აღძვრისათვის. დადგენილ ვადაში თუ არ აღიძვრება პრეტენზია, უქმდება უზრუნველყოფის შესახებ მიღებული ღონისძიება.

3. განცხადება პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ განიხილება ერთი დღის ვადაში.

4. პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი ნოტარიულად დამოწმებისთანავე და აღსრულდება დაუყოვნებლივ.

5. პრეტენზიის უზრუნველსაყოფად გამოტანილ გადაწყვეტილებაზე მოპასუხეს შეუძლია შეიტანოს საარბიტრაჟო საჩივარი მისთვის ამ გადაწყვეტილების გადაცემიდან 3 დღის ვადაში. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება.

6. საარბიტრაჟო საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებას, მაგრამ არბიტრაჟს შეუძლია გარკვეული დროით შეაჩეროს აღსრულება ან გააუქმოს უზრუნველყოფისათვის უკვე მიღებული ღონისძიებები.

7. მხარის თხოვნით დასაშვებია უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა.

8. პრეტენზიის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს:

ა) ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან;

ბ) მოპასუხის დავალდებულება გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ნივთი სასამართლო აღმასრულებელს სეკვესტრის (ქონების იძულებითი მართვა) სახით;

გ) მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა.

9. დასაშვებია პრეტენზიის უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებებიც, თუ ამის აუცილებლობა არსებობს.

10. შესაძლებელი პრეტენდენტს მოეთხოვოს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

### მუხლი 13. საქმის მომზადება არბიტრაჟის მთავარ სხდომაზე განსახილველად

1. არბიტრაჟის დანიშვნამდე საქმეს ამზადებს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, ხოლო არბიტრაჟის დანიშვნის შემდეგ არბიტრაჟის თავმჯდომარე.

2. მხარეები მოვალენი არიან შეასრულონ საქმის მომზადების მიზნით მუდმივმოქმედი არბიტრაჟის და არბიტრაჟის თავმჯდომარის მითითებები. წერილობითი მასალების წარუდგენლობა, თუ სხვა მოქმედებების შეუსრულებლობა ისეთი მიზეზით, რომელსაც არბიტრაჟი არასაპატიოდ ცნობს, მხარეს უფლებას ართმევს შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს.

3. მთავარ სხდომას ნიშნავს არბიტრაჟი დადგენილებით.

4. თუ მოსამზადებელ სხდომაზე არბიტრაჟი საქმეს საკმაოდ მომზადებულად მიიჩნევს და მხარეებს დამატებით არაფერი აქვთ წარმოსადგენი, არბიტრაჟს შეუძლია ეს სხდომა გადააქციოს მთავარ სხდომად და არსებითად განიხილოს საარბიტრაჟო პრეტენზია.

5. თუ მოსამაზადებელ სხდომაზე პრეტენდენტი უარს იტყვის პრეტენზიაზე ან მხარეები მორიგდებიან, საქმის წარმოება შეწყდება. თუ მოპასუხე ცნობს პრეტენზიას, საარბიტრაჟო პრეტენზია დაკმაყოფილდება.

6. დებულებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას არბიტრაჟის მთავარ სხდომაზე საქმის განსახილველად მომზადების დროს საქმის წარმოება შეიძლება შეწყდეს ან პრეტენზია (საჩივარი) განუხილველად დარჩეს.

7. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვაზე მხარეთა თანხმობის შემთხვევაში არბიტრაჟს შეუძლია საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც გამოაქვს მოტივირებული დადგენილება და წინასწარ აცნობებს მხარეებს ასეთი განხილვის თაობაზე.

### მუხლი 14. მხარეთა გამოუცხადებლობა და დოკუმენტების წარმოუდგენლობა

1. თუ დებულებით დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება სხდომაზე, არბიტრაჟი უფლებამოსილია გააგრძელოს საქმის განხილვა.

2. თუ არბიტრაჟის მიერ დადგენილ ვადაში მხარე არასაპატიო მიზეზით არ წარმოადგენს მოთხოვნილ დოკუმენტებს, არბიტრაჟი უფლებამოსილია გადაწყვეტილება გამოიტანოს მის ხელთ არსებული მასალების საფუძველზე.

### მუხლი 15. არბიტრაჟის მთავარი სხდომა

1. არბიტრაჟის თავმჯდომარე სხდომის გახსნილად გამოცხადების შემდეგ: არკვევს განსახილველ საქმეზე მოწვეულ პირთაგან ვინ გამოცხადდა, ჩაბარდათ თუ არა გამოუცხადებელ პირებს საარბიტრაჟო უწყება და გზავნილი ამ დებულებით დადგენილი წესით და რა ცნობები არსებობს მათი გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ; ადგენს გამოცხადებულთა ვინაობას, ამოწმებს წარმომადგენელთა უფლებამოსილებას; აცხადებს არბიტრაჟის შემადგენლობას, ექსპერტის, სპეციალისტის, თარჯიმნის, სხდომის მდივნის ვინაობას და განმარტავს ამ პირთა აცილების უფლებას.

2. მხარეთა (მათ წარმომადგენელთა) განცხადებები და შუამდგომლობები ახალ მტკიცებულებათა წარმოდგენისა თუ გამოთხოვის, აგრეთვე საქმის განხილვასთან დაკავშირებით სხვა საკითხების შესახებ დაკმაყოფილდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი განცხადება ან შუამდგომლობა საარბიტარაჟო განხილვისათვის საქმის მომზადების სტადიაზე საპატიო მიზეზით არ აღძრულა. ასეთ შემთხვევაში, მხარეთა თხოვნით ან არბიტრაჟის ინიციატივით საქმის განხილვა შეიძლება გადაიდოს. ამასთან, არბიტრაჟი დაავალებს მხარეებს დანიშნულ ვადაში წარმოადგინონ წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები, რათა მოწინააღმდეგე მხარეს ახალი სხდომის დაწყებამდე ჰქონდეს შესაძლებლობა გაეცნოს ამ მასალებს.

3. საქმის განხილვის გადადებისას დაიკითხებიან გამოცხადებული მოწმეები. ახალ საარბიტრაჟო სხდომაზე ამ მოწმეთა ხელმეორედ დაბარება შეიძლება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში.

4. საქმის არსებითად განხილვა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) არბიტრის (არბიტრაჟის) მოხსენება;

ბ) მხარეთა ახსნა-განმარტება, რომელშიც შეიძლება წამოყენებული იქნეს ახალი მოსაზრებები ან მითითებები ახალ გარემოებებზე, რის შესახებაც საქმის მოსამზადებელ სტადიაზე ან მთავარი სხდომის დაწყებამდე არ განცხადებულა. არბიტრაჟი გაითვალისწინებს ამ გარემოებებსა და მტკიცებულებებს, თუ ცნობს, რომ თავის დროზე ასეთზე საპატიო მიზეზით არ განცხადებულა და ეს არ ხდება საქმის გაჭიანურების მიზნით. ასეთ შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია ითხოვოს საქმის განხილვის გადადება.

გ) მხარეთა შეკითხვები. თუ შეკითხვები შეუსაბამოდ ან უადგილოდ მიიჩნევა, არბიტრაჟს შეუძლია მოხსნას ისინი მხარის თხოვნით ან თავისი ინიციატივით;

დ) არბიტრაჟის შეკითხვები; მტკიცებულებათა განხილვა და შემოწმება;

ე) მხარეთა პაექრობა, რომელიც შედგება მხარეების და მათი წარმომადგენლების სიტყვებისაგან;

ვ) რეპლიკა. უკანასკნელი რეპლიკის უფლება ეკუთვნის მოპასუხეს და მის წარმომადგენელს.

5.მხარეთა პაექრობის და რეპლიკის შემდეგ არბიტრაჟი გადის გადაწყვეტილების მისაღებად, რის შესახებაც უცხადებს სხდომის დარბაზში დამსწრე პირებს. არბიტრაჟი უფლებამოსილია სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოაცხადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.

### მუხლი 16. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება

1. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იქნეს კანონით და ამ დებულებით დადგენილ ვადაში და წესით.

2. არბიტრაჟს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია ან იმაზე მეტი ვიდრე ის მოითხოვდა.

3. არბიტრაჟს უფლება აქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანიდან 7 დღის ვადაში გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით, თუ:

ა) იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა;

ბ) არბიტრაჟს რომელმაც გადაწყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს;

გ) არბიტრაჟს არ გადაუწყვეტია საარბიტრაჟო ხარჯების საკითხი.

4. დამატებითი გადაწყვეტილება არბიტრაჟს გამოაქვს საარბიტრაჟო სხდომაზე, რომლის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს ასეთი გადაწყვეტილების გამოტანას.

5. სანოტარო წესით დამოწმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა კანონით მითითებული შემთხვევებისა. გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება დაიშვება მხოლოდ მის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

6. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მხარეებს ბარდებათ ამ დებულების მე-6 მუხლით დადგენილი წესების დაცვით.

7. სააღსრულებო ფურცელს (წარწერას) გასცემს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.

### მუხლი 17. საქმის წარმოების შეწყვეტის სხვა საფუძვლები

1. არბიტრაჟი, დებულებით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ:

ა) არსებობს სასამართლოს (არბიტრაჟის) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით მოსარჩელის (პრეტენდენტის) მიერ სარჩელზე (პრეტენზიაზე) უარის მიღების ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;

ბ) პრეტენდენტმა უარი თქვა პრეტენზიაზე;

გ) მხარეები მორიგდნენ;

დ) საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ, სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაუშვებელია უფლება-მონაცვლეობა.

2. მხარეებს შეუძლიათ არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე მორიგდნენ. მხარეთა მორიგების შემთხვევაში არბიტრაჟი უფლებამოსილია გამოიტანოს მხარეთა შორის შეთანხმებული გადაწყვეტილება.

### მუხლი 18. საქმის წარმოების შეჩერება

1. აუცილებლობის შემთხვევაში მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე (არბიტრაჟი) უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით შეაჩეროს ან გადადოს საქმის განხილვა.

2. საქმის წარმოება განახლდება იმ გარემოებათა აცილების შემდეგ, რომლებმაც გამოიწვია წარმოების შეჩერება (გადადება).

### მუხლი 19. საქმის განუხილველად დატოვება

1. არბიტრაჟი, მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს პრეტენზიას, თუ:

ა) პრეტენზია დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა საქმის წარმოებაზე არაუფლებამოსილმა პირმა;

ბ) საარბიტრაჟო სხდომაზე პრეტენდენტი არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანახმაა პრეტენზიის განუხილველად დატოვებისა;

გ) არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა.

2. იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო პრეტენზიის განუხილველად დატოვებას, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს საერთო წესების დაცვით.

### მუხლი 20. საარბიტრაჟო ოქმი

1. არბიტრაჟში საქმის განხილვა მიმდინარეობს ზეპირად, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. არბიტრაჟის სხდომის შესახებ, როგორც წესი, ოქმი არ დგება. ოქმი შედგება, თუ ამას მოითხოვს განხილვის მონაწილე ყველა მხარე ან არბიტრაჟი, საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩათვლის სხდომის ოქმის შედგენას. ოქმი უნდა ასახავდეს საქმის განხილვის ან ცალკეული საარბიტრაჟო საპროცესო მოქმედების ყველა არსებითი მომენტს. მხარეებს უფლება აქვთ იშუამდგომლონ ოქმში იმ გარემოებათა შეტანის შესახებ, რომლებსაც, მათი აზრით, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვთ.

3. ოქმს ადგენს სხდომის მდივანი და ხელს აწერენ არბიტრი და მდივანი, ხოლო თუ საქმეს კოლეგიური არბიტრაჟი იხილავს, ამ არბიტრაჟის თავმჯდომარე და მდივანი.

### მუხლი 21. საქმის გადასინჯვა

1. მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში, არბიტრაჟი უფლებამოსილია გადასინჯოს განხილული საარბიტრაჟო საქმე.

2. საქმის გადასინჯვა წარმოებს დებულებით დადგენილი წესების მიხედვით და ამ მუხლით გათვალისწინებული დამატებებით.

3. საქმის გადასინჯვის დაწყების საფუძველია დაინტერესებული მხარის საარბიტრაჟო საჩივარი საქმის გადასინჯვის თაობაზე.

4. საქმის გადასინჯვაში არ შეიძლება მონაწილეობას იღებდნენ ის არბიტრები, რომლებიც მანამდე მონაწილეობდნენ ამ საქმის განხილვაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა ენაზე ველაპარაკოთ პუტინს?

*მეცხრე გვერდიდან*

Республики Грузия под разными предлогами. но с единой целью - наказать грузинский народ за подъем грузинского национально-освободительного движения с целью выхода Грузии из состава СССР. Они, по замыслу организаторов, должны были препятствовать развитию этого движения. Общеизвестно, что сепаратисткие осетинские выступления в Цхинвали были организованы Советским государством, при помощи спецслужб и политических агентур. Этот последний факт никем не оспаривается, в том числе и трехсторонней Межпарламентской комиссией (представители ВС СССР, РСФСР и Республики Грузия), в протоколе которой, в частности, говорится:

"Конфликт препятствует нормальному процессу восстановления государственной независимости Грузии согласно волеизъявлению ее граждан на референдуме 31 тарта 1991 года, связан с попыткой определенных сил нарушить территориальную целостность Грузии и имеет политическую основу" (протокол Межпарламентской комиссии, образованной в соответствии с постановлением Совета Национальностей Верховного Совета СССР от 24 апреля 1991 года "О предложениях по нормализации обстановки в Южной Осетии и вокруг нее". Протокол подписывают члены Межпарламентской комиссии: представители Верховного Совета СССР В. Гусев и С. Евтух, представители Верховного Совета РСФСР Н. Махиянов и В. Шуйков, представители Верховного Совета Республики Грузия Г. Чорголашвили и Н. Натадзе. (См. газ. "Сакартвело", спецвыпуск, июнь 1996 г.).

В итоговом документе встречи З. Гамсахурдиа и Б. Ельцина в Казбеги 23.03.1991 г., подписанном обоими участниками, "Юго-Осетинская АО" упоминается как "бывшая".

В мае 1989 года в г. Цхинвали был организован погром мемориала жертв кровавых событий 9.04.1989 г. в Тбилиси, а затем погром грузинской церкви в центре города. Некоторые из нас присутствовали на многолюдном митинге в г. Цхинвали 8 июля 1989 года на русском (в основном), осетинском и грузинском языках, тематика которого была исключительно сепаратисткой и антигрузинской. Кровь в ходе искусственно нарождаемого осетинского сепаратисткого движения была пролита уже зимой 1989-1990 годов (31 декабря 1989 г. пожилым осетином был застрелен из винтовки В. Тутарашвили, 17 лет), затем весной и летом 1990 года (сначала - грузинская, потом - осетинская), пикетирование дорог с обеих сторон конфликта было начато с поздней осени 1989 года. Таких образом. заявляя публично, что нынешнее кровопролитие есть результат законодательного акта ВС Республики Грузия от 11.12. 1990 г., Вы дезинформируете аудиторию.

Президенту РФ надлежит знать, что "Юго-Осетинская Автономная Область" в Грузии была полностью незаконным искусственным территориально-политическим образованием. Она была создана не решением законодательных органов Грузии (в том числе и не имевших собственной воли, а полностью управлявшихся из Москвы, какими были все без исключения органы государственной власти в "союзных" республиках СССР), а решением Кавбюро большевиков, принятым в 1920 году, то есть до завоевания и аннексии Грузии Россией в феврале 1921 года, которое лишь потом было повторено псевдонезависимыми советскими органами Грузии. Наименования "осетинский участок", "осетинская дистанция" и т.п. были изобретены для тех или иных частей территории Грузии лишь российскими оккупантами в XIX в., а выражение "Южная Осетия" было изобретено теми же российскими властями уже в советское время. Создание этой автономной области из четырех районов Грузии, в населении которых, суммарно, преобладали коренные жители грузины, а не осетинская диаспора, поселившаяся на этой территории в основном после 1864 года (это год упразднения крепостного права в Грузии), было сознательным подрывом возможной будущей независимой государственности Грузии, в частности, искусственным созданием повода для выдвижения в будущем лозунга "соединения двух Осетий". Верховный Совет Республики Грузия созыва 1998 года был первым реально избранным законодательным органом Грузии после ее завоевания Советской Россией в 1921 году. Он был обязан упразднить противоправно созданную "ЮОАО" в Грузии, ибо его воздержание от совершения этого законодательного акта было бы равносильно признанию им легитимности этой автономной области и ее названия. ВС Республики Грузия свою обязанность выполнил. Тем самым он поступил вполне разумно, т.е. в соответствии с буквой закона и принципом, что противоправные действия не рождают права и несправедливость не рождает справедливости, в соответствии с жизненными интересами своей страны и в соответствии с правозащитной практикой наших дней, которая не признает за диаспорами и даже этническими анклавами, имеющими государственные образования того же этнического наименования за рубежом, права на территориально-политическую автономию.

Нынешние планы политики России по отношению к событиям в цхинвальской зоне и преследуемые ею цели, когда она засылает состоящие из ее граждан парамилитарные вооруженные отряды в Грузию и когда ее "миротворцы" ведут боевые действия против грузинских Внутренних Войск, ясны: Россия стремится добиться узаконения создания на земле Грузии по возможности более независимой территориально-политической единицы под названием "Южная Осетия" и добиться для себя статуса гаранта этой автономии. Таким путем Россия стремится обрести плацдарм для действий по воспрепятствованию продвижению западной демократии и западного влияния в Центральную Азию на будущее. Она стремится сделать это за счет жизненных интересов Грузии, дезинтегрируя ее государственность и готовя почву для катастрофы последней. Идущая ныне в цхинвальском регионе война с десятками человеческих жертв и с непосредственной угрозой геноцида грузинского населения является не грузино-осетинской, а русско-грузинской войной — почти не прикраваемой агрессией России против Грузии.

Поясним. Российские миротворцы в голубых касках

- перекрывают дороги, пропуская осетинские вооруженные формирования и не пропуская грузинские.
- пользуясь иммунитетом передвижения и тем, что по ним огонь не открывается, занимают позиции на высотах, а затем передают их осетинам.
- снабжают осетинское командование развединформацией.
- являются каналом снабжения осетинских формирований оружием и боеприпасами.
- пользуясь соседством с расположенными рядом с ними осетинскими позициями, ведут минометный и орудийный обстрел грузинских позиций и грузинских сел в ночное время.

Кроме того, из России в цхинвальский регион вступило уже более тысячи российских вооруженных военнослужащих под видом добровольцев и наемников, которым платят якобы осетинские сепаратисты, а не Российское государство.

С целью обретения повода для российского военного вмешательства во внутренние дела Грузии Россия, пренебрегая всеми юридическими и моральными нормами, предоставила российское гражданство осетинской части населения региона.

Относительно эпитета "дурацкое" в Вашем выступлении мы считаем необходимым заявить следующее.

Политика защиты интересов своей страны от территориальных посягательств со стороны управляемой соседней державой диаспоры, в том числе - упразднение безосновательной территориально-политической автономии для этой диаспоры, наименование которой может служить поводом для посягательств на территорию государства со стороны внешних сил (мы имеем в виду выдвижение требования "соединить две Осетии") не есть и не может быть квалифицирована как "дурацкая".

Во-первых, она полностью соответствует принципу непререкаемого национального суверенитета государств, которому следует современное человечество и которому оно будет следовать в предвидимом будущем. Во вторых, она - как уже отмечалось выше, - полностью соответствует международно принятым правозащитным нормам. В третьих, она отвечает интересам человечества в предвидимом будущем, которое, в случае, если факт насильственного осуществления противоправных операций над государственно-территориальным устройством побежденной или слабой страны будет рассматриваться как достаточное основание для легитимации результатов этого насилия, будет ввергнуто в хаос этнической взаимоненависти, внутренних войн и повсеместного распространения практики организации сецессионистских и сепаратистких "восстаний" диаспор на территории чужих государств. Примером истинно "дурацкой" политики может служить нечно другое. Это - проводившаяся Советским Союзом политика нивелирования реальных исторических народов в соответствии с идеологическим мифом о "рождении новой общности - советского народа" и продолжающая ее политика кровавого удушения свободолюбивого чеченского народа (раз уже побывавшего в советском переселении), проводимая ныне Российской Федерацией при практически полной поддержке ее населения и ее властей. Примером "дурацкой", как выражается Президент РФ, политики могут служить и действия России по организации и проведению внешне грузинско-абхазской, в действительности же русско-грузинской войны в Абхазии с ее геноцидом грузин и этнической чисткой (она продолжается и ныне), а также по организации войны в цхинвальском регионе в 1989-1992 годы, и ее действия в том же регионе ныне. Пока существует иллюзия, что эти действия России принесут стратегические преимущества для ее имперских интересов в регионе, их можно считать только преступными. Если (точнее: когда) станет очевидным, что они этих результатов не приносят, они будут признаны и преступными, и дурацкими.

Дабы этого не произошло, мы рекомендуем Президенту РФ как можно строже придерживаться не только норм Международного права (которые его страна не соблюдает в своих отношениях с Грузией), но и не кодифицированных норм морали во взаимоотношениях народов и реализм. Ибо, как уже отмечалось выше, несправедливость не рождает справедливости и противоправные действия не могут легитимировать создаваемую ими ситуацию. Создание "ЮОАО" в 1922 г. (кстати сказать, по сей день ни часу не просуществовавшей вне присутствия в ней сначала советских, а затем российских вооруженных сил) было насилием России над Грузией, ее юридический результат - наличие "ЮОАО" на карте - не можед считаться легитимным, и ее законное упразднение государственной властью освободившейся от ига России страны не может быть основанием ни для нареканий ни, тем более, для вооруженного вмешательства. Грузия намерена залечить все раны, нанесенные ей почти двухвековым владычеством России и ее подрывной по отношению к стране и нации политикой, в том числе и картографическую рану в виде создания на ее территории новой вымышленной страны под именем "Осетия".

"Осетия" по южную сторону Кавказского хребта создана не будет, а если она будет создана и признана под военным давлением России тем или иным недостаточно твердым и недостаточно верным стране руководством Грузии, она будет упразднена впоследствии первым же демократически избранным и верным своему долгу руководством.

Мы не вправе давать политикам иностранного государства рекомендации относительно курса их внутренней и внешней политики. Однако относительно нинешней политики РФ в отношении Грузии мы можем предупредить Вас однозначно: позитивных результатов она России не принесет.

Члены Верховного Совета Республики Грузия созыва 1990 года:

Натадзе Н., Аревадзе, Имнадзе, Когуашвили, Бараташвили, Дзидзигури, Шургаиа, Кабалиа, Кванчилашвили Малхаз, Натадзе М. , Петриашвили, Бурчуладзе, Хоштария.

Газ. "Свободная Грузия", 26. VIII. 2004

გაზეთ „საქართველოს" ახალი და ძველი ნომრების შეძენა შეიძლება რედაქციაში

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: თბილისი. თავისუფლების მოედანი. პუშკინის ქ. №5 ტელ: 93-15-89. 93-17-10

ეს გაზეთი „საქართველო" რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444 გაზეთის ინდექსი 66447

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.